



**GEORGIAN
PUBLIC
BROADCASTER**

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი

GPB.GE

საზოგადოებრივი მაუწყებელი

წლიური ანგარიში 2011



ს ა რ რ ე ბ ი

- 2011-2012 წლების ვროგრბადი ვროორბობები ----- 2
- აოაბბ ----- 9
- აქცენბები ----- 15
- სბჭრო ვოდიბიბ ----- 18
- დონდობი დავით ვიჭბბბბბბბბბბბბბბბ ----- 20
- ნევიონდორ ენეჭბბ აბუბბბბბბბ ----- 24
- სბჭრბბბბბბბბბბბბბბბბბბბბბბბ ----- 27
- სზოგბბბბბბბბბბბბბბბბბბბბბ ----- 29
- „რბვორობბბბ ვბბბ სბნბბბბბბბბბბბბბბბ ----- 30
- “ევირობბბბბბბბბბბბბბბ ----- 34
- ბბბ ევირობბბბბბბბბბბ ----- 37
- ბობ-ბობ „ბბბბბბბბბბბბბბბ ----- 39
- „ბბბბბბბბბბბბბბბბბბბბ ----- 40
- სბბბბბბბბბბბბბბბბბბბ ----- 43
- ბბბბბბბბბბბბბბბბბბბ ----- 46
- ბბბბბბბბბბბბბბბბბბბ ----- 47
- სბბბბბბბბბბბბბბბბბბბ ----- 50
- დბბბ ბბბბბბბბბბბბბბბ ----- 52
- სბბბბბ ----- 55
- ბბბბბბბბბბბბბბბბბბბ ----- 56
- დოკბბბბბბბბბბბბბბბბ ----- 57
- ვბბ-ბბბბბ ----- 58
- ბბბბბბბბბბბბბ ბბბბბბბბბბბბბბბ ----- 59
- ბბბბბბბბბბბბბბბბბბბ ----- 62
- ბბბბბბბბბბბბბბბბბბბ ----- 71
- ბბბბბბბბბბბბბბბბბბბ ----- 72
- ბბბბბბბბბბბბბბბბბბბ ----- 73
- ბბბბბბბბბბბბბბბბბბბ ----- 74

2011 - 2012 წლის პროგნოზი პრიორიტეტები

დამტკიცებულია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“
სამეურვეო საბჭოს მიერ 2011 წლის 18 ივლისს
გადაწყვეტილება № 211 (ოქმი № 196)

ზოგადი დებულებები

საზოგადოებრივი მაუწყებელი კანონით შექმნილი სამაუწყებლო ინსტიტუციაა, რომლის ვალდებულებაა გადასცეს სამოქალაქო აქტივობის, სოციალური სოლიდარობის და სხვა სამოქალაქო ღირებულებების, კულტურისა და განათლების ხელშეწყობი, პოლიტიკური და კომერციული გავლენისაგან თავისუფალი, მრავალფეროვანი პროგრამები საქართველოს ყველა მოქალაქისათვის, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. მაუწყებელი მოქმედებს საჯარო დაფინანსებით, ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად და ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაშე.

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-16, მე-20, 21-ე, 30-ე, 33-ე და 55(1) მუხლებიდან გამომდინარე მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების საფუძველზე საზოგადოებას საჯარო განხილვისათვის წარუდგენს საზოგადოებრივი მაუწყებლის პრიორიტეტების პროექტს.

2009-2010 წლებში საზოგადოებრივმა მაუწყებელმა დაიწყო ახალი პროგრამული პროდუქტების სპეციალიზებულ სამაუწყებლო არხებზე განთავსება. შესაბამისად, სამეურვეო საბჭო განსაზღვრავს პროგრამულ და საბიუჯეტო პრიორიტეტებს ახალი რეალობის გათვალისწინებით. პროგრამული და საბიუჯეტო პრიორიტეტების განსაზღვრისას სამეურვეო საბჭო ხელმძღვანელობს ამ სფეროში არსებული საერთაშორისო გამოცდილებით და საქართველოს კანონმდებლობით. პრიორიტეტები წარმოდგენილია სამაუწყებლო არხების მიხედვით და მაუწყებელს ავალდებულებს დაიცვას გაზომვადი ხარისხობრივი და რაოდენობრივი კრიტერიუმები (პროგრამულ ნაწილში დროითი მასშტაბები, ხოლო საბიუჯეტო ნაწილში დაფინანსების წყაროები და ფინანსირების პარამეტრები).

პროგრამული პრიორიტეტების დროითი მასშტაბებით წარმოდგენა გულისხმობს საეთერო დროის ამ დოკუმენტით განსაზღვრულ განაწილებას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, შემეცნებით-საგანმანათლებლო და გასართობ პროგრამებს შორის არხების მიხედვით. პროგრამული პრიორიტეტები განისაზღვრება იმ არხებისა და პროექტებისათვის, რომელთა საყოფაცხოვრებო ანტენებით მიღების საშუალება არსებობს საქართველოს ტერიტორიაზე:

1. „პირველი არხი“,
2. „მეორე არხი“,
3. „რადიო-1“ ,
4. „საქართველოს ენებზე მაუწყებლობა“

ბიუჯეტის პრიორიტეტების განსაზღვრისას სამეურვეო საბჭო ხელმძღვანელობს იმ მოსაზრებით, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტის სახელმწიფო სუბსიდიის ნაწილი მთლიანად უნდა მოხმარდეს პრიორიტეტებით ზემოთ განსაზღვრული არხებისა და პროექტების, ასევე, მაუწყებლის ტექნიკური ბაზისა (მათ შორის მაუწყებლის ვიდეო-აუდიო არქივის) და ადმინისტრირების ფინანსურ უზრუნველყოფას.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ წარმოებული დროებითი ან გრძელვადიანი პროდუქტები და პროექტები, რომელთა საყოფაცხოვრებო ანტენებით მიღების საშუალება საქართველოს ტერიტორიაზე არ არსებობს, ან მათი მიღება შეზღუდულია (მაგ: „პირველი კავკასიური არხი“, „რადიო-2“, IP ტელევიზია და სხვა) უნდა იქმნებოდეს მხოლოდ ორგანიზაციის ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების ნაწილის ხარჯზე. საკუთარი შემოსავლებიდან მიღებული სახსრებით მაუწყებელმა შესაძლებელია დამატებით დააფინანსოს პრიორიტეტებით განსაზღვრული არხები და პროექტები, გააუმჯობესოს ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ადმინისტრირება (უფრო დაწვრილებით, იხ. სარეკომენდაციო ნაწილი).

„1 არხი“

პირველი სატელევიზიო არხი მაუწყებლობს საერთო მაუწყებლობის პრინციპით: წარმოდგენილია საზოგადოებრივ-პოლიტიკური (ახალი ამბების ჩათვლით), შემეცნებით-საგანმანათლებლო და გასართობი

მიმართულებები. პროგრამები ვრცელდება მაუწყებლის საკუთარი გადამცემების მეშვეობით და მოიცავს საქართველოს მოსახლეობის 85%-ს. არხი ტრანსლირდება ინტერნეტით. საეთერო დრო არის არანაკლებ 18 საათი დღეღამეში. საერთო მაუწყებლობის პრინციპიდან გამომდინარე არხისათვის აუცილებელია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 და 55 (1) მუხლებით განსაზღვრული უკლებლივ ყველა შინაარსობრივი ვალდებულება (იხ. დანართი 1).

1. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულება

ზოგადი პრიორიტეტები

· საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულებისათვის განკუთვნილი საეთერო დრო გაიზარდოს არანაკლებ 33%-მდე. მათ შორის ახალი ამბებისათვის (საქართველოს ენებზე ახალი ამბების ჩათვლით) არანაკლებ 25%.

რეკომენდაცია :

- ეგულარული საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქშოუები და პროექტები ხორციელდებოდეს ყოველდღიურად, სასურველია ერთსა და იმავე საეთერო ზოლში. შეიქმნას სპეციალური პროექტი ჟურნალისტური გამოძიების ფორმატში, სიხშირით არანაკლებ 24 გადაცემა წელიწადში.
- გაიზარდოს საინფორმაციო გამოშვებების სიხშირე, შემცირდეს ცალკე აღებული გამოშვების ქრონომეტრაჟი (ეუთოს მედიამონიტორინგის მისიის რეკომენდაცია).
- განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს ინფორმაციაზე რეგიონებიდან: გაძლიერდეს რეგიონული ბიუროების მუშაობა, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამებსა და „თოქშოუებში“ გაიზარდოს რეგიონებზე, რეგიონების წარმომადგენელთა მონაწილეობით და რეგიონებიდან გადმოცემული გადაცემებისა და სიუჟეტების ხვედრითი წილი;

1.1. ახალი ამბები (საეთერო დრო არანაკლებ 25%)

- სიუჟეტები, რომლებშიც აქცენტირებულია საქართველოში პიროვნების და საკუთრების ხელშეუხებლობის, გამოხატვისა და სინდისის თავისუფლების მიმართულებით არსებული პრობლემები;
- ხელისუფლებაზე საზოგადოებრივი მონიტორინგი შინაარსის მატარებელი პუბლიცისტური - საგამომიებო სიუჟეტები;
- საქართველოს რეგიონებში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური პროცესების სრულყოფილად ასახვა
- სიუჟეტები პენსიონრების, უნარშეზღუდული ადამიანების, უმუშევრებისა და საზოგადოების სხვა დაუცველი ფენების პრობლემების შესახებ;
- საინფორმაციო პროგრამებში მკაფიოდ გაშუქდეს ევროკავშირისა და რეგიონში მიმდინარე პროცესები, NATO-სა და ევროსტრუქტურების საქმიანობა;
- საქართველოში არსებული სხვადასხვა რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების ცხოვრებისა და ყოფის, მათი ეთნოკულტურული ტრადიციების ამსახველი სიუჟეტები;
- საინფორმაციო მაუწყებლობაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესებს.

1.2. საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები და პროექტები (საეთერო დრო არანაკლებ 8%)

- პროგრამები, რომლებშიც აქცენტირებულია საქართველოში პიროვნების და საკუთრების ხელშეუხებლობის, გამოხატვისა და სინდისის თავისუფლების მიმართულებით არსებული პრობლემები;
- პროგრამები პენსიონრების, უნარშეზღუდული ადამიანების, უმუშევრებისა და საზოგადოების სხვა დაუცველი ფენების პრობლემების შესახებ;
- ეკონომიკური, სოციალური, სამართლებრივი, საგანმანათლებლო და ჯანდაცვის რეფორმების არსის ამსახველი პროგრამები. შემეცნებითი და პუბლიცისტური პროგრამები საბაზრო ეკონომიკის საფუძვლების შესახებ;
- განხორციელდეს ინტერმედიული პროექტი (ტელევიზიის, რადიოს, ინტერნეტისა და პრესის საშუალებების გამოყენებით), რომელშიც რეგულარულად გაშუქდება საზოგადოებრივი მაუწყებლის საზოგადოებრივი საბჭოების საქმიანობა.
- საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამებში მკაფიოდ გაშუქდეს ევროკავშირის ახალი სამეზობლო პოლიტიკა, NATO-სა და ევროსტრუქტურების საქმიანობა;
- საქართველოში არსებული სხვადასხვა რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების ცხოვრებისა და ყოფის, მათი ეთნოკულტურული ტრადიციების ამსახველი პროგრამები;

· მეზობელი და პარტნიორი სახელმწიფოების საზოგადოებრივი, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ამსახველი პროგრამები.

2. საგანმანათლებლო და კულტურის მიმართულება

ზოგადი პრიორიტეტი:

· იმის გათვალისწინებით, რომ ქართულ ტელევიზორებში არ არსებობს სპეციალიზებული შემეცნებითი ან კულტურაზე ორიენტირებული არხები, ხოლო კერძო სამაუწყებლო არხები, კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე, თითქმის არ ათავსებენ ამ მიმართულების პროგრამულ პროდუქტებს საკუთარ ეთერში, საზოგადოებრივი მაუწყებელმა საგანმანათლებლო და კულტურის მიმართულებისათვის განკუთვნილი საეთერო დრო გაზარდოს არანაკლებ 42%-მდე.

გამლიერდეს საბავშვო და ახალგაზრდული პროგრამების მიმართულება ყველა ასაკობრივი (სკოლამდელი, უმცროსი სასკოლო, უფროსი სასკოლო, სტუდენტობა) ჯგუფისათვის.

რეკომენდაცია :

- პროგრამირებაში აქცენტის მაქსიმალურად გამახვილება შემეცნებით კომპონენტზე. შემეცნებით პროგრამებში გამოყენებულ იქნას მეცნიერულად დადასტურებული და მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობილი ინფორმაცია;
- გათვალისწინებულ იქნას ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მოსახლეობის ინტერესები - პროგრამული პროდუქტების ძირითადი ნაწილი ითარგმნოს შესაბამის ენებზე და განთავსდეს ადგილობრივი სამაუწყებლო კომპანიების ეთერში;
- იმ მხატვრული კინოპროდუქციისათვის განკუთვნილი საეთერო დრო, რომელიც წარმოადგენს მსოფლიო ლიტერატურის კლასიკის ან ცნობილი ადამიანების ცხოვრების მაღალმხატვრულ და ხარისხიან ეკრანიზაციას გათვალისწინებული იქნება მიმართულების საეთერო დროში.

2.1. მეცნიერება (საეთერო დრო არანაკლებ 20 %)

ეკონომიკური, სოციალური, სამართლებრივი, საგანმანათლებლო და ჯანდაცვის რეფორმების არსის ამსახველი პროგრამები. შემეცნებითი პროგრამები საბაზრო ეკონომიკის საფუძვლების შესახებ;

ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და ტექნოლოგიების პოპულარიზაციისაკენ მიმართული სპეციალური პროგრამები;

ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის ხელშეწყობი პროგრამები;

ისტორიული პუბლიცისტიკა. პროგრამები საქართველოს კულტურულ საგანმურზე საარქივო მასალების გამოყენებით.

უცხოური ტელეკომპანიების მიერ დამზადებული მაღალი ხარისხის შემეცნებითი და საგანმანათლებლო პროდუქციის ხვედრითი წილის ზრდა.

2.2. კულტურა (საეთერო დრო არანაკლებ 22 %)

კინოზე, თეატრზე, მუსიკაზე და ხელოვნების სხვა დარგებზე მომზადებული პროგრამების ხვედრითი წილის ზრდა;

· საქართველოში არსებული სხვადასხვა რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების ცხოვრებისა და ყოფის, მათი ეთნოკულტურული ტრადიციების ამსახველი პროგრამები და სიუჟეტები;

· პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობს ინტერკულტურულ და ინტერრელიგიურ დიალოგს, კულტურული მრავალფეროვნების მიმღებლობასა და პატივისცემას.

სპეციალური პროგრამები დიასპორების შესახებ;

· საქართველოს გეოპოლიტიკური, ისტორიული და გეოგრაფიული თავისებურებების ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან და ფასეულობებთან კავშირის ამსახველი პროგრამები;

· ყოფითი კულტურის ამაღლებისაკენ მიმართული გადაცემები.

3. გართობისა და სპორტის მიმართულება

ზოგადი პრიორიტეტი:

მიმართულების საეთერო დრო განისაზღვროს არაუმეტეს 25%-ით.

· მაუწყებლობაში "საპნის ოპერების" ჩანაცვლება მხატვრული და შემეცნებითი სატელევიზიო ფილმებით; უნდა გამოიკვეთოს ადგილობრივი წარმოების პროდუქციის ზრდის ტენდენცია.

რეკომენდაცია :

· სპორტული ასპარეზობების ტრანსლაციის დაგეგმვისას აქცენტი გამახვილდეს მხოლოდ განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ასპარეზობებზე.

· მასობრივი მუსიკალური, ან ქორეოგრაფიული კონკურსების (მაგალითად „ევროვიზია“) ორგანიზებისას გამოყენებულ იქნას დაფინანსების საკუთარი (და არა სახელმწიფო სუბსიდიის) წყაროები.

„რადიო -1“

პირველი რადიო არხი მაუწყებლობს საერთო მაუწყებლობის პრინციპით: წარმოდგენილია საზოგადოებრივ-პოლიტიკური (ახალი ამბების ჩათვლით), შემეცნებით-საგანმანათლებლო და გასართობი მიმართულებები. პროგრამები ვრცელდება მაუწყებლის საკუთარი გადამცემების მეშვეობით და მოიცავს საქართველოს მოსახლეობის 70%-ს. არხი ტრანსლირდება ინტერნეტით. საეთერო დრო 24 საათი დღე-ღამეში. საერთო მაუწყებლობის პრინციპიდან გამომდინარე არხისათვის აუცილებელია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 და 55 (1) მუხლებით განსაზღვრული უკლებლივ ყველა შინაარსობრივი ვალდებულება (იხ.დანართი 1).

ზოგადი პრიორიტეტი:

· არხმა განახლებული ფორმატით დაიწყო მაუწყებლობა 2010 წლის 23 მაისს. ახალ საეთერო სეზონში არხზე, როგორც საერთო მაუწყებლობის პრინციპით მომუშავე მედიაზე, ვრცელდება ყველა ის პროგრამული პრიორიტეტი და რეკომენდაცია, რომელიც მიღებულია პირველი სატელევიზიო არხის მიმართ.

რეკომენდაცია :

· განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ინტერმედიული პროექტების (რადიო ტელევიზიასთან ერთად) განხორციელებას.

· პროგრამირებაში აქცენტირება ინტერაქტიულ პროექტებზე

„2 არხი“

მეორე სატელევიზიო არხი ასახავს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს სარედაქციო ჩარევის გარეშე (განახლებული ფორმატით მაუწყებლობა დაიწყო 2010 წლის 1 მარტიდან) და ფარავს მოსახლეობის 65%-ს. არხი ტრანსლირდება ინტერნეტით. საეთერო დრო 15 საათი დღე-ღამეში. მაუწყებლობის სპეციალიზებული ფორმიდან გამომდინარე, არხისთვის სავალდებულოა მხოლოდ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის ა) ბ) ე) ვ) კ) და მ) მუხლებით განსაზღვრული შინაარსობრივი ვალდებულება (იხ. დანართი 1).

პრიორიტეტები:

· საზოგადოებრივ-პოლიტიკური მაუწყებლობისათვის (მათ შორის საქართველოს ენებზე ტრანსლირებული ახალი ამბების გამოშვებისათვის) განკუთვნილი საეთერო დრო არანაკლებ 80%. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მაუწყებლობაში არხის პრიორიტეტებს განსაზღვრავს 2010 წლის 22 თებერვალს, საქართველოს პარლამენტს, საზოგადოებრივ მაუწყებელსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის ამერიკის ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის პატრონაჟით გაფორმებული შეთანხმება (იხილეთ დანართი 3);

· საგანმანათლებლო და კულტურული მიმართულებისათვის გამოყოფილი საეთერო დრო არაუმეტეს 20%. მიმართულება უნდა ასახავდეს არხის ძირითად ფუნქციას და მან უნდა წარმოაჩინოს პოლიტიკური აზროვნების ჩასახვისა და განვითარების ეტაპები შემეცნებითი და საგანმანათლებლო თოქშოუებისა და ფილმების ფორმით.

რეკომენდაცია :

· არხის ეთერში შენარჩუნდეს საქართველოს ენებზე ახალი ამბების გამოშვებები.

საგანმანათლებლო და კულტურის მიმართულების წარმოჩენა სასურველია შემეცნებითი და საგანმანათლებლო თოქშოუებისა და ფილმების ფორმით.

„საქართველოს ენაზე ანგარიშის“

პროექტი არსებობს 2003 წლიდან და მისი მიზანია საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების კულტურული და ლინგვისტური საჭიროებების მომსახურება და იმავდროულად ქართულ სახელმწიფოში მათი ინტეგრაციის ხელშეწყობა. 2010 წლამდე საქართველოში და მსოფლიოში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმირების მიზნით ყოველი ეთნიკური უმცირესობისათვის მზადდებოდა ყოველკვირეული საინფორმაციო კოლაჟი „პირველი არხის“ დღის მაყურებლისათვის მოუხერხებელ დღის ეთერში. 2010 წლიდან პროექტის მიერ ახალი ამბების 4 სხვადასხვა ენაზე ყოველდღიურად წარმოებული გამოშვება ტრანსლირდება „პირველი არხის“ (დილით), „მეორე არხის“ (დილით და ღამით) და 4 რეგიონული არხის საღამოს ეთერში („პრაიმთაიმში“).

პრიორიტეტები:

- პროექტის გაფართოება მონაწილე ადგილობრივი ტელეკომპანიების რიცხოვნების გაზრდის ხარჯზე
- საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ წარმოებული საგანმანათლებლო და კულტურის მიმართულების პროდუქტების (სეზონზე არანაკლებ 2 პროდუქტისა) გახმოვანება საქართველოს ენებზე და მათი ტრანსლაცია რეგიონული ქსელით რეკომენდაციები საფინანსო-საბიუჯეტო და სამეურნეო სფეროში

- ბიუჯეტის პრიორიტეტების განსაზღვრისას სამეურვეო საბჭო ხელმძღვანელობს იმ მოსაზრებით, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტის სახელმწიფო სუბსიდიის ნაწილი მთლიანად უნდა მოხმარდეს პრიორიტეტებით ზემოთ განსაზღვრული არხებისა და პროექტების, ასევე, მაუწყებლის ტექნიკური ბაზისა (მათ შორის მაუწყებლის ვიდეოაუდიო არქივის) და ადმინისტრირების ფინანსურ უზრუნველყოფას. კერძოდ:

1. „პირველი არხი“ - სუბსიდიის არანაკლებ 40%
2. „მეორე არხი“ - სუბსიდიის არანაკლებ 5%
3. „რადიო-1“ - სუბსიდიის არანაკლებ 5%
4. „საქართველოს ენებზე მაუწყებლობა“ - სუბსიდიის არანაკლებ 5%
5. მაუწყებლის არქივი - სუბსიდიის არანაკლებ 3%
6. მაუწყებლის ტექნიკური უზრუნველყოფა და ადმინისტრირება - სუბსიდიის არაუმეტეს 42%

- ორგანიზაციის ინსტიტუციონალური მდგრადობის განვითარების პროგრამის შემუშავება, რაც პირველ რიგში გულისხმობს: მაუწყებლის განვითარების გრძელვადიანი გეგმის, ტექნიკური გადაიარაღების გრძელვადიანი პოლიტიკის, შესყიდვების პოლიტიკის, ადამიანური რესურსების პოლიტიკის, ფინანსური ანგარიშგების სისტემის შექმნას. ყველა ხსენებული დოკუმენტის მიღებით შეიქმნება მაუწყებლის საქმიანობის ერთგვარი კოდექსი, რომელიც სრულად ასახავს ზემოაღნიშნულ ასპექტებს.

- ორგანიზაციის რესურსების გადანაწილება საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი სატელევიზიო და პირველი რადიოარხის გავრცელების მაქსიმალური უზრუნველყოფის მიზნით.

- საზოგადოებრივი მაუწყებლის ტელე და რადიოარქივების ახალ, ციფრულ მატარებლებზე გადატანის პროექტის გაგრძელება „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის მე-19 მუხლის მოთხოვნების განუხრელი შესრულების მიზნით.

- გენერალური დირექტორის მიერ პროგრამული ანგარიშის წარმოდგენა სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული შესაბამისი ფორმით, ხოლო წლიური ბიუჯეტისა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენა სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული „საადრიცხო პოლიტიკის სრულყოფილი საფუძვლების“ ბაზაზე.

- დოკუმენტურად დასაბუთებული კრიტერიუმების განსაზღვრა, რომელთა მიხედვითაც ხდება სატელევიზიო პროექტების შიდა, ან გარე წარმოებად გამოიჯვნა.

- ორგანიზაციის რესურსების (მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური) გამოყენების ტარიფების მკაფიოდ განსაზღვრა გარე და შიდა წარმოებისას.

- რეგულარულად, საეთერო წლის დაწყებამდე ორგანიზაციის წლიური სამოქმედო გეგმის მომზადება და დამტკიცება.

- მენეჯმენტმა მაუწყებლის ბიუჯეტის 1%-ზე მეტი ოდენობით დამატებითი სახსრების მოძიებისას სამთავრობო და სხვა წყაროებიდან, საქმის კურსში უნდა ჩააყენოს სამეურვეო საბჭო.

დანართი 1**საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“****მუხლი 16. შინაარსობრივი ვალდებულებები**

საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია:

- ა) უზრუნველყოს პროგრამების სარედაქციო დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა; სახელისუფლებო, პოლიტიკური, რელიგიური და კომერციული გავლენისაგან თავისუფლება;
- ბ) უზრუნველყოს საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისი თანასწორობა ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საგანმანათლებლო-მეცნიერებით, კულტურულ და სპორტულ პროგრამებს შორის;
- გ) უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოში, მის რეგიონებსა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ;
- დ) საუკეთესო დროს გადასცეს ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები, ხოლო საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას – აგრეთვე წინასაარჩევნო დებატები;
- ე) პროგრამებში არ გამოხატოს თავისი აზრი;
- ვ) ასახოს საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებათა პლურალიზმი;
- ზ) ეთერის არანაკლებ 25%-ისა დაუთმოს დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ მომზადებულ პროგრამებს, რომელთა შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ კანონით დადგენილი წესით; (27.03.2009 N 1130)
- თ) პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება;
- ი) ბავშვთა და მოზარდთა ინტერესების შესაბამისი პროპორციით განათავსოს საბავშვო პროგრამები;
- კ) გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესები;
- ლ) ხელი შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას;
- მ) სათანადო პროპორციით განათავსოს უმცირესობების ენაზე, უმცირესობების შესახებ და უმცირესობების მიერ მომზადებული პროგრამები.

**მუხლი 551. პოლიტიკური დისკუსია საზოგადოებრივი
მაუწყებლის ეთერში (31.10.2008 N 437)**

საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია არჩვენებს შორის პერიოდში ყოველკვირეულად განათავსოს თავის ეთერში გადაცემები, რომელთა მიზანია პოლიტიკური დისკუსია ქვეყანაში მიმდინარე უმნიშვნელოვანეს პროცესებთან დაკავშირებით, და არადისკრიმინაციულად უზრუნველყოს ამ გადაცემებში პარლამენტში არსებული პოლიტიკური ძალების (ფრაქციების), აგრეთვე იმ პოლიტიკური გაერთიანებების წარმომადგენლობა, რომლებიც დაფინანსებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებენ.

დანართი 2

2009 წლის 13 თებერვალს სამეურვეო საბჭოს მიერ მიღებული (ოქმი N 93) პროგრამული ანგარიშის მოთხოვნის ფორმა

დანართი 3

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, საქართველოს პარლამენტი და პოლიტიკური პარტიები

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

22 თებერვალი 2010 წელი

2009 წლის ნოემბერ-დეკემბერში პარლამენტის თავმჯდომარის ინიციატივით საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) ოფისში ჩატარდა ინდივიდუალური და ერთობლივი შეხვედრები პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობას შორის. ამ შეხვედრების მიზანი იყო მხარეებს შორის მომხდარიყო შეთანხმება ახალი პოლიტიკური არხის ფორმატზე და პროგრამირებაზე.

კონსულტაციების შედეგად მხარეები შეთანხმდნენ ძირითად პრინციპებზე, რასაც ხელმოწერით ადასტურებენ შემდეგი სუბიექტები: საქართველოს პარლამენტი, საზოგადოებრივი მაუწყებელი და პოლიტიკური პარტიები.

მემორანდუმზე ხელის მომწერი სუბიექტები თანხმდებიან:

- არხი უზრუნველყოფს პარლამენტის პლენარული სხდომების და მნიშვნელოვანი საკომიტეტო განხილვების პირდაპირ ეთერში გაშუქებას.
- ახალი პოლიტიკური არხი უზრუნველყოფს ოპოზიციური პარტიებისთვის ყოველდღიურად დროის გამოყოფას პირდაპირი ეთერის რეჟიმში ყოველგვარი სარედაქციო ჩარევის გარეშე. პარტიებს დაეთმობათ ერთსაათიანი ზოლი („თავისუფალი ტრიბუნა“), რომელსაც გადაინაწილებენ თანმიმდევრობით. გადაცემა ეთერში გავა პრაიმტაიმში (22:00 – 23:00 საათი).
- საზოგადოებრივი მაუწყებელი პოლიტიკურ პარტიებს აძლევს სრულ თავისუფლებას, ერთმანეთში შეთანხმდნენ, თუ რომელ პოლიტიკურ პარტიებს დაეთმობათ დრო ახალი პოლიტიკური არხის პირდაპირ ეთერში (კრიტერიუმები მოცემულია დანართში). ღია ეთერში განკუთვნილი დროის რიგითობის განსაზღვრის წესსზე თანხმდებიან მემორანდუმზე ხელისმომწერი პარტიები. პარტიების რიგითობის შეთანხმებულ სიას საზოგადოებრივ მაუწყებელს აწვდის ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი.
- არხი ასევე უზრუნველყოფს დებატებს კანონპროექტებზე, რომელთა განხილვაც მიმდინარეობს პარლამენტში. დებატები ეთერში გავა კვირაში არანაკლებ ერთხელ და სრული პარიტეტის დაცვით მასში მონაწილეობას მიიღებენ როგორც საპარლამენტო, ისე არასაპარლამენტო პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები.
- „თავისუფალი ტრიბუნისა“ და დებატების ანონსი გადაიცემა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში წინა დღეს.
- საზოგადოებრივი მაუწყებელი უზრუნველყოფს სადამოს ეთერში გასული გადაცემების გამეორებას დილის ეთერში, რამაც ხელი არ უნდა შეუშალოს საქართველოს პარლამენტიდან პლენარული და კომიტეტების სხდომების პირდაპირ ეთერში ტრანსლაციას.
- ამის გარდა, საზოგადოებრივი მაუწყებელი მემორანდუმზე ხელისმომწერ პარტიებს სთავაზობს მათი ბრიფინგების და პრეს-კონფერენციების სრული ჩანაწერების იმავდღიურ გადაცემას ახალი პოლიტიკური არხის ეთერში. პარტიები თავის მხრივ იღებენ ვალდებულებას, რომ მოახდინონ პრეს-კონფერენციების და ბრიფინგების ჩატარების დროის ერთმანეთში კოორდინაცია.
- პარტიები, რომლებიც ხელს არ მოაწერენ მემორანდუმს არ ისარგებლებენ ახალი პოლიტიკური არხის სრული მომსახურებით. არხი უზრუნველყოფს იმ პარტიების ბრიფინგების სრული ჩანაწერების იმავდღიურ გადაცემას რომლებიც აკმაყოფილებენ ქვემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს, მაგრამ არ არიან მემორანდუმზე ხელისმომწერები.
- პარტიები პირდაპირ ეთერში იმოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობაში, სხვა ნორმატიულ აქტებსა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსში ასახული ეთიკური ნორმების შესაბამისად.
- მემორანდუმი ღიაა ხელმოწერისთვის 2010 წლის 1 ივლისამდე.

შენიშვნა: აღნიშნული მემორანდუმი ძალაშია 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე. მემორანდუმზე ხელისმომწერი პარტიების ცვლილების შემთხვევაში ამერიკის ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტი აზუსტებს მემორანდუმში მონაწილე პარტიათა ახალ სიას, პირდაპირ ეთერში მათი რიგითობის ახალ გრაფიკს და აწვდის მას საზოგადოებრივ მაუწყებელს.

დანართი:

- პარტიების შერჩევის შეთანხმებული კრიტერიუმები;
- პარტიები, რომელთაც ჰყავთ წარმომადგენლები საქართველოს პარლამენტში
- კვალიფიციური სუბიექტები;
- პარტიები რომლებიც პრეზიდენტის განკარგულების მიხედვით მიწვეულნი იყვნენ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში მონაწილეობის მისაღებად;
- საარჩევნო კოდექსზე მომუშავე ჯგუფის წევრი პარტიები;
- სუბიექტები, რომელთაც გადალახეს 10% ბარიერი 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებზე.

საინფორმაციო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულება

საინფორმაციო გამოხვევა „აოააბა“



საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის მნიშვნელოვანია ის პოლიტიკა, რომელსაც პირველი არხის საინფორმაციო სამსახური ატარებს. მოამბისთვის რამდენიმე პრიორიტეტული ამოცანა არსებობს: პირველი და ყველაზე მთავარი – საზოგადოების ყველა ფენის ინტერესის დაკმაყოფილება,

მოსახლეობაში მოამბის ნდობის აღდგენა, საქმიანი და კრიკიტული დამოკიდებულება ხელისუფლებისა და სამთავრობო პროექტებისადმი. საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო სამსახურის მთავარი პრიორიტეტია სოციალური სფერო და ის საკითხები, რომელიც მოსახლეობას ყველაზე მეტად აწუხებს და აინტერესებს. საინფორმაციო სპეციფიკიდან გამომდინარე აქტუალური და მწვავე საკითხების გაშუქება მოამბეში რეპორტაჟების, სისტემატური რუბრიკების, მონიტორინგის, ჟურნალისტური გამოძიების სახით ხდება.

2011 წლის განმავლობაში მოამბეში ქვეყანაში და მის საზღვრებს გარეთ მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა მოხვდა. ყურადღება დაეთმო ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის მნიშვნელოვან თემებსაც. წლის დასაწყისი საინფორმაციო სამსახურისთვის საიუბილეოა - **მოამბეს 40 წელი შეუსრულდა**, რასაც საინფორმაციო გამოშვებაში სპეციალური სიუჟეტი მიეძღვნა.

საანგარიშო პერიოდში მოამბეში **არაერთი ექსკლუზიური თემა** მომზადდა. მათ შორის ერთ-ერთი იყო ამერიკაში მოღვაწე ცნობილი ქართველი ბალერინას - თამარ თუმანიშვილის ცხოვრების უცნობ დეტალებსა და საარქივო მასალებზე. ასევე, მოამბის მაყურებელს საშუალება ჰქონდა გასცნობოდა ექსკლუზიურ ინტერვიუებს ნატოს სპეციალურ წარმომადგენელთან ჯეიმს აპატურაისთან და ნატოს გენერალურ მდივან ანდრეს ფონ რასმუსენთან. მოამბემ ექსკლუზიურად გააშუქა ნორვეგიაში მომხდარი ტერაქტი, რომელსაც საქართველოს მოქალაქეც ემსხვერპლა. პირველი არხის საინფორმაციო სამსახურმა ექსკლუზიური რეპორტაჟი მოამზადა ნიუ-კორპის და მედიამაგნატ მერდოკის საქმეზე, მოამბის გადამღები ჯგუფი იმყოფებოდა მალაიზიაშიც და ნარკოტრაფიკის ბრალდებით დაკავებული ქართველების შესახებ ექსკლუზიური სიუჟეტები მომზადდა. მოამბეში გავიდა ექსკლუზიური რეპორტაჟი საბჭოთა უშიშროების არქივის გრიფით საიდუმლო მასალებზე, რომლის შესწავლამ, შესაძლოა, საქართველოს უახლესი ისტორია შეცვალოს. საინფორმაციო სამსახურის ჟურნალისტებმა ასევე მოამზადეს ექსკლუზიური რეპორტაჟები სმოლენსკში - პოლონეთის პრეზიდენტის დაღუპვის ადგილიდან, ჰელმანდის პროვინციიდან, სადაც ქართველი ჯარისკაცები ნატოს სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობენ.



2011 წლის პოლიტიკური ცხოვრებიდან მოამბემ საეთერო დრო ყველა მნიშვნელოვან მოვლენას დაუთმო. მათ შორის აღსანიშნავია: სტრასბურგის სასამართლო უპრეცედენტო გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც მტკიცებულებების არარსებობის გამო ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი 1 549 სარჩელი დახურა. ამომწურავად გაშუქდა ჰააგის სასამართლოს გადაწყვეტილებაც, რომლის თანახმადაც რუსეთი ეთნიკური წმენდის მონაწილე მხარედ დასახელდა. არაერთი რეპორტაჟი დაეთმო ქართული სამშვიდობო მისიის მოღვაწეობას ავღანეთში. მოამბის გადამღებმა ჯგუფმა ჰელმანდის პროვინციაში მომზადებული ვრცელი სიუჟეტიც შესთავაზა მაყურებელს.

პოლიტიკური თემატიკიდან მოამბის ჟურნალისტების ყურადღების ცენტრში ასევე მოექცა: ამერიკის ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტისა და ამერიკის რესპუბლიკური ინსტიტუტის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევების შედეგები, ევროსაბჭოში მიმდინარე განხილვები და მიღებული რეზოლუციები, ნატოს მინისტრიალი,

სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მომზადებული ანგარიში, რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე შენევაში მიმდინარე მოლაპარაკებები და შეთანხმება. მთელი წლის განმავლობაში არაერთი რეპორტაჟი მომზადდა რუსეთის აგრესიულ და საოკუპაციო პოლიტიკასთან დაკავშირებით, ასევე რუსეთის მიერ დაგეგმილი თუ განხორციელებული პროვოკაციების შესახებ. მომზადდა რეპორტაჟები რუსეთის მიმართ განხორციელებულ საერთაშორისო ზეწოლაზე.



საქართველოს გასაბჭოებიდან 90 წლისთავი და ქვეყანაში გამართული ოკუპაციის კვირეული ასევე სპეციალური რეპორტაჟებით გაშუქდა. საინფორმაციო სამსახურმა მაყურებელს შესთავაზა ამ თემაზე მომზადებული სიუჟეტები: ოკუპაციის ისტორია, 90 წელი ოკუპაციიდან, ოკუპაციიდან ოკუპაციამდე (1921 – 2008).

მოამბის გუნდმა ამომწურავად გააშუქა ყველა მნიშვნელოვანი ვიზიტი რომელიც საქართველოში 2011 წელს შედგა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია

საქართველოში საფრანგეთის პრეზიდენტისა და ნატოს გენერალური მდივნის ვიზიტები. გაშუქდა ქართული დელეგაციების ვიზიტები სხვადასხვა მაღალი დონის საერთაშორისო შეხვედრებზე.

ქვეყნის შიგნით მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები მოამბის ჟურნალისტებისთვის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო. დეტალურად გაშუქდა ოპოზიციის მიერ გამართული საპროტესტო აქციები. მაყურებელს საშუალება ჰქონდა მოესმინა მოთხოვნები და გაეგო ექსპერტების შეფასებები. მოამბემ სპეციალური გამოშვებით გააშუქა სახალხო კრების და პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის, ნინო ბურჯანაძის ორგანიზებული აქციის დაშლისას განვითარებული მოვლენები. მანამდე კი არაერთი სიუჟეტი და პირდაპირი ჩართვა მომზადა ამ საპროტესტო აქციების შესახებ, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობასთან მიმდინარეობდა. ასევე გაშუქდა ბათუმში გამართული საპროტესტო აქციებიც. მოამბის მაყურებელს საშუალება ჰქონდა თვალი ედევნებინა დამოუკიდებლობის დღეს გამართული აღლუმისთვის. ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებიდან აღსანიშნავია საარჩევნო საკითხებზე გამართული კონსულტაციები, რომელიც თავდაპირველად „რვიანის“ ფორმატით მიმდინარეობდა, შემდეგ „ექსპანის“, მოგვიანებით კი დაიშალა. ამ კონსულტაციებისა და ოპოზიციაში აზრთა სხვადასხვაობის შესახებ მოამბემ რამდენიმე სიუჟეტი მოამზადა. სიუჟეტებისა და პირდაპირი ჩართვების საშუალებით მოამბის ჟურნალისტები საზოგადოებას ექსპერტების, მათ შორის ვენეციის კომისიის წარმომადგენლების მოსაზრებებს დეტალურად აცნობდნენ. თანაბარი დრო დაეთმო მოლაპარაკებებში ჩართული მხარეების მოსაზრებების, კომენტარების და არგუმენტების განხილვას (ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლები ამ თემაზე არაერთხელ იყვნენ თოქ-შოუ მოამბე+-ის სტუმრები). მოამბეში გაშუქდა პარლამენტში მოწყობილი საგანგებო კვირა. საპარლამენტო უმცირესობის ინიციატივით შემუშავდა სპეციალური ფორმატი, რომლის ფარგლებშიც ერთი კვირის განმავლობაში მინისტრთა კაბინეტის წევრებმა სხვადასხვა სფეროში განხორციელებულ რეფორმებსა და არსებულ პრობლემებზე დეპუტატებს ანგარიში წარუდგინეს. „საგანგებო კვირის“ განმავლობაში მოამბეში ყოველდღიურად გადიოდა რეპორტაჟები მინისტრების გამოსვლებსა და პარლამენტში გამართულ დებატებზე.

ზოგადად, **საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების თემატიკას** საინფორმაციო სამსახურმა საკმაოდ დიდი ყურადღება დაუთმო. მოამბის ეთერში გავიდა სიუჟეტები, რომლებშიც თანაბრად იყო ასახული კონსულტაციებში მონაწილე ყველა მხარის პოზიცია და ინიციატივა. ამავე პერიოდში პარლამენტში წლიური ანგარიში წარადგინა საქართველოს პრეზიდენტმა. მიხეილ სააკაშვილის ინიციატივებზე, საანგარიშო პერიოდის შეფასებებზე, კრიტიკულ შენიშვნებზე, დიპლომატების მოსაზრებებზე და ოპოზიციასთან გამართულ დებატებზე მოამბეში განხორციელდა რამდენიმე პირდაპირი ჩართვა და მომზადდა სიუჟეტები.

რეპორტაჟები და პირდაპირი ჩართვები ყველა იმ თემაზე მომზადდა, რომელიც მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან ინიციატივას წარმოადგენდა, ან სახელმწიფოს საგარეო თუ საშინაო კურსს ასახავდა: მთავრობის მიერ მომზადებული დასაქმებისა და მოდერნიზაციის 10 პუნქტიანი გეგმა, პარლამენტში ეროვნული

უსაფრთხოების კონცეფციის პროექტის განხილვა, გამსახურდიას გარდაცვალების მიზეზების შემსწავლელი კომისიის დასკვნა. მომზადდა სიუჟეტები საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონის მუხლის არაკონსტიტუციურად ცნობას ეხებოდა. გაშუქდა რეგიონებში მთავრობის და ოპოზიციის წარმომადგენლების შეხვედრები მოსახლეობასთან, ქუთაისში პარლამენტის მშენებლობა.

გასულ წელს "პირველი საინფორმაციო კავკასიური არხის" ეგიდით **განხორციელდა პროექტი "პრეზიდენტი პასუხობს ხალხს"**. პროექტის განხორციელებაში ჩართულნი იყვნენ მაუწყებლის წამყვანები და ჟურნალისტები. გადაცემა პირდაპირ ეთერში გავიდა. საინფორმაციო სამსახურმა მაყურებელს შესთავაზა პრეზიდენტის გამოსვლის ვრცელი ანალიზი, ექსპერტების, სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობის, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების შეფასებები.

მოამბის ობიექტივში არაერთი გახმაურებული და რეზონანსული ფაქტიც მოხვდა. მათ შორის ფოტორეპორტიორების ჯაშუშობის ბრალდებით დაკავება. მოამბემ რეპორტაჟების ციკლი მოამზადა ისეთ მნიშვნელოვან პრობლემაზე, როგორცაა ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული კულტურის ძეგლების განადგურების საფრთხე. აფხაზეთში უძველეს მონასტრებზე ქართული კვალის წაშლისა და „კულტურული ანექსის“ მცდელობაზე მთავარ გამოშვებაში რამდენიმე სიუჟეტი მომზადდა. ცხადია, საინფორმაციო გამოშვებების ერთ-ერთი მთავარი თემა გახდა ბიძინა ივანიშვილის მიერ პოლიტიკაში მოსვლის გადაწყვეტილება, (ივანიშვილის პირველი პრესკონფერენცია მოამბემ დღის გამოშვებაში სრულად გადასცა პირდაპირ ეთერში), მის მიერ კოალიციის შექმნა, და პოლიტიკური გეგმები. მნიშვნელოვანი იყო სეპარატისტულ ცხინვალის რეგიონში დე-ფაქტო არჩევნებთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენები, რომელსაც მოამბის ჟურნალისტები აშუქებდნენ.

საინფორმაციო სამსახურმა ფილმ **„ავგისტოს 5 დღის“** საპრემიერო ჩვენების შესახებ მაყურებელს ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა. თბილისში ჩამოსული სტუმრებისა და კრიტიკოსების მოსაზრება, ფილმის შეფასება და მნიშვნელობა - მოამბემ გახმაურებული ფილმის შესახებ არაერთი რეპორტაჟი შესთავაზა მაყურებელს. სპეციალური რეპორტაჟები მომზადდა რუსეთ-საქართველოს ომის სამი წლისთავსა და ხსოვნის კვირეულზე.

მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნას ნარკოტრაფიკის საფრთხეებზე. მოამბის რეპორტაჟში გაანალიზებული იყო, რა რისკები არსებობს ნარკოტიკების ტრანზიტის მხრივ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან, სადაც არც ოფიციალური თბილისის იურისდიქცია ვრცელდება და ვერც საერთაშორისო ორგანიზაციები ახერხებენ სრულფასოვან მონიტორინგს.

მთელი წლის განმავლობაში საინფორმაციო გამოშვებაში **შუქდებოდა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე მოვლენები.** რეპორტაჟების



ციკლი მომზადდა ტუნისში დაწყებულ გამოსვლებზე, ინფლაციის, როგორც მსოფლიო სენის გამოწვევ მიზეზებსა და მის მოსალოდნელ შედეგებზე. პრობლემა გაშუქდა საქართველოსთან კონტექსტშიც, კერძოდ, როგორ აპირებს ქვეყანა ინფლაციის დაძლევის, როგორია ეროვნული ბანკის გეგმა და როგორ გეგმავს ხელისუფლება ამის გათვალისწინებით დასაქმების - ყველაზე პრიორიტეტული პრობლემის მოგვარებას. მომზადდა რეპორტაჟები ევგობტეში დაწყებულ გამოსვლებზე, სმოლენსკის ტრაგედიის (2010 წლის აპრილი, ავიაკატასტროფა, რომელსაც პოლონეთის პრეზიდენტი ემსხვერპლა) ახალ დეტალებზე. წლის განმავლობაში მთელი მსოფლიოს ყურადღება მიპყრობილი იყო ლიბიაში განვითარებული მოვლენებისკენ და შესაბამისად, იქ მიმდინარე პროცესები დეტალურად გაშუქდა მოამბეშიც. ახლო აღმოსავლეთის კრიზისი, ჩრდილოეთ აფრიკისა და აზიის ქვეყნებში მიმდინარე საპროტესტო აქციები და მსოფლიოს ნომერ პირველი ტერორისტის ბინ ლადენის ლიკვიდაცია მოამბის უცხოეთის ბლოკის მთავარი თემები გახდა. ქვეყნის ფარგლებს გარეთ განვითარებული მოვლენებიდან მოამბის ჟურნალისტებმა



არაერთი რეპორტაჟი მოამზადეს იაპონიაში მომხდარ მიწისძვრასა და ფუკუშიმას ატომურ ელექტროსადგურზე ბირთვულ საფრთხეებთან დაკავშირებით. აღმოსავლეთის ქვეყნებში გამოსვლების გააქტიურების შესაბამისად მოამბემ მომზადა რეპორტაჟები ეგვიპტეში განხორციელებულ ცვლილებებზე, ლიბიაში დაწყებულ კრიზისზე. დღის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში გავიდა სიუჟეტები: აღმოსავლეთის კრიზისის გავლენა პოსტსაბჭოთა სივრცეზე, მსოფლიოში ინფლაციურ პროცესებზე, ნავთობის, ოქროსა და პროდუქტის ფასების ზრდაზე. გარდა აღმოსავლეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისა, მოამბემ ყურადღება დაუთმო ლიბიაში მცხოვრებ უცხო ქვეყნების მოქალაქეებს, რომლებზეც კრიზისმა და სამოქალაქო ომის შედეგებმა პირდაპირი გავლენა იქონია. მოამბის ობიექტივში მოხვდა ქართული ოჯახი, რომელიც ტრიპოლიდან საქართველოში დაბრუნდა. ვრცლად და ოპერატიულად გაშუქდა მოსკოვში, დომოდედოვოს აეროპორტში მომხდარი ტერაქტი. მოამბემ საეთერო დრო ტერაქტის გამოძიების მიმდინარეობასა და საქმის გახსნის პროცესში გამოვლენილ სხვა დეტალებსაც დაუთმო.

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის მაყურებელი ყველა იმ მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ იგებდა ინფორმაციას, რაც მსოფლიო მედიის ყურადღების ცენტრში იყო. ტერაქტი მინსკში, არეულობა სიარიაში, სამეფო ქორწილი დიდ ბრიტანეთში, სავალუტო ფონდის დირექტორის, სტროს კანის დაკავება და მასთან დაკავშირებული სკანდალი, უკრაინის ექს-პრემიერის იულია ტიმოშენკოს დაპატიმრება, საჰაერო კოლაფსი ევროპაში, მიწისძვრა თურქეთში, აქციები საბერძნეთში, ევროზონის კრიზისი, აქციები „დაიკავე ვოლ სტრიტი“, სანქციები ირანის წინააღმდეგ, საპროტესტო აქციები მოსკოვში, 11 სექტემბრის ათი წლისთავი და მსოფლიო ტერორიზმის საფრთხეზე, პუტინის გადაწყვეტილება მესამე ვადით პრეზიდენტის პოსტზე კენჭისყრის შესახებ - ეს არასრული ჩამონათვალია იმ საერთაშორისო მნიშვნელოვანი მოვლენების, რაც მოამბის ეთერით დეტალურად გაშუქდა.



საანგარიშო პერიოდში **მოამბის ეთერში ყველაზე დიდი დრო სოციალურ თემატიკას** და იმ პრობლემების გაშუქებას **დაეთმო**, რომელიც საქართველოს მოსახლეობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. პარალელურად, საინფორმაციო სამსახური მაყურებელს ოპერატიულად აწვდიდა ინფორმაციას სხვადასხვა სფეროში მიმდინარე სიახლეებსა და ინიციატივებთან დაკავშირებით. 2011 წელს მოამბის ეთერში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ვეტერანების მიერ გამართულ აქციას, მათ პრობლემებსა და მოთხოვნებს, ეთერში გავიდა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიისა და უცხო ქვეყნების ელჩების განცხადებები ვეტერანთა პრობლემების შესახებ. ვრცლად გაშუქდა დევნილების გამოსახლების პროცესი. რეპორტაჟებში განხილული იყო ის პრობლემები, რაც დევნილებს აწუხებთ. მოამბის ობიექტივში მოხვდა სახალხო დამცველის ანგარიში და ადამიანის უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული პრობლემები.

საინფორმაციო სამსახურმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სეზონური ვირუსების გახშირების ფაქტებს და პრევენციულ ღონისძიებებს. H1N1 ვირუსით დაინფიცირებისა და გარდაცვალების შემთხვევების მატების გამო მოსახლეობაში ინტერესი საკმაოდ მაღალი იყო. ეთერში პერიოდულად გადიოდა სიუჟეტები ვირუსებისგან თავის დაცვის წესებზე, მკურნალობის მეთოდებზე, სპეციალისტების რჩევებზე.

სოციალური თემატიკიდან ყურადღება დაეთმო ქართული ფალისფიცირებული პროდუქციის პრობლემას მსოფლიო ბაზარზე, მომხმარებელთა უფლებების დაცვას, პროდუქციის ხარისხს, თუ რა ხარისხის პროდუქცია შემოდის ქვეყანაში და მოწმდება თუ არა ის. მოამბეში მომზადდა სიუჟეტები ბავშვების მიმართ ძალადობაზე, დედობის უფლებაზე, „გაყიდულ“ ბავშვობაზე და, ზოგადად, ძალადობის სტატისტიკაზე საქართველოში.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პენსიონერთა პრობლემებს, ახალ საპენსიო და სადაზღვევო პაკეტს. მოამბე ასევე დაინტერესდა საავტორო უფლებების და ინტელექტუალური საკუთრების დაცვით, საფოსტო და საკურიერო მომსახურების ხარისხით, მოსახლეობისათვის სასურსათო, ენერგო და სამეურნეო ვაუჩერების დარიგების თემით, მომზადდა რეპორტაჟი მარტოხელა დედების პრობლემებზე და იმ საკანონმდებლო ინიციატივაზე, რომელიც სასამართლოს ალიმენტის განსაზღვრის დამატებით მექანიზმს აძლევს. ძალადობა ქალებსა და ბავშვებზე და ბავშვთა უფლებები მოამბის ერთ-ერთი მთავარი თემაა. საინფორმაციო სამსახურმა მოიძია და გააშუქა არასრულწლოვანებზე ძალადობის არაერთი ფაქტი, მომზადდა სიუჟეტი ზოგადად ძალადობის საგანგაშო სტატისტიკაზე.

მოამბის მაცურებელს საშუალება ქონდა მიეღო ამომწურავი ინფორმაცია ევროპაში გავრცელებულ სამიშ ვირუსის - ეკოლის შესახებ. ქართველი მეზღაურების პრობლემები და დამქირავებელი კომპანიების მიერ მათი უფლებების დარღვევის შესახებ საინფორმაციო სამსახურმა რამდენიმე ვრცელი სიუჟეტი მოამზადა. 2011 წელს საქართველოში სატელეფონო ინდექსების ცვლილებები მოსახლეობის ინტერესის საგანს წარმოადგენდა. შესაბამისად, მოამბის გამოშვებებში ახალ სატელეფონო კოდებზე, მათი ამოქმედების თარიღზე სპეციალური საინფორმაციო რეპორტაჟები მომზადდა. მომზადდა არაერთი სიუჟეტი ჰიბრიდული სიმინდის პროგრამაზე, მის მიმდინარეობასა თუ შედეგებზე.

მოამბის ჟურნალისტების მიერ არაერთი რეპორტაჟი მომზადდა ჯანდაცვის თემაზე, კერძოდ, პაციენტების ექიმებთან დავაზე, ავთიაქებში ჯანმრთელობისთვის რისკის შემცველი და სერთიფიკატების გარეშე ქსელში მოხვედრილი პრეპარატების გაყიდვაზე, წამალდამოკიდებულ ქალებზე, ნარკომომხმარებელ ექიმებზე, აკრძალულ და მავნე კოსმეტიკურ საშუალებებზე, ზოგადად ჯანდაცვის სფეროში არსებულ ვითარებაზე, დარღვევებზე, სადაზღვევო მაქინაციებსა თუ ექიმების სახელფასო პრობლემაზე.



განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ჯანდაცვის სფეროში შექმნილ პრობლემებზე მოამბეში გასული სიუჟეტები: იმუნიზაციის პრობლემა ოკუპირებულ რეგიონებში, მიტოვებული ახალშობილი, კრიმინალური გინეკოლოგია - ექიმი, რომელმაც ორმოცი კვირის ფეხმძიმეს აბორტი გაუკეთა, რაც ბავშვის დაღუპვის მიზეზი გახდა. ჯანდაცვის სფეროში არსებულ ვითარებას მიეძღვნა სიუჟეტები შიდსთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკაზე, ავთიაქების ვიდეოკონტროლზე, პაციენტების საჩივრებსა და იმ შემთხვევებზე, რასაც ექიმებისთვის ლიცენზიის შეჩერება მოჰყვება. ამასთან, მოამბის ჟურნალისტები ჯანდაცვის სფეროში განხორციელებულ იმ სიახლეებსაც აქტიურად აშუქებდნენ, რაც საზოგადოებისთვის ხარიახიანი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობას განაპირობებს, მათ შორის რეგიონებში ახალი სამედიცინო კლინიკების გახსნა.

2011 წელს **მოამბემ განსაკუთრებული აქცენტი გააკეთა უმუშევრობის პრობლემაზე**. ეს თემა სოციოლოგიური გამოკითხვების მიხედვით მოსახლეობისთვის მთავარ პრობლემას წარმოადგენს. შესაბამისად, მოამბე დაინტერესდა იმ ინიციატივებით, რომელსაც ხელისუფლება ამ პრობლემის მოგვარებას აპირებს. მომზადდა სიუჟეტები მცირე მეწარმეების პრობლემებსა და მათთვის განკუთვნილ ინიციატივებზე, მიკრობიზნესის ხელშეწყობის გეგმაზე, დასაქმების სქემაზე.

ასევე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო **პატიმრების უფლებებს და ვითარებას სასჯელაღსრულების დაწესებულებებში**, სწორედ ამ პერიოდში შევიდა პარლამენტში საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, რომელშიც სწორედ საპატიმროებში არსებული მდგომარეობა იყო ხაზგასმული. მოამბის მაცურებელს ქონდა შესაძლებლობა გაცნობოდა განრიდების და მედიაციის პროგრამის არსს, შეეტყო პრობაციონერთა დასაქმების შესახებ.

გაშუქდა ქვეყანაში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობა, საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ქალაქების და ისტორიული უბნების რეაბილიტაცია, პროექტი „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე“.

განათლების სფეროში არსებულ პრობლემებსა და სიახლეებზე არაერთი სიუჟეტი მომზადდა. მოამბის ობიექტივში მოხვდა საატესტატო გამოცდები და მისი ჩაბარების წესები მოსწავლეებისთვის, არჩევითი საგნები, ახალი სასწავლო გეგმა სკოლებში და სერთიფიცირებული მასწავლებლებისთვის განსაზღვრული ხელფასები, გრიფირებული და უფასო სახელმძღვანელოები სკოლებში, სკოლების ინსპექტირება, ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა, ავტორიზაცია, შეჩერებული სასწავლებლები. განათლების სფეროში ახალი ინიციატივების გაჟღერების პარალელურად, მოამბის მაცურებელი ერთ-ერთი პირველი იგებდა დაგმობილი სიახლეების შესახებ.



საინფორმაციო გამოშვებებში მნიშვნელოვანი დრო ეთმობა ეკონომიკას – 2011 წელი ქართული პროდუქტის წლად გამოცხადდა, გამოქვეყნდა ფრეზერის ინსტიტუტის 2010-ი წლის მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგი, სადაც საქართველო წინა წელთან შედარებით 22 პოზიციით დაწინაურდა და 141 ქვეყანას შორის 23-ე ადგილი დაიკავა. მაყურებელმა მიიღო დეტალური ინფორმაცია საართველოს ფასიანი ქაღალდების - ევრობონდების გამოშვების შესახებ, .სავალუტო ფომდის რეკომენდაციებზე, საქარტველოში თუ მის ფარგლებს გარეთ გამართულ ბიზნესფორუმებზე. წლის დასაწყისში ძალაში შევიდა ახალი საგადასახადო კოდექსი. ცვლილებები, რომელიც მეწარმეებსა და ბიზნესმენებს შეეხებათ, მოამბემ თავის რეპორტაჟებში გააშუქა. მაყურებლისთვის განმარტებული იქნა საგადასახადო კოდექსით გატვალისწინებული სიახლის – ბიზნესომბუდსმენის ინსტიტუტის ამოქმედების მიზნები და ფუნქციები. მომზადდა სიუჟეტები ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე - სამთო კურორტი აჭარაში, ბეთანიაში, საქართველო ჰაავის ტურისტულ გამოფენაზე. მოამბემ სპეციულური რუბრიკა მოამზადა ზაფხულში ტურისტული სეზონზე. სპეციალური რეპორტაჟების ციკლი მიედღვნა ზამთრის კურორტების განვითარების თემას, ასევე ეთნოტურიზმის და სამედიცინო ტურიზმის განვითარების პერსპექტივებს.

დღის მთავარ გამოშვებაში გარკვეული დრო ეთმობა კრიმინალს. მთელი წლის მანძილზე გაშუქებულია სხვადასხვა დანაშაულის ფაქტები და უბედური შემთხვევები თბილისსა და რეგიონებში. მომზადდა სიუჟეტები კრიმინალურ ფაქტებზე – ძარცვის, ყაჩაღობის, მკვლელობის შემთხვევებზე. ქართული და არამართო ქართული მედიის ყურადღების ცენტრში მოხვდა იანვარში თბილისში, სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" საფრანგეთის მოქალაქის – სტეფან კოენის მკვლელობა. ვრცელი რეპორტაჟი მომზადდა წლების წინ ზარაფხანის სკანდალური ძარცვის საქმის გახსნაზე, რამდენიმე დღის განმავლობაში მოამბის სპეციალური კორესპონდენტი მუშაობდა სტამბოლში, სადაც მცირეწლოვანის სასტიკი მკვლელობის ბრალდებით საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს. ასევე გაშუქდა სტამბოლში ერთ-ერთი სასტუმროს მეპატრონის მკვლელობა, ექვმიტანილი საქართველოს მოქალაქე კი ქართველმა სამართალდამცავებმა აიყვანეს.

მოამბის ჟურნალისტების ყურადღების ცენტრში მოექცა **სასამართლო სისტემაში განხორცილებული სიახლე**, რაც ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის ამოქმედებას ითვალისწინებს. ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით გამართული პირველი პროცესის მიმდინარეობისა და მათ მიერ გამოტანილი ვერდიქტის შესახებ მოამბის მაყურებელმა დეტალური ინფორმაცია მიიღო.



მოამბეს უყურადღებოდ არ დაუტოვებია მაყურებლებისგან შემოსული წერილები. განსაკუთრებით დახმარებას საინფორმაციო სამსახურს რეგიონებიდან სთხოვდნენ. მოქალაქეთა მომართვის საფუძველზე არაერთი პრობლემური სიუჟეტი მომზადდა და გავიდა ეთერში. მოამბემ სათანადო დრო დაუთმო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების პრობლემებს, რეპორტაჟებში აქცენტი გაკეთდა იმ ძირითად ხელისშემშლელ ფაქტორებზე, რაც ერთგვარად აფერხებს შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანების ინტეგრაციას და მათ გადაადგილების პრობლემებს უქმნის. კერძოდ, არასათანადო ინფრასტრუქტურა და მოუწყობელი საზოგადოებრივი ტრანსპორტი. გაშუქდა სხვადასხვა თანდაყოლილი დაავადების მქონე მოზარდების და ბავშვების სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ცენტრების საქმიანობა და ბავშვებთან მუშაობის მეთოდი.

მოამბის მთავარ გამოშვებაში და ასევე სპეციალურ დღის გამოშვებაში, რომელიც უშუალოდ რეგიონების პრობლემატიკას ეძღვნება, მიმდინარე წელს არაერთი რეპორტაჟი დაეთმო რეგიონის პრობლემებს.

მოამბის მთავარ გამოშვებაში ტრადიციულად ცალკე ბლოკი ეძღვნება სპორტისა და კულტურის სიახლეებს. საანგარიშო პერიოდში მომზადდა სიუჟეტები კულტურის სფეროში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანი მოვლენაზე, მსოფლიო ვარსკვლავების ვიზიტზე, საქართველოსა თუ მის ფარგლებს გარეთ გამართულ კონცერტებსა და საიუბილეო საღამოებზე. რეპორტაჟების ციკლი მიედღვნა თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ძეგლების რესტავრაციის თემას, ფირისმანის შედეგების უკანონოდ გაყიდვის შემთხვევებს, უნიკალურ არქეოლოგიურ აღმოჩენებს.

მოამბის სპორტის ბლოკში აქტიურად გაშუქდა სპორტული მოვლენები, როგორც საერთაშორისო ტურნირები, ასევე ეროვნული ჩემპიონატების მიმდინარეობა სხვადასხვა სახეობაში.

საანგარიშო პერიოდში მოამბეში ქვეყანასა და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე ყველა აქტუალური ფაქტი და მოვლენა გაშუქდა. მაყურებელს საშუალება ჰქონდა ოპერატიულად მიეღო ინფორმაცია და გაცნობოდა სხვადასხვა პოზიციას.

მთელი თვის განმავლობაში საინფორმაციო გამოშვების ყურადღების ცენტრში მოხვდა არაერთი ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში მიმდინარე პრობლემები. მოამბემ დაიცვა და შეასრულა ის პრიორიტეტები, რაც მისთვის, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო სამსახურისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.


საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ „აქცენტები“

გადაცემის ავტორი და წამყვანი - ეკა კვესიტაძე

თოქ-შოუ ეძღვნება კვირის მთავარი პოლიტიკური მოვლენების განხილვასა და შეფასებას - პოლიტიკოსებთან, ექსპერტებთან და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად.

გადაცემის თემა შეიძლება იყოს შიდაპოლიტიკური საკითხები, საგარეო ურთიერთობები, კონფლიქტების პრობლემა, მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოვლენები. თოქ-შოუში „აქცენტები“ ძირითად სტუმრებთან ერთად, ჩართულია სტუდიაში მყოფი აუდიტორია, რომელიც სვამს შეკითხვებს და მონაწილეობს დისკუსიაში.

„აქცენტები“ ანალიტიკური გადაცემაა, სადაც გადაცემის წამყვანი მწვავე შეკითხვებსასვამს და ყველაზე რთულ და მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით ამომწურავი პასუხების მიღებას ცდილობს.



2011 წელს გაშუქებული თემებია:

იანვარი

- დევნილების გასახლება
- ინფლაცია - საქართველოს მთავრობის მთავარი გამოწვევა
- პრეზიდენტის სატელევიზიო კონფერენცია
- საქართველო-თურქეთის შეთანხმება ქართულ ძეგლებთან დაკავშირებით

თებერვალი

- ეგვიპტის კრიზისი
- ძალადობა ოჯახში
- პრეზიდენტის ყოველწლიური ანგარიში პარლამენტში
- რამდენად ადეკვატურად პასუხობს ხელისუფლება ქვეყნის წინაშე მდგარ ეკონომიკურ გამოწვევებს და მოდერნიზაცია მხოლოდ თეორია თუ რელობა.
- არამთავრობო სექტორი - მთავარი პრობლემები და გამოწვევები
- „ამაობას არ ემონება“ - თამარა კვესიტაძის ახალი მემორიალი გორში
- დებატები ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის
- თემები: დემოკრატიული რეფორმები და უსაფრთხოება სოფლის მეურნეობა და ინფლაცია.
- რას უწუნებს ამერიკის ელჩი ქართველ ჟურნალისტებს

მარტი

- ლიბიის კრიზისი
- „მორიგი გამოცხადებული რევოლუცია“
- მიწისძვრა/ცუნამი იაპონიაში
- დებატები - ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის
- „შეფიცულები“ – სახალხო კრების ყრილობა
- სახელმწიფოსა და ბიზნეს შორის ურთიერთობა
- რამდენად კარგად შეასრულა საქართველომ ”ევროპის სამეზობლო პოლიტიკის” ფარგლებში აღებული ვალდებულებები. რა წერია იმ ანგარიშში, რომელიც ფონდმა ”ღია საზოგადოება - საქართველომ” წარმოადგინა და რატომ გამოიწვია ამ შეხვედრაზე საფრანგეთის ელჩის გამოსვლამ დიდი გაუგებრობა.
- „ქურდებს სიცოცხლე ბოზებს სიკვდილი“ - რა მიზანი ჰქონდა ზაზა ბურჭულაძის პროვოკაციულ გამოსვლას.

აპრილი

- სახალხო დამცველის ანგარიში
- დებატები საპარლამენტო უმრავლესობასა და უმცირესობას შორის
- რა აწუხებს ყველაზე მეტად ხალხს? ნდვ-ის გამოკითხვა
- რა სტერეოტიპებს აშარყებს ახალი ქართული ფილმი „ჭამა და სექსი“
- ტურიზმი
- რა პოტენციალი და პრობლემები აქვს ქართულ ტურიზმს და რა კეთდება უფრო მეტი უცხოელი ტურისტის მოსაზიდად
- ნარკომანიის პრობლემა
- უნდა მოხდეს თუ არა მოხმარების დეკრიმინალიზაცია და შეიძლება თუ არა მსუბუქი ნარკოტიკის ლეგალიზაცია

მაისი

- სტუდენტების აქცია ჯავახიშვილის უნივერსიტეტში, რას ითხოვენ სტუდენტები და რამდენად ადექვატურად რეაგირებს მათ მოთხოვნებზე უნივერსიტეტის ადმინისტრაცია
- ოპოზიციის ორი გზა
- როგორ პასუხობს სოზარ სუბარის ბრალდებებს ალასანია, ესაუბარა თუ არა ის ლავროვს დაფინანსებასზე
- ირაკლი ალასანია ციურიხიდან
- ანტიამერიკანიზმი და რუსული ფული
- ოპოზიციის აქცია საზოგადოებრივ მაუწყებელთან
- 26 მაისი აქციის დარბევა



ივნისი

- რამდენად სწორად და ადექვატურად ვაანალიზებთ მწვავე პოლიტიკურ კრიზისებს - რა ჭარბობს ამ ანალიზში - სადი აზრი თუ ემოცია. რას უფრო მეტი ძალა აქვს ასეთ თემებზე კამათისას - ფაქტებს და არგუმენტებს. აქცენტებში ხმაურიანი პოლიტიკური მოვლენების და აგვისტოს ხუთი დღის პომპეზური პრემიერის შეფასებებით
- რობერტ სტურუას შეხვედრა რუსთაველის თეატრში. არის თუ არა მის განცხადებებში ქსენოფობიური და რასისტული გამონათქვამები. სხავადასხვა მოსაზრებებით:

- როგორ პასუხობს უმრავლესობის შემოთავაზებებს რვიანი

ივლისი

- თანამედროვე ქართული მუსიკა და ირაკლი ჩარკვიანი

ოქტომბერი

- ივანიშვილი პოლიტიკაში მიდის
- როგორ ხედავენ პოლიტიკოსები ახალ რეალობას, რომელიც ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ შეიქმნა.
- რა შთაბეჭდილებით დატოვეს ივანიშვილის რეზიდენცია უცხოელმა დიპლომატებმა
- მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია რუსეთის პასუხს ელოდება. საქართველო უკვე
- დათანხმდა შვეიცარიის მიერ მომზადებულ კომპრომისულ წინადადებას
- ევროს კრიზისი
- კრიზისის ორი წელი - ევრო სერიოზული გამოწვევების პირისპირ - უჩნას თუ
- არა ბოლო ევროზონის ფინანსურ პრობლემებს და აისახება თუ არა ეს კრიზისი
- საქართველოზე



ნოემბერი

- ვინ რას ფიქრობ ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენციაზე,
- როდის შეიქმნება ახალი ერთობა მილიარდერის მფარველობის ქვეშ - რა
- გააერთინებს ყოფილ პარტნიორებს. ისევ აპირებს თუ არა ბურჯანაძესთან
- ივანიშვილი პოზიციებს შეთანხმებას.
- რა შედეგით დამთვარდა ნატოს გენერალური მდივნის ვიზიტი საქართველოში
- ქართუ ბანკი
- ვარდების რევოლუციის რვა წლისთავი. რისი გაკეთება მოახერხა ხელისუფლებამ- და რა არის მისი ყველაზე დიდი შეცდომები
- არეულობა ტელეკომპანია მაესტროში - რატომ დაუპირისპირდა ეროსი
- კიწმარიშვილი სხვა დამფუძნებლებს
- რატომ შეხვდა პრესის ასოციაცია ივანიშვილს და ემუქრება თუ არა რამე საფრთხე
- ბეჭდური მედიის გავრცელებას

დეკემბერი

- მოსკოვში მიმდინარე დემონსტრაციები
- მოძრაობა „ქართული ოცნება“ და კალაძის წასვლა ნაკრებიდან
- ირჩევს თუ არა ახალ პოლიტიკურ პარტნიორებად ბიძინა ივანიშვილი კობა დავითაშვილსა და ზვიად ძიძიგურს თავისუფალ დემოკრატებთან და რესპუბლიკელებთან ერთად. შეიცვალა თუ არა ქართული პოლიტიკა მილიარდელის გამოჩენის შემდეგ თუ ის ისევ ერთ წრეში ტრიალებს.
- 2011 წლის შეჯამება

“საჯარო პოლიტიკა”

თოქ-შოუ “საჯარო პოლიტიკა” ქართულ სატელევიზიო სივრცეში ერთადერთი გადაცემა, სადაც საზოგადოებას საშუალება აქვს ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენების განხილვაში უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა. აუდიტორიაში მოწვეული მოქალაქეები პირადად უსვამენ შეკითხვებს გადაცემის სტუმრებს – პოლიტიკოსებსა და ექსპერტებს. აუდიტორიაში წარმოდგენილები არიან სხვადასვა პროფესიის, ასაკის და სოციალური სტატუსის მქონე პირები, რომლებიც თავად ირჩევენ მათთვის საინტერესო თემას და თავად სვამენ ამ თემებთან დაკავშირებით შეკითხვებს.

გადაცემა ეთერშია თვეში ერთხელ. თოქ-შოუში განიხილება ის თემები, რომელიც მთელი თვის განმავლობაში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. “საჯარო პოლიტიკაში” წარმოდგენილია როგორც პოლიტიკური და სოციალური თემები, ასევე ეკონომიკის, კულტურის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები. გადაცემა იწერება ყოველი თვის ბოლო პარასკევს, ხოლო ეთერში გადის მეორე დღეს, შაბათს 22 საათზე. გადაცემის წამყვანია ეკა მიშველაძე.



თოქ-შოუს ფორმატი საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ბრიტანული ტელეკომპანია ბიბისის პროდიუსერის მარი ირვინის უშუალო მეთვალყურეობით მოამზადა. მარი ირვინი ბრიტანეთში ამავე ფორმატის გადაცემის პროდიუსერია. მისი უშუალო მონაწილეობით მომზადდა “საჯარო პოლიტიკის” საპილოტე გადაცემა, ასევე პირველი გადაცემა, რომელიც ეთერში გავიდა 29 იანვარს. ბიბისის წარმომადგენლის გარდა “საჯარო პოლიტიკას” მონიტორინგ უწევს ბრიტანეთის საელჩო საქართველოში. ბრიტანეთის საელჩოს ეგზავნება ეთერში გასული გადაცემის სრული ვიდეო ჩანაწერი.

“საჯარო პოლიტიკის” საპილოტე გადაცემა საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ეთერში 2 ოქტომბერს აჩვენა.

ბიბისის წარმომადგენელთან ერთად ფორმატის დახვეწის შემდეგ კი გადაცემა იანვრიდან ეთერში რეგულარულად არის ყოველი თვის ბოლო შაბათს. საზოგადოებრივი მაუწყებელმა ბიბისისთან შეთანხმებით უკვე მარტიდან დაამატა ახალი სეგმენტი, რაც თოქ-შოუში რეგიონების მოსახლეობის ჩართვას და მათ პრობლემებზე დისკუსიას გულისხმობს.

საანგარიშო პერიოდის პირველი გადაცემა ეთერში გავიდა 29 იანვარს და “საჯარო პოლიტიკის” თემები იყო: ინფლაციის ზრდა, დევნილების გამოსახლება, ვეტერანების პრობლემები. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა. გადაცემაში მონაწილეობა მიიღეს:

თებერვალი - “საჯარო პოლიტიკაში” წარმოდგენილი იყო შემდეგი თემები: უმუშევრობის პრობლემა საქართველოში. ბიზნესის და მეწარმეების მდგომარეობა ქვეყანაში. განათლების რეფორმა. ძალადობის ფაქტები და სამოქალაქო პასუხისმგებლობა.

მარტი - “საჯარო პოლიტიკის” აუდიტორიამ და სტუმრებმა დისკუსია გამართეს შემდეგ თემებზე: საარჩევნო კონსულტაციები, საპენსიო რეფორმა, განათლება და შრომის ბაზარი, რეგიონი - გამრიცხველიანება და საგაზაფხულო სამუშაოები.

აპრილს - იმის გათვალისწინებით, რომ აპრილში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად სახალხო დამცველის ანგარიში იქცა, “საჯარო პოლიტიკაში” ამ ანგარიშში ასახული პრობლემების განხილვას საეთერო დროის დიდი ნაწილი დაუთმო. გადაცემის ორი მთავარი თემა სწორედ ანგარიში ასახული საკითხები გახდა - ვითარება სასჯელადსრულების სისტემაში და დევნილთა მდგომარეობა საქართველოში. აპრილში გადაცემის თემა იყო ასევე ახალი ინიციატივა, რომელიც ბიზნეს აუდიტორული კომპანიის არჩევის შესაძლებლობას ანიჭებს და შანს აძლევს შემოსავლების სამსახურის მხრიდან დაკისრებულ ჯარიმას აიცილოს. აპრილში განხორციელდა ჩართვა რეგიონიდან.



საჯარო პოლიტიკის მისის გადაცემა ეთერში გავიდა 29 აპრილს კვირას, (შაბათის ნაცვლად, ჩემპიონთა ლიგის ფინალის ტრანსლაციის გამო). მისში ოპოზიციის ერთი ნაწილის საპროტესტო აქციები და ხელისუფლების განცხადებები რუსულ კავშირებზე საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა. შესაბამისად, საჯარო პოლიტიკის მთავარ თემებს შორის ეს საკითხებიც მოხვდა. გადაცემის თემები იყო: რუსული ინტერესები და ქართული ოპოზიციის გეგმა – რა საფრთხე არსებობს რუსეთისგან და შესაძლოა თუ არა კრემლმა დასაყრდენი იპოვის ქართულ პოლიტიკურ ძალებში. მანიფესტაციები და კანონი – სად გადის ზღვარი გამოხატვის თავისუფლებასა და კანონის მოთხოვნას შორის. შრომის კოდექსი – რამდენად თანაბრად იცავს შრომის კანონმდებლობა დამსაქმებლის და დასაქმებულის უფლებებს და რა უნდა შეიცვალოს კოდექსში. დანაშაულის განრიდების პროგრამა – რა ეფექტი მოგვცა არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის ალტერნატიულმა სასჯელმა და როგორ განხორციელდება ეს პროგრამა სრულწლოვან ბრალდებულებში.

იენისი - “საჯარო პოლიტიკის” თემატიკაც ყველაზე აქტუალური საკითხების მიხედვით შეირჩა. იმის გათვალისწინებით, რომ იენისში საქართველოს რეგიონების მოსახლეობა სერიოზულად დააზარალა სტიქიამ, რასაც ადამიანების მსხვერპლიც მოჰყვა, გადაცემაში განხორციელდა პირდაპირი ჩართვა ერთ-ერთი ყველაზე დაზარალებული რეგიონიდან – ხაშურის რაიონიდან. დაბა სურამისა და სოფელ ჩუმათელეთის მოსახლეობას საშუალება ჰქონდა ესაუბრა საკუთარ პრობლემებზე და დაესვა კითხვები სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და დახმარების აუცილებლობის შესახებ. გადაცემაში ასევე განხილული იყო პრობლემა, რომელიც ევროპაში საშიში ინფექციის – ეკოლის ვირუსის გავრცელებას უკავშირდება. დაცულია თუ არა ქართული ბაზარი, რამდენად უსაფრთხოა პროდუქცია და რა პრევენციული ღონისძიებები უნდა გატარდეს დაავადების გავრცელების თავიდან ასაცილებლად – ამ და სხვა კითხვებზე “საჯარო პოლიტიკის” აუდიტორიამ და მყურებელმა სტუმრებისგან საკმაოდ ამომწურავი პასუხები მიიღეს.

იენისის გადაცემის თემა გახდა საარჩევნო კოდექსი და რვიანსა და ხელისუფლებას შორის კონსულტაციების დასკვნითი სტადია. უმრავლესობის წარმომადგენლის მხრიდან “საჯარო პოლიტიკის” სტუდიაში გაკეთდა განცხადება, რომ საბოლოო პოზიცია უახლოეს საათებში გახდებოდა ცნობილი.

“საჯარო პოლიტიკაში” იენისში განათლების თემატიკაც გამოუქდა. სკოლებში ჩატარებული საატესტატო გამოცდები და მზადება ეროვნული გამოცდებისთვის – აუდიტორიაში მოწვეულმა სტუმრებმა ამ თემაზე განსხვავებული და საინტერესო მოსაზრებები გამოთქვეს. აუდიტორიის შეკითხვებს ტრადიციულად ოთხი მთავარი სტუმარი პასუხობდა.

ივლისის ერთ-ერთი მთავარი თემა ფოტორეპორტიორების ჯაშუშობის ბრალდებით დაკავება გახდა. საჯარო პოლიტიკაში მონაწილე აუდიტორიას საშუალება ჰქონდა მთავარი სტუმრებისთვის შეკითხვები დაესვა და მათი განსხვავებული პოზიცია და არგუმენტები მოსემინა. გადაცემაში ასევე განხილული იყო დედაქალაქიდან დევნილების განსახლების მორიგი ეტაპი. თოქ-შოუს თემა ასევე იყო ზაფხულის სეზონის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემა – ტურისტული სეზონი. გადაცემაში მოწვეულმა სტუმრებმა უპასუხეს აუდიტორიის შეკითხვებს თუ რამდენად შეესაბამება საქართველოში არსებული ფასები სერვისს და რამდენად ხელმისაწვდომია საქართველოს კურორტები საშუალო ფენისთვის. გადაცემაში ტრადიციულად ჩართული იყო რეგიონიც. საკუთარ პრობლემებზე შეკითხვები ქვემო ქართლის სოფელ წერეთლის მოსახლეობამ დასვა.

თოქ-შოუ ‘საჯარო პოლიტიკა’ ახალ სატელევიზიო სეზონზე ეთერში სექტემბრის ბოლოდან დაბრუნდა. გადაცემა ეთერში პირველ ოქტომბერს გასული თვის ყველაზე მნიშვნელოვანი თემატიკით გავიდა. მათ შორის თვის ყველაზე ხმაურიანი თემით – ჰიბრიდული სიმიინდის პროგრამასთან დაკავშირებული დისკუსიით. თოქ-შოუში მონაწილეობა მიიღო სამეგრელოს მოსახლეობამ. სენაკის რაიონის სოფელ თეკლათში მცხოვრებმა გლეხებმა და ფერმერებმა სტუდიაში მოწვეულ მთავარ სტუმრებს და აუდიტორიას შეკითხვები დაუსვეს და პრობლემები გააცნეს. იმის გათვალისწინებით, რომ სიმიინდის პროგრამასთან დაკავშირებით მწვავე დებატები პარლამენტშიც მიმდინარეობდა გადაცემის სტუმრები საპარლამენტო უმრავლესობის და უმცირესობის წარმომადგენლები იყვნენ. თოქ-შოუს თემა ასევე იყო დასაქმებულთა სავალდებულო დაზღვევის შესახებ ინიციატივა, ახალი სასწავლო წელი და განათლების სისტემის ახალი პრიორიტეტები.

ოქტომბერშიც საჯარო პოლიტიკაში თვის ყველაზე აქტუალური თემები გამოუქდა. ბიძინა ივანიშვილის მიერ პოლიტიკური გეგმების შესახებ განცხადებამ საზოგადოების ინტერესი გამოიწვია. შესაბამისად, საჯარო პოლიტიკა შეეცადა აუდიტორიას მოწვეული სტუმრებისგან მიეღო პასუხი კითხვაზე, თუ რატომ გადაწყვიტა ბიზნესმენმა პოლიტიკაში მოსვლა. ერთ-ერთი აქტუალური თემა ასევე იყო რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე საქართველოს თანხმობა და ის პირობები, რომლის გაზიარებაც მოსკოვს მოუხდა.

ოქტომბერში გადაცემაში მოწვეული აუდიტორიის დაინტერესება გამოიწვია დასაქმების პრობლემებმა. “საჯარო პოლიტიკაში” ტრადიციულად განხორციელდა ჩართვა რეგიონიდან. ოქტომბერში გადაცემაში მონაწილეობა რაჭის მოსახლეობამ მიიღო. ამბროლაურის რაიონის სოფელ ხვანჭკარას მცხოვრებთა შეკითხვები ძირითადად რთველთან დაკავშირებულ პრობლემებს უკავშირდებოდა.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მონაწილეობით პირველი სასამართლო გაიმართა, ნოემბერში საჯარო პოლიტიკის ერთ-ერთი თემა სწორედ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ამოქმედება გახდა. გადაცემაში მონაწილე აუდიტორიამ შეკითხვები დასვა დასაქმებულთა დაზღვევასთან დაკავშირებითაც. ერთ-ერთი თემა, რომელზეც სტუდიაში დისკუსია გაიმართა ასევე იყო ევროპარლამენტის მიერ მიღებული რეზოლუცია, საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი და დეოკუპაციის პერსპექტივა. ნოემბერში “საჯარო პოლიტიკაში” მონაწილეობა აჭარის რეგიონის მოსახლეობამ მიიღო. ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანის მოსახლეობის შეკითხვები ციტრუსის რეალიზაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს შეეხებოდა.

დეკემბერში “საჯარო პოლიტიკა” ნაწილობრივ შეცვლილი ფორმატით გავიდა ეთერში. თვის მთავარი მოვლენების განხილვის ნაცვლად, ამჯერად მოწვეულ სტუმრებსა და აუდიტორიას საშუალება ჰქონდა წლის შემაჯამებელ თოქ-შოუში მიეღოთ მონაწილეობა. 2011 წლის მთავარი პოლიტიკური მოვლენები და მხადება საპარლამენტო არჩევნებისთვის, წლის ყველაზე მწვავე სოციალური პრობლემები და განათლების სფეროში დაგეგმილი სიახლეები – ამ თემებზე აუდიტორია აქტიურად ჩაერთო დისკუსიაში და არაერთი კითხვა დაისვა.

“საჯარო პოლიტიკა” მკაცრად იცავს პროექტის ფარგლებში განსაზღვრულ ფორმატს და სტანდარტებს, რომლის თანახმადაც, გადაცემაში მუდმივად არის წარმოდგენილი სხვადასხვა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი, რომელსაც საშუალება აქვს დებატები აწარმოოს ხელისუფლების წარმომადგენელთან. ყველა გადაცემაში ასევე მონაწილეობდნენ დამოუკიდებელი ექსპერტები, აუდიტორიის შერჩევა კი ხდება სხვადასხვა პოზიციის მქონე ადამიანებისგან. აუდიტორიის სტუმრები არიან სხვადასხვა პროფესიის, ასაკის და სოციალური ჯგუფის ადამიანები.



თოქ-შოუ “დიალოგი დავით პაიჭაძესთან”

თოქ-შოუ “დიალოგი დავით პაიჭაძესთან” ეთერშია 2009 წლის ნოემბრიდან კვირაში ორჯერ სამშაბათსა და ხუთშაბათს 22 საათზე. ახალი სატელევიზიო სეზონიდან, გადაცემის ქრონომეტრაჟი 50 წუთს შეადგენს, რაც საშუალებას იძლევა მთავარი პოლიტიკური, ასევე სხვა სფეროს მნიშვნელოვანი მოვლენები თოქ-შოუში დეტალურად იქნას წარმოდგენილი.

“დიალოგი დავით პაიჭაძესთან” საინფორმაციო-ანალიზური თოქ-შოუა, სადაც მთავარ თემებთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიციების წარმოდგენა, განხილვა და ანალიზია შესაძლებელი. გადაცემის მიზანია ხელი შეუწყოს მრავალფეროვნებისა და რაციონალური არგუმენტების წარმოჩენას, მაცურებლის ყურადღება მიაპყროს როგორც ცნობილ და აქტუალურ, ისე შედარებით ჩრდილში მოქცეულ, რელევანტურ პრობლემებს. გადაცემის სტუმრები არიან პოლიტიკოსები, ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლები, დამოუკიდებელი ექსპერტები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები. ახალი სეზონიდან გადაცემის ფორმატი ითვალისწინებს დებატებს, შესაბამისად ახალი საეთერო სეზონიდან თოქ-შოუს სტუდიაში. რამდენჯერმე შედგა დებატები მნიშვნელოვან პოლიტიკურ თემებზე.

თოქ-შოუში განვლილი პერიოდის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა გაშუქდა:

იანვარი

- არის თუ არ არის ენები მეგრული და სვანური.
- საქართველოს პრეზიდენტის 3 საათიანი საჯარო კითხვა-პასუხი მოქალაქეებთან პირდაპირ ეთერში.

თებერვალი

- ბიზნესისა და სახელმწიფოს ურთიერთობები.
- ძეგლების აღდგენის ხელშეკრულება.
- რა შეტყობინებას უგზავნის საქართველო დანარჩენ მსოფლიოს უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებზე მიუხეხნეში გამართული ყოველწლიური კონფერენციიდან.
- საპარლამენტო ოპოზიციის მზადება პარლამენტში პრეზიდენტის ყოველწლიური ანგარიშის წარდგენის წინ.
- საქართველოს მწვანეები,
- გარემოს დაცვის პოლიტიკა, სამინისტროს რეორგანიზაცია.
- არასრულწლოვანთა დანაშაული და პასუხისმგებლობის ფორმა.
- ბაქარ და ლაშა ლუტიძეების დაკავების დეტალები.
- დაზღვევა
- ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ახალი დეტალები, კომისიის დასკვნა.
- სოფლის მეურნეობა.



მარტი

- რეადმისიის ხელშეკრულების ამოქმედება, საქართველოსა და ევროკავშირის შორის სავიზო რეჟიმის გამარტივება.
- დავა "ცენტრ-პონტის" სამართალმემკვიდრე კომპანია "დექსუსსა" და დაზარალებულ კლიენტებს შორის.
- იაპონიის მიწისძვრა, რადიაციის საფრთხე.
- განათლების და მეცნიერების სამინისტროს ახალი კანონპროექტი უმაღლესი განათლების შესახებ.
- დებატები საქართველოს პარლამენტში საქართველოს მთავრობის წევრთა მონაწილეობით .
- სოციალური ქსელების და სოციალური მედიის როლი. მათი განვითარების პერსპექტივა.
- რუსეთისა და ოკუპირებული აფხაზეთის საზღვარზე შექმნილი ვითარება.

აპრილი

- ჰააგაში, გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს უარი რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს სარჩელის განხილვაზე.
- ბავშვთა სახლებში არსებული მძიმე ვითარება სახალხო დამცველის ყოველწლიურ ანგარიშში მოხვდა.
- კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის დაკვეთით "ბი-სი-ჯის" მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები.
- ოპოზიციური რვიანი და მოლაპარაკებები საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად.
- ქართული ენის დღე.
- ქართული ღვინის დაცვა უცხოეთში. დაზღვევა და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა.
- საღვთისმეტყველო განათლება საქართველოში.
- რუსეთი - ვმოს წევრობა - საქართველოს პოზიცია.
- სანდრო ირგვლიანის საქმე სტრასბურგში. ოპოზიციური რვიანის პოლიტიკა. ეროვნული ფორუმი, თავისუფალი დემოკრატები.

მაისი

- გამოცხადებული რევოლუცია.
- პოლიტიკა ინფლაციის შესამცირებლად. შეხვედრა პარლამენტში შსს-ს წარმომადგენლებთან. რელიგიური მრავალფეროვნება, საქართველოს ბაპტისტურ-ევანგელური ეკლესიის ეპისკოპოსი.
- ცვლილებები შრომის კანონმდებლობაში. ახალი ეკონომიკური სკოლა, ქართული პარტია კახეთში.
- ბავშვთა სახლების დეინსტიტუციონალიზაცია. სტუმრები გაეროს ბავშვთა ფონდის ბავშვთა კეთილდღეობის პროგრამის ხელმძღვანელი საქართველოში.
- კვლევა უსაფრთხოების შესახებ. შიდა პოლიტიკის პრობლემები.
- სახალხო კრების განზრახვები. ევროპული კვირეული თბილისში.
- სიტუაცია აქციის დაშლის შემდეგ.
- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე ბავშვთა რეალური და მედიაში ასახული პრობლემები.

ივნისი

- საქართველოს ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები. 26 მაისი აქციის დაშლის შემდეგ „გაუჩინარებული“ ადამიანები.
- სახალხო დამცველის მოხსენება და პატიმართა უფლებების პრობლემური ასპექტები.
- ხელისუფლებისა და ოპოზიციის ურთიერთობები რადიკალური ტალღის დაცხრომის შემდეგ.
- სასამართლოსადმი ნდობის პრობლემა.
- სასკოლო საატესტატო გამოცდები: მიმდინარეობა და შედეგების ანალიზი;
- ოპოზიციური რვიანის დასასრული.

ივლისი

- კანონი რელიგიურ გაერთიანებათ რეგისტრაციის წესის შესახებ.
- ბოლო პერიოდის საკანონმდებლო ცვლილებები, „ფოტოგრაფების საქმე“, უსაფრთხოების, თვითმმართველობის, მომავალი არჩევნების საკითხები

ოქტომბერი

- “ახალი მემარჯვენეები” დაარსებიდან 10 წლის თავზე, რას ნიშნავს პოლიტიკური პარტიის განახლება.
- ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურ პარტიას ქმნის, რა მოტივები და მიზნები შეიძლება ჰქონდეს ივანიშვილს საჯარო ასპარეზზე გასასვლელად.
- ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის ღია წერილები და განცხადებები. ვისთან აპირებს თანამშრომლობას ივანიშვილი, რა გაირკვა ბიძინა ივანიშვილის, როგორც პოლიტიკოსის შესახებ ბოლო ერთი კვირის განმავლობაში.
- ბიძინა ივანიშვილს სხვადასხვა პოლიტიკოსები სტუმრობენ, სააგენტო “როიტერთან” მისი ინტერვიუს შემდეგ შეიძლება უკეთ დავაკვირდეთ ივანიშვილის პოლიტიკურ ორიენტირებსა და განზრახვებს.
- რას ითვალისწინებს მოქალაქეებისთვის მომავალი წლის მთავარი ფინანსური კანონი? და მიდგომებით შედგა ბიუჯეტის პროექტი და რატომ აკრიტიკებენ მას.
- ოქტომბერში გამოჩენილი ახალი პოლიტიკური მოთამშე ბიძინა ივანიშვილი. პოლიტიკური პარტნიორები და ხელისუფლების პოზიცია.



ნოემბერი

- ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენცია. რა გავიგეთ ახალი პოლიტიკური ლიდერობის მოსურნე ბიზნესმენის შესახებ.
- საქართველოს პოზიცია რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრინების შესახებ. რა სარგებელი და რისკი ახლავს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრინებით განსაზღვრულ რეჟიმს.
- მთავრობის 10 პუნქტიანი გეგმა, 2012 წლის ბიუჯეტი და მომავალი 4 წლის პროექტები.
- რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების საკითხი ისევ აქტუალური ხდება. ივანიშვილის პოლიტიკურმა შეტყობინებებმა და ნატო-საქართველოს ურთიერთობების აქტუალიზებამ ეს დისკუსი იევ გამოაცოცხლა.
- ხელისუფლებისა და პოლიტიკურ პარტიათა ნაწილის შეთანხმებით შეიქმნა კომისია, რომელიც გადაამოწმებს სარჩევნო სიებს. რა რესურსებით და რა სახის სამუშაო უნდა გასწიოს კომისიამ.
- საქართველოს დიდ ქალაქებში უკვე 1 წელია მუშაობს განრიდებისა და მედიაციის პროგრამა არასრულწლოვანთათვის. როგორ მუშაობს პროგრამა, რა შედეგი აქვს და რა წინააღმდეგობა ხვდება მას.
- ვარდების რევოლუციიდან 8 წელი გავიდა, მოლოდინები , შედეგები და შეფასებები. რა მდგომარეობაა საქართველოში ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით, რამდენად მგრძობიარეა ქართული საზოგადოება და მედია ბავშვთა პრობლემატიკისადმი.
- ქართველ მკითხველს სიახლეს სთავაზობენ, ბაზარზე გამოვიდა ელექტრონული წიგნების წამკითხველი ახალი მოწყობილობა “იოტა რიდერი”. როგორ წარიმართება ურთიერთობები ავტორებსა და გამომცემელს შორის, რა კონკურენციას გაუწევს “იოტა რიდერი” ნაბეჭდ წიგნებს.
- რუსეთის დედაქალაქში საქართველოს კთალიკოს პატრიარქის ერთკვირიანი ვიზიტის შეფასება. სტუმრად თბილისის სასულიერო აკადემიის და სემინარიის რექტორი, პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიდაძე.

დეკემბერი

- ვნებათაღელვა ტელეკომპანია “მაესტროს” გარშემო. მმართველი კომპანია და მესაკუთრეები ერთმანეთს უპირისპირდებიან. რა ინტერესები ეხლება ერთმანეთს მაესტროში.

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები და მდგომარეობა საქართველოში. რა შეუძლია გააკეთოს და რას აკეთებს სამოქალაქო სექტორი და ხელისუფლება საიმისოდ, რომ შშმკ-ებმა თავი სრულფასოვან მოქალაქეებად იგრძნონ.
- რუსეთში ჩატარებულ სახელმწიფო დუმის არჩევნების შედეგებს ამ ქვეყნის მოქალაქეთა ერთი ნაწილი არ ეთანხმება და ქუჩაში გამოდის.
- სოციოლოგიური კვლევების შედეგები.
- პირველი იპოთეკარობის წესის შეცვლა.
- ომბუდსმენის ანგარიში პატიმრების შესახებ.
- საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად ჩატარებული სამუშაო, ვენეციის კომისიის რეკომენდაციები, რომელთა ნაწილი აისახა საარჩევნო კოდექსში.
- სარჩევნო ცვლილებათა პროექტი
- ბიძინა ივანიშვილის ფულის წარმომავლობა
- სასამართლო სისტემა.
- ეროვნული უსაფრთხოების საკითხები ახალი კონცეფცია.
- 2011 წლის შეჯამება. სტუმრად ქალაქ თბილისის მერი გიგი უგულავა.

ნაციონალურ ენებზე მაუწყებლობა

ნაციონალური „მოამბე“

საზოგადოებრივი მაუწყებელი უზრუნველყოფს ნაციონალური უმცირესობების უფლებას, ქართული ენის არცოდნის შემთხვევაში, მიიღონ ინფორმაცია მათ მშობლიურ ენაზე. აქედან გამომდინარე, დიდი ყურადღება ექცევა **ყოველდღიურ მაუწყებლობას - საინფორმაციო გამოშვებებს აფხაზურ, ოსურ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე**. მაყურებლის ინტერესის გათვალისწინებით და მეტი ეფექტურობისათვის, საზოგადოებრივი მაუწყებელი ნაციონალური „მოამბე-ს“ გამოშვებებს ავრცელებს სხვადასხვა ეთერის მეშვეობით. 1 არხით (დილის საათებში), მე-2 არხით (სადამოს საათებში) და ასევე რეგიონალური ტელეკომპანიების ეთერით. ამისთვის შეძენილ იქნა საუკეთესო საეთერო დრო (ე.წ. „პრაიმ თაიმი“ 20:00 სთ-დან 23:00 სთ-მდე) მარნეულის „მარნეული ტვ“-ზე (მიეწოდება „მოამბე“, აზერბაიჯანულ ენაზე), გორის „თრიალეთ“-ზე (მიეწოდება „მოამბე“, ოსურ ენაზე), ზუგდიდის „ოდიშ“-ზე (მიეწოდება „მოამბე“, აფხაზურ ენაზე) და ახალქალაქის „ატვ 16“-ზე (მიეწოდება „მოამბე“, სომხურ ენაზე). ამ პროდუქციას ისინი დებულობენ თანამგზავრის მეშვეობით. ამასთან ერთად ნინოწმინდის და ჭიათურის ტელევიზიები საკუთარი ინიციატივით უფასოდ უთმობენ ეთერს ნაციონალურ „მოამბეს“.

რეგიონალურ სადგურებს მიეწოდებათ საინფორმაციო ბლოკი, რომელიც 8-10 „ნიუსისგან“ შედგება, თითოეული სიუჟეტის ქრონომეტრაჟი საშუალოდ შეადგენს 1.5 წუთს. (ერთ ენაზე გამოშვება საშუალოდ 10 წუთია). სადგურებს აქვთ უფლება დამატებით გაიმეორონ გადაცემები დილისა და სადამოს საათებში. გარდა ამისა, სრული საინფორმაციო კოლაჟი 4 ენაზე (ხანგრძლივობა -40 წთ) გადაიცემა „მეორე არხის“ ეთერში 23:00 სთ-ზე და პირველი არხის ეთერში დილით 7:30 -ზე. რეგიონალურ ტელეკომპანიებს ასევე აქვთ საშუალება მოგვაწოდონ საკუთარი სიუჟეტები. ასევე რედაქციებს შეუძლიათ თავად მოამზადონ რეპორტაჟი მათთვის საინტერესო თემებზე და დაამატონ პირველი არხის საინფორმაციო სამსახურის მიერ მოწოდებულ მასალას.

მიმდინარეობს ასევე „პირველი რადიოს“ ეთერით ნაციონალური უმცირესობების ენებზე რადიო მაუწყებლობაც. ამჟამად საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიოეთერში გადის „ნაციონალური მოამბის“ ახალი ამბების კოლაჟის აუდიოვერსია. აფხაზურ, ოსურ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე საინფორმაციო გამოშვებებთან ერთად კვირაში ერთხელ მზადდება რადიოპროგრამა ქურთულ ენაზეც. ასევე 2011 წელს დაემატა ახალი რადიოგადაცემა - „ჩვენი საქართველო“

ტელეხიდი: თბილისი - ბაქო

2011 წელს საქართველოსა და აზერბაიჯანის საზოგადოებრივი მაუწყებლების მიერ მოეწყო ტელეხიდი, რომელსაც უძღვებოდნენ ჟურნალისტები ზურაბ დვალი (თბილისი) და ტელმან მამედოვი (ბაქო). გადაცემა მომზადდა ნაციონალური უმცირესობების ენებზე მაუწყებლობის რედაქციის მიერ. 16 ოქტომბერს ეთერში გასული ტელეხიდი რომელიც მიემდგნა აზერბაიჯანის მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის მე-20 წლისთავს.

გადაცემა „ჩვენი ეზო“



გადაცემა ეთერშია ყოველ კვირა დღეს. წამყვანი გიორგი გუგუშვილი. იყო გამუქებული ბევრი საინტერესო თემა : „კავკასიური სახლი“, გზების რეაბილიტაციის პროგრამა, ფოტოხელოვნება, პროფესიული განათლების ახალი პროგრამა, ჯანდაცვის საკითხები და ა.შ. ორი გადაცემა მიემდგნა დევნილთა მიმართ სახელმწიფო პროგრამის განახლებულ გეგმას, რომელშიც მონაწილეობდა ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი კობა სუბელიანი და დევნილი მოსახლეობის ის ნაწილი, ვინც

სარგებლობს ამ გეგმის ფარგლებში შემოთავაზებული პროგრამებით და ვინც ჯერ არ არის ბოლომდე გარკვეული მასში. გარდა ამისა ეთერში გავიდა გადაცემები ქართული ფეხბურთისა და საფეხბურთო სკოლების განვითარების თემაზე, ეთერი დაეთმო ასევე მრავალ სხვა საინტერესო საკითხს.

აუსიკალურ-გასართობი გადაცემა „10+10“

საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთ ერთი ყველაზე წარმატებული პროექტი 2011 წელს გახდა მუსიკალური გადაცემა „10+10,, რომელშიც ქართველი და სომეხი მომღერლები იღებდნენ მონაწილეობას. მაყურებელმა იხილა გადაცემის 10 გამოშვება და გალა კონცერტი. ჩატარდა სხვადასხვა ტურები: ჰიტები, კინომუსიკა, რეტრო. ასევე შესრულდა ქართული და სომხური სიმღერები. გადაცემა იმდენად წარმატებული აღმოჩნდა რომ მაყურებლის თხოვნით იგეგმება მისი გაგრძელება. პროექტი სომხეთის საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ აღიარებულ იქნა წლის საუკეთესო პროექტად.

საბრანტო საქმიანობა

2011 წლის მესამე კვარტალში ევროკავშირის გრანტი მოიპოვა ნაციონალური უმცირესობების რედაქციის და „გაეროს ასოციაციის“(NGO) ერთობლივმა პროექტმა. ის ითვალისწინებს პარტნიორი რეგიონალური ტელეკომპანიების ჟურნალისტებისთვის და ოპერატორებისთვის ტრენინგების ჩატარებას პირველ არხზე და ნაც. რედაქციებისთვის ახალი კომპიუტერული ტექნიკის შეძენას.

რადიოგადაცემა „ჩვენი საქართველო“

რადიოგადაცემა “ჩვენი საქართველო” არის ორიენტირებული ეროვნულ და რელიგიურ უმცირესობებზე, მათ სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ-საგანმანათლებლო პრობლემებზე, რადიოგადაცემა ეთნიკურ უმცირესობებს აძლევს საშუალებას მედიასივრცეში მსმენელის წინაშე გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები ამა თუ იმ მოვლენისა და პრობლემის თაობაზე. გააკეთონ კომენტარები ზოგადად ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. გადაცემაში მუდმივად მონაწილეობენ სტუმრები რომლებიც საქართველოში მაცხოვრებელ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენენ.

გადაცემას ჰყავს ორი წამყვანი კობა ჩოფლიანი და გიორგი გუგუშვილი. გადაცემის წამყვანები ახდენენ იმ გამოცდილებისა და ცოდნის რეალიზაციას, რაც მათ დაუგროვდათ ანალოგიურ პროექტებზე

მუშაობისას და სიღრმისეულად შლიან დისკუსიას ეროვნული და რელიგიური უმცირესობების თემაზე. გადაცემის ქრონომეტრაჟი 45 წ. პერიოდულობა – კვირაში ერთხელ (ხუთშაბათი)

პროექტი ხორციელდება დემოკრატიისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ცენტრი, ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ მხარდაჭერით

პროექტი „სამშვიდობო ქარანდისტიკა“

2011 წ. სექტემბრის დასაწყისში, ჩრდილოეთ კვიპროსის ქალაქ ფამაგუსტაში, კავკასიელი ჟურნალისტებისთვის ხუთი დღის განმავლობაში მიდინარეობდა „სამშვიდობო ჟურნალისტის“ სემინარი. აფხაზი, ოსი, აზერბაიჯანელი, სომეხი და ქართველი ჟურნალისტები გაეცნენ კვიპროსის კონფლიქტის ისტორიას და მისი მოგვარების პერსპექტივას. ამ შეხვედრაზე საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტმა ზურაბ დვალმა გაუზიარა კოლეგებს ის გამოცდილება, რომელიც გააჩნია ტელევიზიის სამშვიდობო ჟურნალისტის კუთხით. კერძოდ, ისაუბრა ნაციონალური უმცირესობების ენებზე მაუწყებლობის სპეციფიკაზე, ამ პროდუქციით დაინტერესებული აფხაზური და ოსური მედიისთვის მის მიწოდებაზე. ასევე გამოითქვა სურვილი შეექმნას ერთობლივი ვებ-პორტალი, რომელზეც მხარეებს შეეძლებათ გაცვალონ ვიდეო და აუდიო მასალები, ჩაატარონ გამოკითხვები, მოათავსონ საინტერესო პუბლიკაციები და ა.შ. სავარაუდოდ, მომავალი წლის დასაწყისში გაიმართება მორიგი შეხვედრა ამ თემასთან დაკავშირებით. **პროექტი ხორციელდება ევროკავშირის ხელშეწყობით.**

მიღწეული შედეგები

წინა წლებთან შედარებით, როდესაც ნაციონალური „მომბე“ გადიოდა ერთ ენაზე მხოლოდ ერთხელ კვირაში ისიც დღის საათებში, მაუწყებლობის ახალმა ფორმატმა მკვეთრად გაზარდა გადაცემის მიმართ მაყურებელთა ინტერესი. ფაქტობრივად, მაყურებელს ეძლევა საშუალება მისთვის სასურველ დროს (დილით ადრე ან გვიან საღამოს) როდესაც ის იმყოფება სახლში, უყუროს ნაციონალურ „მომბეს“. ამასთან ერთად საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ეთერისთვის გადახდილი თანხა ასევე სერიოზული ფინანსური დახმარებაა რეგიონალური ტელევიზიებისთვის. **ყოველდღიური მაუწყებლობა იძლევა საშუალებას ოპერატიულად გაშუქდეს დიასპორების ცხოვრება, საინტერესო ფაქტები, გამოჩენილი ადამიანების საიუბილეო თარიღები თუ სხვა მოვლენები დაკავშირებული ნაციონალურ უმცირესობებთან.** თუ თემა ითხოვს უფრო ფართო გაშუქებას და დისკუსიას, თავის საეთერო დროს მას უთმობს თოქ-შოუ **„ჩვენი ეზო“**. ასე მაგალითად, ამ გადაცემაში არაერთხელ იყო წამოწეული რეგიონებში ქართული ენის სწავლების საკითხები. ასევე საინტერესო თემებს და სტუმრებს სთავაზობს რადიოსმენელს გადაცემა **„ჩვენი საქართველო“**. პროგრამა მიმდინარეობს პირდაპირი ეთერით და ატარებს ინტერაქტიულ ხასიათს. რადიოსმენელს ეძლევა საშუალება ჩაერთოს საინტერესო საკითხების განხილვაში სტუდიაში მყოფ ექსპერტებთან ერთად.

მუსიკალური გადაცემა **„10+10“** –ს მეშვეობით ქართველი და სომეხი მაყურებელი მოწმე გახდა საოცარი მეგობრული სულისკვეთებისა, რომელიც სუფევდა სცენაზე. გადაცემამ დიდი მოწონება დაიმსახურა ორივე ქვეყანაში და უდავოდ გადაიქცა ქართულ-სომხურ მეგობრობის ნათელ მაგალითად.

სტატისტიკისთვის: ევროპელ მაუწყებელთა კავშირის (EBU) სტანდარტების მიხედვით, ნაციონალური უმცირესობებისათვის განკუთვნილი ტელეპროდუქცია საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში უნდა მოიცავდეს საშუალოდ 1 საათს თვეში (12 საათი წელიწადში).

სულ 2011 წელს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ნაციონალური უმცირესობების თემატიკას ტელე და რადიოეთერში დაუთმო 316 საათი.

საზოგადოებრივი რადიო

2011 წლის განმავლობაში საზოგადოებრივი რადიომ აწარმოა 70-ზე მეტი სხვადასხვა საინფორმაციო, შემეცნებითი და გასართობი გადაცემა, რომელიც მუსიკის, თეატრის, ხელოვნებისა და ლიტერატურის, მედიცინის, სამართლის, ჯანდაცვის, ბიზნესისა და ეკონომიკის, მედიის, ნაციონალურ უმცირესობათა, სოფლის მეურნეობის, საბავშვო, ევროინტეგრაციისა და მიგრაციის, კულტურული მემკვიდრეობის თემებზე მომზადდა.

პროექტები

პროექტი „საზოგადოებრივი რადიოს მულტიმედიური მაუწყებლობა“

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივმა რადიომ IREX-თან გაფორმებული 9% ყ, ~~10~~ ხელშეკრულების FY12-GMEDIA-Radio1(0100) თანახმად ~~წლი~~ სექტემბრიდან დაიწყო პროექტის „საზოგადოებრივი რადიოს მულტიმედიური მაუწყებლობა“ განხორციელება

პროექტის „საზოგადოებრივი რადიოს მულტიმედიური მაუწყებლობა“ მიზანია ტრადიციულ რადიო-მაწყებლობა გაფართოვდეს ახალი მედია-ტექნოლოგიებით და არხებით პროექტის ფარგლებში ტელე მაუწყებლობისათვის აუცილებელი აპარატურით აღიჭურვება საზოგადოებრივი რადიო ერთის სტუდია და ცენტრალური სააპარატო

პროექტის საერთო ღირებულებაა \$39,594.33, IREX-ისგან მოთხოვნილი თანხა შეადგენს \$24,879.52-ს ხოლო მაუწყებლის კონტრიბუცია \$14,714.80 -ს

რადიო-2-ის ინტერნეტ მაუწყებლობა

საზოგადოებრივი რადიოს მე-, არხმა უკვე მოიპოვა თავისი მსმენელი და დიდი პოპულარობით სარგებლობს თბილისშიც საანგარიშო პერიოდში რადიო „-მა გააფართოვა არეალი და დაიწყო ინტერნეტ მაუწყებლობა

მთლიანობაში რადიო „-მა მყარად დაიკავა ყველაზე გემოვნებიანი მუსიკის რადიოს სახელი ქართულ რადიოსივრცეში და დიდი პოპულარობაც მოიპოვა

ახალი ვებ-გვერდი

წარმატებული აღმოჩნა საზოგადოებრივი რადიოს ახალი ვებგვერდი რომელიც ახალი წლის წინა დღეებში ამუშავდა პირველივე დღეებში ვებ-გვერდზე შემოსული მომხარებლების რაოდენობამ 4%ს გადააჭარბა რაც მსგავსი ვებ-საიტისათვის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია ვებ-გვერდი ინტერაქტიულია და თანამედროვე სტანდარტებს პასუხობს აღსანიშნავია რომ საზოგადოებრივი რადიო ვებ-გვერდს ანიჭებს დიდ მნიშვნელობას და განიხილავს პროგორც)მაუწყებლობის მე-“ არხს(ყ

რადიოგადაცემები

„ხაზის რადიო“

რეკომენდაციების გათვალისწინებით საზოგადოებრივმა რადიომ საანგარიშო პერიოდში შექმნა ახალი პროექტი. „ხაზის რადიო“ რომლის პრეზენტაციაც “~~წი~~დევკემბერს მოეწყო ახალი გადაცემის კოლექტივი დაკომლექტდა არსებული ადამიანური რესურსებით რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ახალ პროექტთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები პროექტი წარმატებული გამოდგა და მსმენელთა მოწონება მოკლე პერიოდში დაიმსახურა გადაცემა არის ორიგინალური და თავის ჟანრში ერთადერთი ქართულ რადიოსივრცეშიც





პროექტი „ადვოკატირება კომერციული სამართლის გაუმჯობესებისა და დანერგვისათვის“

საზოგადოებრივი რადიოს მხარდაჭერით არასამთავრობო ორგანიზაცია „წ.-ე მუხლმა“ და „ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციმ“ მოიპოვეს ევრაზიის ფონდის დაფინანსება პროექტზე „ადვოკატირება კომერციული სამართლის გაუმჯობესებისა და დანერგვისათვის“
პროექტის მხარდაჭერისათვის საზოგადოებრივი რადიო ყოველთვიურად :%% აშშ დოლარს მიიღებს

უფლება და თავისუფლება

საზოგადოებრივმა რადიომ მონაწილეობა მიიღო საქართველოში გაეროს წარმომადგენლობის მიერ გამოცხადებულ კონკურსში (წარადგინა პროექტი)უფლება და თავისუფლება(და მოიპოვა გრანტი პროექტი მიზნად ისახავს სამოქალაქო განათლების ზრდას და საზოგადოებისათვის ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული მდგომარეობისა და ტენდენციების გაცნობას პროექტი ხაზს უსვამს განვითარებისადმი ? თვე შეადგინა პროექტის საერთო ბიუჯეტმა გადააჭარბა №%წილარს

ჩვენი საქართველო

საზოგადოებრივი რადიო „დემოკრატიისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ცენტრთან“ ერთად ახორციელებს საგრანტო პროექტს „ჩვენი საქართველო“ გადაცემა ეძღვნება ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების საკითხს რაც საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთ-ერთი პრიორიტეტია



ტელე-რადიო პროექტები

საანგარიშო პერიოდში დაიწყო ტელე-გადაცემა)სი ბემოლი(რომელიც საზოგადოებრივი რადიოსა და პირველი არხის ერთობლივი პროდუქციაა ამ პროგრამის ტელევერსია შეიქმნა მას შემდეგ რაც გადაცემამ რამდენიმე წლის განმავლობაში რადიომსმენელებს შორის დიდი პოპულარობა შეიძინა

წარმატებულად გრძელდება კიდევ ერთი რადიო პროექტის)ბავშვობანა(ტელეპროექტიც დაიწყო კიდევ ერთი ტელე-პროექტი)უცნობი მუსიკა(რომელიც იმავე სახელწოდების რადიოგადაცემის ტელევერსიას წარმოადგენს

საზოგადოებრივმა რადიომ წლის განმავლობაში მოიხიდა შემდეგი დამატებითი საფინანსო წყაროები

- ერთობლივი და დამოუკიდებელი საგრანტო პროექტები
- სასპონსორო პროექტები
- საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტების შესაბამისი პროექტებისათვის გადაცემების დათმობა და საეთერო დროის გაყიდვა

საერთო ჯამში მსგავსმა შემოსავალმა გადააჭარბა საზოგადოებრივი რადიოს ბიუჯეტის № -ს

მე-2 არხი

„მწიწკლის“ თებერვალს საქართველოს პარლამენტს საზოგადოებრივ მაუწყებელსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის გაფორმებული მემორანდუმის თანახმად „მეორე არხზე“ ყოველდღიურად ამჟამად უკვე „მწიწკლის“ პოლიტიკური სუბიექტის მონაწილეობით პირდაპირ ეთერში გადაიცემა პროგრამა „თავისუფალი ტრიბუნა“ მემორანდუმის ამოქმედებიდან „წელი გავიდა ამ დროის მანძილზე მეორე არხი პირნათლად ასრულებს მემორანდუმით გათვალისწინებულ პირობებს“

თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ პარტიების მხრიდან პერიოდულად ირღვევა მემორანდუმის პირობები კერძოდ

კვლავ ძალიან ხშირია პარტიების მიერ ბრიფინგების ერთი და იმავე დროს დანიშვნის შემთხვევები რაც ძალიან ართულებს არხის შემოქმედებითი გუნდის მუშაობას

პარტიები არ იყენებენ მათთვის განკუთვნილ საეთერო დროს ან უთმობენ მას სხვა სუბიექტებს ისე რომ თვითონ სტუდიაში არ იმყოფებიან

შეგახსენებთ რომ ერთობლივი შეთანხმების მიხედვით „თავისუფალი ტრიბუნა“ სატელევიზიო ბრიფინგის ფორმატია და ამიტომ უმჯობესია პარტიებმა უზრუნველყონ სტუდიაში ჟურნალისტების მოწვევა და ვიდეომასალის გასაშვებად გამოიყენონ პირდაპირი საეთერო დროის არაუმეტეს მეოთხედისა

აქვე აღვნიშნავთ რომ დაპირებისამებრ ყველა პარტიისათვის უკვე დამზადებულია საანონსო რგოლი რომელიც ეთერში გადის როგორც პირველი ასევე მეორე არხის მეშვეობით

მაყურებლებთან პირდაპირ ეთერში ინტერაქციისთვის არხი უზრუნველყოფს პირდაპირ სატელეფონო და ინტერნეტკავშირს და უპრინაია მისი გამოყენება

არხი ემსახურება მემორანდუმში მონაწილე პარტიებს იწერს და საეთეროდ ამზადებს მათ ყველა ბრიფინგს და მნიშვნელოვან აქტივობას მაგრამ აზუსტებს რომ პარტიების ბრიფინგები არ უნდა აღმატებოდეს 15 წუთს

საზოგადოებრივი მაუწყებელი მზადაა პარტიებთან განიხილოს ყოველდღიური დამატებითი ერთი საათის გამოყოფის საკითხი №1 და №2 საათამდე თავისუფალი ტრიბუნის ფორმატისთვის



მემორანდუმის ხელმოწერილი პოლიტიკური პარტიების აქტივობა 2011 წელს

- „მწიწკლის“ წლიდან მეორე არხის ეთერით მოსარგებლე პოლიტიკურ სუბიექტთა რიცხვს კიდევ სამი პარტია დაემატა „ქალთა პარტია“ ბრიფინგული ფორუმი“ და „ქრისტიან-დემოკრატები-სახალხო პარტია“ მემორანდუმის ფარგლებში თავისუფალ ტრიბუნას“ ამჟამად იყენებს „ნაციონალური სუბიექტი“

„მწიწკლის“ აპრილიდან იქმნება ახალი პოლიტიკური გაერთიანება - „წვიანი“ პოლიტიკურმა გაერთიანებამ პირობითი სახელწოდებით „წვიანი“ რომელშიც გაერთიანდა რვა პოლიტიკური სუბიექტი

„ბრიფინგული ფორუმი“ ბიძინაძის პარტია“ ბიზნესერვატიული პარტია“ ბიავისუფალი დემოკრატები“ ბიქრისტეან-დემოკრატიული პარტია“ ბიქრესპუბლიკური პარტია“ ბიხალი მემარჯვენეები“ და პარტია საქართველოს გზა“ყ აპრილიდან დაიწყო თავისუფალ ტრიბუნაში“ მათთვის განკუთვნილი საეთერო დროის ერთობლივი გამოყენება „დისკუსიის“ ფორმატში სადაც

შენარჩუნებულია საზოგადოებრივი მაუწყებლის ჯეორჯ არხის“ სარედაქციო ჩაურევლობის პრინციპი ყოველ ორშაბათსა და ხუთშაბათს ჰავისუფალი ტრიბუნა“ ლისკუსიას“ ეთმობოდაყ „%Nწლის “ იენისი - ჟართული პარტია“ ტოვებს მემორანდუმს

„%Nწლის „, თებერვალს საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის საქართველოს პარლამენტისა და პოლიტიკურ პარტიებს შორის გაფორმებული მემორანდუმის თანახმადმას შემდეგ რაც „%Nწლის “ იენისს ქართული პარტიის ერთ-ერთმა ლიდრმა ბატონმა ლევან გაჩეჩილაძემ პარტიიდან წასვლის შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა ქართულ პარტიას მეორე არხის გადაცემებში – ბრიფინგის დრო და თავისუფალი ტრიბუნა საეთერო დრო აღარ დაეთმო რადგან პარტია არ აკმაყოფილებს მემორანდუმით გათვალისწინებულ კრიტერიუმებსყ

, იენისიდან – Nავისტომდე გაკეთდა ახალი გრაფიკი მხოლოდ „%პოლიტიკური სუბიექტისთვისყ პოლიტიკური პარტიების გადაწყვეტილებითა და ჯეორჯ არხთან, შეთანხმებით „? ავისტოდან : სექტემბრამდე გადაცემისთვის ჰავისუფალი ტრიბუნა“ გამოცხადდა ტაიმ-აუტიყ

- „%Nწლის : სექტემბრიდან ლევან გაჩეჩილაძე როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური სუბიექტიკვლავ დაუბრუნდა მემორანდუმს და შედგა ახალი საეთერო გრაფიკი
- „%Nწლის სექტემბრიდან ეწყ ზვიან“ დატოვეს ჰხალმა მემარჯვენებმა“ და ჟურისტთან-დემოკრატებმა“ და მემორანდუმის ფარგლებში კვლავ დაიბრუნეს ჰავისუფალი ტრიბუნის“ სრული საეთერო დროყ
- „%Nწლის სექტემბრიდან ექვსი პარტია კვლავ განაგრძობს ჰავისუფალი ტრიბუნის“ საეთერო დროის გამოყენებას ლისკუსიის“ ფორმატში ცვლილებით ნათია თოიძის ნაცვლად ჟექსიანმა“ წამყვანად გიორგი უძილაური აირჩიაყ

„%Nწლის აპრილიდან ლევან გაჩეჩილაძე და დაცავი საქართველოს სხვა წარმომადგენლები გაერთიანდნენ მოძრაობა ამომრჩეველთა ლიგაში და ამიერიდან მეორე არხზე დაცავი საქართველოსთვის განკუთვნილ დროს ამომრჩეველთა ლიგა გამოიყენებსყ შეგახსენებთ რომ დაცავი საქართველო მეორე არხის პროექტში მონაწილეობდა რადგან აკმაყოფილებდა მეორე არხის რეფორმაზე მომუშავე ჯგუფის მიერ შემუშავებულ ერთ-ერთ კრიტერიუმს რომლის მიხედვითაც კვალიფიციურად ითვლებიან ის სუბიექტები რომელთაც გადალახეს Nწ ბარიერი „%Nწლის : იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებზეყ

პარტიებიბრომლებიც რეგულარულად არ იყენებენ კუთვნილ საეთერო დროს N საქართველოს დემოკრატიული პარტია ერთი წლის განმავლობაში N გადაცემიდან მხოლოდ , გამოიყენაბდანარჩენი , -გამოიკიდა აბრა

„0 ლევან გაჩეჩილაძეპრომელიც საეთერო დროს ან არ იყენებს ან უთმობს სხვა პოლიტიკურ სუბიექტებს ჟართული პარტია“ -9 N-„, § იანვარი N აპრილი N მაისი N საზოგადოებრივი მოძრაობა ლდაიცავი საქართველო“- 9, მარტიბ § ოქტომბერი N ჟინააღმდეგობის მოძრაობა“- 9, დეკემბერი

“0 საქართველოს ტრადიციონალისტთა კავშირი ერთი წლის განმავლობაში პარტიული საქმიანობა გაშუქდა მხოლოდ : გადაცემაშიბდანარჩენი გადაცემები დაეთმოთ არასამთავრობო ორგანიზაციებსყ

პროდუსინგი



„ვანო სანაიას რეპორტაჟი“

გადაცემაში გაშუქდება საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე საინტერესო მოვლენები და პროცესები, რომლებიც ჩვენს ცხოვრებაზე ახდენენ გავლენას, გადაწყვეტილებები, რომლებსაც ლიდერები იღებენ. რეპორტაჟები და სტუმრები, დისკუსია და თავისუფალი აზრი ვანო სანაიასთან ერთად.

გადაცემა „ვახო სანაიას რეპორტაჟი“ გადის ყოველ შაბათს 21:00 საათზე

თებერვალი, 2011 წელი

“ახალი ეგვიპტე”

ქაიროში განვითარებული მოვლენები, როგორ დამთავრდება ეგვიპტის აჯანყება, ვინ შეიძლება მოვიდეს ხელისუფლების სათავეში. ჩვენი კორესპონდენტის ჩართვა ქაიროდან-ვითარება ეგვიპტეში

“ვინმე „იმერელი“ ”

ვინ მოკლა ილია ჭავჭავაძე, დოკუმენტური მასალა, რომელსაც მწერალმა ნოდარ გრიგალაშვილიმა მიაკვლია.

“პრეზიდენტის საქმე”

ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საპარლამენტო კომისიის საბოლოო დასკვნა, მოკლეს თუ თავი მოიკლა ზვიად გამსახურდიამ

“წითელი და შავი”

ჰიტლერის მხარეს მებრძოლი დაახლოებით 30000 ქართველი. რატომ თანამშრომლობდნენ ეს ადამიანები ნაცისტურ რეჟიმთან და იყო თუ არა რეალობასთან ახლოს ჰიტლერის დახმარებით საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება

მარტი, 2011 წელი

“ვინ არის დომენტი?”

სკანდალი დომენტი გაგნიძის გარშემო, კურნავს თუ არა „დომენტოლი“ და „გაგნოლი“ უმძიმეს დაავადებებს, ონკოლოგების მოსაზრებები.

“ვეტო თუ WTO?”

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების საკითხი, საქართველოს პოზიცია, როგორ გადაწყდება საკითხი, დაუჭერს თუ არა მხარს საქართველო რუსეთის გაწევრიანებას მსო-ში

“რა არის კამელინი?”

რას კურნავს ბენედიქტე მალლაკელიძის შექმნილი პრეპარატი, რატომ მიმართავენ უმძიმესი დაავადების მქონე პაციენტები თავლით დამზადებულ პრეპარატს, რას ფიქრობენ კამელინიზე ექიმები

1სიუჟეტი-კვლევები კამელინიზე, როგორ იწარმოება პრეპარატი, პაციენტები, რომლებიც ამტიცებენ, რომ კამელინით განიკურნენ, როგორია ცნობილი ექიმების დამოკიდებულება პრეპარატის მიმართ

აპრილი, 2011 წელი

„კაჩინსკების ტრაგედია“

რეპორტაჟი პოლონეთიდან.

1 წელი ლეხ კაჩინსკის ტრაგიკული გარდაცვალებიდან. რუსული გამოძიების დასკვნა კატინის ავიაკატასტროფაზე. პოლონეთ-რუსეთის ახალი ურთიერთობები, თბილისისა და ვარშავის ურთიერთობა საქართველოს დიდი ლობისტის გარდაცვალების შემდეგ. ექსკლუზიური

„ვინ არის „იმერელი“ ?“

განსხვავებული მოსაზრებები ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით.

მწერალ ნოდარ გრიგალაშვილის ვერსიას, რომ ილია ჭავჭავაძე ილიკო იმერლიშვილმა მოკლა, გურამ ყორანაშვილი უპირისპირდება.



„კიბო-მსოფლიო სენი“

რატომ იმატა ონკოლოგიურმა დაავადებებმა, რა მდგომარეობაა საქართველოში. კიბო ქალებში, მამაკაცებში და ბავშვებში.

„შვილების საქმე“

ერთი ოჯახის ტრაგედია. გარდაცვლილი მეუღლე, ნარკოტიკზე დამოკიდებული ქმარი, რომელიც ამტკიცებს, რომ განიკურნა. ბავშვები, რომლებსაც დეიდები და გარდაცვლილის მშობლები ზრდიან. სასამართლო დავის საგანი, არასრულწლოვანი შვილების დაბრუნება. ვისთან უნდა ცხოვრობდნენ ბავშვები და ირღვევა თუ არა მათი უფლებები?

მაისი, 2011 წელი**„სატანის მსახურები“**

ადამიანები, რომლების საკუთარ თავს სატანისტებს უწოდებენ. როგორ იღებენ საქართველოში სატანისტები თავის რიგებში ახალ წევრს. რატომ სცემენ თავყანს სატანას და ვინ არიან ქართველი სატანისტები.

**„უშილოზა“**

უშილოზის პრობლემა საქართველოში. უშილოზის გამომწვევი მიზეზები. მკურნალობის თანამედროვე მეთოდები. სუროგატი დედები და ხელოვნური განაყოფიერებით დაბადებული ბავშვები. შვილად აყვანა-პრობლემები და პროცედურები!

„ჯადოსნური ბიზნესი“

არსებობს თუ არა ჯადო. ვინ არიან ადამიანები, რომლებიც ჯადოს აკეთებენ და რა თანხებთანაა დაკავშირებული.

„ბერიას დღიური“

რუსეთში გამოცემული სამტომეული სახელწოდებით „ლავრენტი ბერიას პირადი და საიდუმლო დღიური“. ვინ არის წიგნის ავტორი სერგეი ბრეზუკინი, რომელსაც კრემლოვის სახელით იცნობენ. რას წერდა ლავრენტი ბერია თავის დღიურში და რამდენად შესაძლებელია ასეთ პიროვნებას, საიდუმლო დღიური ჰქონოდა.

ივნისი, 2011 წელი**„ლავრენტი პავლოვიჩი“**

ლავრენტი ბერიას ბიოგრაფიის უცნობი ეპიზოდები. ბერია როგორც აგენტი, სტალინისა და ბერიას ურთიერთობა, რეპრესიები, ქალები, ოჯახი, ომი, ატომური ბომბი. ბერიას კრახი, ფიზიკური და პოლიტიკური სიკვდილი.

„ფსიქიატრია“

ფსიქიატრიული დაავადებები, გამომწვევი მიზეზები, მკურნალობის მეთოდები. რამდენი ადამიანია დღეს საქართველოში ფსიქიატრიულად დაავადებული.

ივნისი, 2011 წელი**„სუიციდი“**

როგორ მიდის ადამიანი თვითმკვლელობამდე, არის თუ არა თვითმკვლელობა სისუსტე, რა როლს თამაშობს გენეტიკა. რით არის განპირობებული სუიციდის შემთხვევების მატება.

„უცნობი ფოტოარქივი“

რეპორტაჟი საფრანგეთიდან.

პარიზში აღმოჩენილი დღემდე უცნობი ფოტოარქივი. საქართველო 1897-1903 წლებში, როგორი იყო ჩვენი ქვეყანა საუკუნის წინ. ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და დავით სარაჯიშვილის მეგობრის, ბარონ დე ზაის მოგზაურობა საქართველოში და ასეულობით გადაღებული ფოტო.



ოქტომბერი, 2011 წელი

„აფხაზური რეალობა“

აფხაზეთში ჩატარებული არჩევნები და ანქვაზის ხელისუფლების სათავეში მოსვლა. სოჭის ოლიმპიადი. პუტინის ვიზიტი აფხაზეთში. ქართულ-აფხაზური ურთიერთობების პერსპექტივა.

„ნარჩენების მართვა“ (ნაწილი პირველი)

გარემოს დაცვა. რა შედეგი მოაქვს გარემოში გადაგდებულ თითოეულ ნივთს. რას ნიშნავს ნარჩენების კომპლექსური მართვა და რით განსხვავდება ნარჩენი და ნაგავი ერთმანეთისგან. რა მდგომარეობაა საქართველოში, არსებობს თუ

არა საკანონმდებლო ბაზა, რომელმაც ნარჩენების მართვის მოწესრიგება უნდა უზრუნველყოს.

„სეისმურ ზონაში“

დამანგრეველი მიწისძვრა თურქეთში. რა ხდებოდა ქალაქ ერჩიში. რა ვითარებაა საქართველოში და გაუძლებს თუ არა ჩვენ ქვეყანაში არსებული შენობა-ნაგებობები მსგავსი სიმძლავრის მიწისძვრას.

ნოემბერი, 2011 წელი

„უშფოთველი სიკვდილი“

ევთანაზია-სიკვდილი საკუთარი სურვილით და საკუთარი ხელით. რას ფიქრობენ ევთანაზიაზე საქართველოში. სიკვდილის დოქტორი-ჯეკ კევორქიანი.

„ენერგოეფექტურობა“

რა არის ენერგოეფექტურობა. როგორ უნდა დავზოგოთ ელექტროენერგია და ბუნებრივი აირი. რა უნდა გავითვალისწინოთ საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენისას და როგორ უნდა დავხარჯოთ ნაკლები თანხა კომუნალურ გადასახადებში.

„თანამედროვე ქართული ლიტერატურა“

რაზე წერენ საქართველოში და რას კითხულობენ. რა პრობლემები არსებობს ამ სფეროში. როგორია ლიტერატურული პროცესი ჩვენს ქვეყანაში ბოლო 20წლის განმავლობაში. შედარება დრევეანდელი მდგომარეობის იმასთან, რაც საბჭოთა პერიოდში იყო. სახელმწიფო და ლიტერატურა. მწერლის და მკითხველის ურთიერთობა.

„აზარტომანია“

21-ე საუკუნის ნარკომანია-აზარტომანია. როგორ მიდიან ადამიანები სრულ კატასტროფამდე. აზარტული თამაშებისადმი შეუწელებელი და თავაწყვეტილი ლტოლვა. როდის არის ადამიანი მზად ყველაფერი დაკარგოს იმისთვის, რომ ითამაშოს. შესაძლებელია თუ არა აზარტომანიით დაავადებული ადამიანების განკურნება.



დეკემბერი, 2011 წელი

„ოცი წლის შემდეგ“

საბჭოთა კავშირის დაშლის 20 წლისთავი. როგორ დაიშალა საბჭოთა იმპერია. რა პროცესები მოვლენები განვითარდა კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ და რა გზა განვლეს საბჭოთა რესპუბლიკებმა დამოუკიდებლობისაკენ. პოლიტიკური, ისტორიული და ეკონომიკური ანალიზი.

„ნარჩენების მართვა“ (ნაწილი მეორე)

ნაგავსაყრელების პრობლემა საქართველოში. რა მდგომარეობაა რეგიონებში. რა საფრთხეს უქმნის ჯანმრთელობას დღემდე არსებული უკანონო ნაგავსაყრელები. რას გულისხმობს 3R-ის პრინციპი. თანამედროვე ტექნოლოგიები, რომელსაც განვითარებული ქვეყნები ნარჩენების მართვისთვის იყენებენ.

„ჰაველის ცხოვრების გზა“

ვაცლავ ჰაველის ბიოგრაფია, გზა დისიდენტობიდან პრეზიდენტობამდე. ჰაველი, როგორც დრამატურგი. ჰაველის ოჯახი, მისი ავტობიოგრაფიული წიგნი და პიროვნული თვისებები. ვაცლავ ჰაველის გარდაცვალება.

ევროპული არჩევანი



I გადაცემა - „გზა ევროკავშირისკენ“ - 20.04.2011
 კვლევების მიხედვით საქართველოს მოსახლეობის დიდ უმრავლესობას სურს საქართველო ევროკავშირის წევრად იხილოს. საზოგადოებას სჭირდება უფრო მეტი ინფორმაცია თუ რას ნიშნავს ევროპული ოჯახის წევრობა, რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ევროპამ თავის რიგებში მიგვიღოს და როგორ უნდა შეუწყონ მოქალაქეებმა ხელი ნამდვილ ევროპულ ტრანსფორმაციას. ჩვენი გადაცემის მიზანია გაიზარდოს საზოგადოების ცოდნა ევროკავშირის ინსტიტუტების, ევროპული სამეზობლო პოლიტიკასა და აღმოსავლეთ პარტნიორობის შესახებ. ჩვენი მიზანი

სწორედ ამ საკითხების წარმოჩენა და მაცურებლისთვის მიწოდებაა.

II გადაცემა - „თავისუფალი ვაჭრობა“ 27.04.2011

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება. თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან: სურსათის უვნებლობა, კონკურენცია, ინტელექტუალური საკუთრება, ვაჭრობის ტექნიკური ბარიერები. როდის დაიწყება მოლაპარაკებები ევროკავშირთან თავისუფალ ვაჭრობაზე? რა შეასრულა და რა დარჩა გასაკეთებელი საქართველოს.

III გადაცემა - „ინტელექტუალური საკუთრება“ 04.05.2011

კანონი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ. რა არის ინტელექტუალური საკუთრება? როგორ უნდა დავიცვათ საავტორო და მომიჯნავე უფლებები? საქართველოს კანონმდებლობა და ევროკავშირის ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაცია. რა უნდა გააკეთოს ჩვენმა ქვეყანამ კანონმდებლობის ჰარმონიზაციისთვის? რა არის პატენტი, საპატენტო უფლებები, როგორ უნდა დააპატენტოთ საკუთარი გამოგონება? რა უნდა მოვიმოქმედოთ, რომ ჩვენი ინტელექტუალური საკუთრება სხვამ არ მიითვისოს? ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილება და რა ვითარებაა საქართველოში. პრობლემები ამ სფეროში.



IV გადაცემა - „სურსათის უვნებლობა“ 11.05.2011

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლის მომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების თაობაზე საქართველო-ევროკავშირის მოლაპარაკებების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა საქართველოში სურსათის უვნებლობის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა და შესაბამისი კანონმდებლობის ამოქმედება.

V გადაცემა - „მიმოსვლა ევროპასთან“ 18.05.2011

გამარტივებული სავიზო რეჟიმი და რეადმისია ახალი ვალდებულებები და პროცედურები - როდის და როგორ მოხდება იმ ადამიანების უკან დაბრუნება რომლებიც არალეგალურად ევროკავშირის ქვეყნების ტერიტორიაზე ცხოვრობენ?

VI გადაცემა - „შრომის კოდექსი“ 25.05.2011

საქართველოს შრომის კანონმდებლობა. არის თუ არა საქართველოს შრომის კოდექსში დისკრიმინაციული მუხლები? შრომის უსარფთოება, გაფიცვის უფლება, დეკრეტული შვებულება, ადამიანების სამსახურებიდან გათავისუფლება და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. დამსაქმებლები და დასაქმებულები.

VII გადაცემა - „სამოქალაქო საზოგადოება“ 08.06.2011

სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში. რა არის სამოქალაქო საზოგადოება? რა ეტაპები გაიარა და რა საფეხურზეა ის დღეს ჩვენს ქვეყანაში? რა გავლენა აქვს სამოქალაქო სექტორს? პრობლემები და პერსპექტივები. არსებობს თუ არა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება?

VIII გადაცემა - „უფლება და თავისუფლება“ 15.06.2011

თითოეული მოქალაქის, თითოეული ჩვენგანის უფლება და თავისუფლება. რა ხდება საქართველოში? როგორ იცავენ ადამიანის უფლებებს და სად და რა ვითარებაში ირღვევა იგი ყველაზე მეტად? საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებები, რა სისტემურ პრობლემაზე საუბრობენ სპეციალისტები? ადამიანი უფლებები საქართველოში. სად გაუმჯობესდა და სად გაუარესდა მდგომარეობა?

**IX გადაცემა - „მოზარდები და კანონი“ 22.06.2011**

არასრულწლოვანი და კონფლიქტი კანონთან. დამნაშავე თუ მსხვერპლი? რა მაგამოიწვია კანონმდებლობის ლიბერალიზაცია? საერთაშორისო სტანდარტი, განრიდების პროგრამა, ალტერნატიული ზომა არასრულწლოვანისთვის. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება საქართველოში. ნულოვანი ტოლერანტობიდან რადიკალურ ცვლილებებამდე.

X გადაცემა - „ქართული მედია“ 29.06.2011

რა ხდება დღეს ქართულ მედიაში? რისი ნახვა, წაკითხვა და მოსმენა სურთ საქართველოში? თავისუფლების ხარისხი, პროფესიონალიზმი და მრავალფეროვნება. რა აქვს უხვად და რა აკლია ქართულ მედიას? ექსპერტების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ჟურნალისტების მოსაზრებები. პრობლემები ქართულ მედიაში.

XI გადაცემა - „ევროპა და კონფლიქტი“ 06.07.2011

კონფლიქტები და ევროკავშირი, როგორც მედიატორი. ევროკავშირის როლი რუსეთის აგრესიისა და ორი რეგიონის ოკუპაციის შემდეგ. საქართველომთან ეკონომიკური თანამშრომლობა. 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება. სადამკვირვებლო მისია და ჟენევის მოლაპარაკებები. უშლის თუ არა რუსეთთან კონფლიქტი საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციას?

XII გადაცემა - „სასამართლო სისტემა“ 13.07.2011

მართლმსაჯულება საქართველოში, მოქალაქეების სასამართლოსადმი ნდობა და მოსამართლეთა მიუკერძოებლობა. რა მდგომარეობაშია სასამართლო ჩვენს ქვეყანაში? სასამართლო სისტემა. რეფორმა და პრობლემები.

XIII გადაცემა - „რელიგიური უმცირესობები“ 20.07.2011

რელიგიური უმცირესობები საქართველოში. მათი ურთიერთობა სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიასთან. რას ნიშნავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი. დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილება. ტოლერანტობა და საზოგადოება.

XIV გადაცემა - „ევროპული გზა“ 27.07.2011

I ნაწილი

ევროპკომისარმა მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას ვარშავაში სექტემბრის ბოლოს დაგეგმილი აღმოსავლეთ ევროპის სამიტი გამოიყენოს რათა „წარადგინოს საქართველო, როგორც რეფორმებისადმი და ევროპული გზისადმი ერთგული ქვეყანა“.



II ნაწილი

როგორ აშუქებს მედია ევროინტეგრაციის პროცესს და რა აინტერესებს საზოგადოებას ყველაზე მეტად? ჟურნალისტები „ევროპული არჩევანის“ სტუდიაში.

XV გადაცემა - „ახალი საარჩევნო კოდექსი“ 21.09.2011

ახალი საარჩევნო კოდექსი, რომლითაც საქართველოში მომავალი არჩევნები ჩატარდება. რა შეიცვალა კოდექსში და უზრუნველყოფს თუ არა ახალი ახალი კანონი სამართლიან არჩევნებს. გამართლებულია თუ არა დეპუტატების რაოდენობის 150-სან 190-მდე გაზრდა. შეფასებას მისცემს ახალ კოდექსის პროექტს ვენეციის კომისია.

XVI გადაცემა - „საარჩევნო გარემო“ 05.10.2011

დებატები საარჩევნო კოდექსზე, რატომ იზრდება პარლამენტის წევრთა რაოდენობა. მოაგვარებს თუ არა პოლიტიკურ პრობლემას ახალი საარჩევნო კოდექსი. შეიცვლება თუ არა საარჩევნო გარემო. ოპოზიციური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების აზრი ახალ კანონთან დაკავშირებით. ოპოზიციური პარტიები, რომლებსაც საწინააღმდეგო მოსაზრებები აქვთ.

XVII გადაცემა - „უმაღლესი განათლება“ 12.10.2011

უმაღლესი და პროფესიული განათლება საქართველოში, ევროპული საგანმანათლებლო სისტემა. რამდენად შეესაბამება უმაღლესი განათლების ხარისხი საქართველოში ევროპული განათლების ხარისხს.

XVIII გადაცემა- „სასამართლო სისტემის გამჭირვალობა“ 26.10.2011

თავისუფალი სასამართლო - დემოკრატიის მნიშვნელოვანი საზომი

XIX გადაცემა - „გარემოს დაცვა“ 02.11.2011

გარემოს დაცვის პოლიტიკა საქართველოში წყლისა და ჰაერის დაცვა, ბუნებრივი მემკვიდრეობა, მყარი ნარჩენების მართვა, კლიმატის ცვლილების შესახებ საზოგადოების ინფორმირება. საქართველო და პრობლემები გარემოს დაცვის სფეროში. საინტერესო დისკუსია

XX გადაცემა „სურსათის უვნებლობა“

სურსათის უვნებლობა, კოდექსის პროექტის განხილვა პარლამენტში, რა შინაარსის დოკუმენტს ამტკიცებს საკანონმდებლო ორგანო და რამდენად უვნებელია საკვები დღეს ჩვენს ქვეყანაში, გააუმჯობესებს თუ არა ვითარებას პროექტში შეტანილი ცვლილებები. მომხრეები და მოწინააღმდეგეები, დაინტერესებული მხარეები, საპარლამენტო ძალები და არასამთავრობო სექტორი.

XXI გადაცემა-„კრიზისი ევროპაში“ 17.11.2011

აღწერა: ევროზონის კრიზისი, საბერძნეთი, იტალია, ესპანეთი, დიდი ფინანსური კრიზისი და ლიდერების ცვლა, რა ბედი ელის საბერძნეთს ერთი მხრივ, მოსახლეობის უკმაყოფილება და მეორე მხრივ დასავლეთ ევროპის ლიდერების მკაცრი განცხადებები, დიდი ოცეულის სამიტი, გამოსავლის გზები ძიება, ახდენს თუ არა რაიმე გავლენას ევროზონის კრიზის საქართველოზე. ექსპერტები და ეკონომისტები სტუმრად გადაცემაში.

XXII გადაცემა- „პარტიების დაფინანსება“ 23.11.2011

აღწერა: პარტიების დაფინანსება, ცვლილებები, რომელიც კანონში შედის, რატომ შეაქვთ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონში ცვლილებები და რა ფინანსური შესაძლებლობები გვყავს პარტიები არჩევნებზე. ხელისუფლების, ოპოზიციის და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, საინტერესო დისკუსია.



XXIII გადაცემა - „ქალთა უფლებები“ 01.12.2011

აღწერა: გენდერული თანასწორობა ქალთა უფლებები საქართველოში და საერთაშორისო ვალდებულებები. ქალთა მიმართ ძალადობა, სად ირღვევა ყველაზე ხშირად ქალთა უფლებები, რა ადგილი უკავია ქალს ჩვენს საზოგადოებაში, ქალი ლიდერი, მსხვერპლი, მედიატორი და მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტი.

XXIV გადაცემა- „თავისუფალი ვაჭრობა“ 14.12.2011

აღწერა: ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობა, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკებები იხსნება, რა პრივილეგიებს იძლევა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობა, რა იცის ბიზნესმა საქართველოში ამ პრივილეგიების შესახებ, რა პერიოდი სჭირდება ჩვენს ქვეყანას ხელშეკრულებამდე მისასვლელად და რისი შესრულება მოუწევს საქართველოს.

XXVI გადაცემა „სამოქალაქო აქტივობა“ 21.12.2011

აღწერა: არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოში და მათი გავლენა, რა იციან მოქალაქეებმა სამოქალაქო სექტორზე, როგორ აღიქვამენ მას და რატომ არის ჩართულობის დონე დაბალი, საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგი. რატომ არ ენდობა გამოკითხულთა დიდი ნაწილი არასამთავრობო ორგანიზაციებს, პრობლემები რომლებიც აწუხებს მოსახლეობას და საკითხები რომლებზეც არასამთავრობო ორგანიზაციები მუშაობენ. ენდობიან თუ არა საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციებს, საინტერესო დისკუსია.

„გზა ევროკავშირისკენ“

I გადაცემა - „გზა ევროკავშირისკენ“ 20.04.2011

კვლევების მიხედვით საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობას სურს საქართველო ევროკავშირის წევრად იხილოს. საზოგადოებას სჭირდება უფრო მეტი ინფორმაცია თუ რას ნიშნავს ევროპული ოჯახის წევრობა, რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ევროპამ თავის რიგებში მიგიღოს და როგორ უნდა შეუწყონ მოქალაქეებმა ხელი ნამდვილ ევროპულ ტრანსფორმაციას. ჩვენი გადაცემის მიზანია გაიზარდოს საზოგადოების ცოდნა ევროკავშირის ინსტიტუტების, ევროპული სამეზობლო პოლიტიკასა და აღმოსავლეთ პარტნიორობის შესახებ. ჩვენი მიზანი სწორედ ამ საკითხების წარმოჩენა და მაყურებლისთვის მიწოდებაა.



II გადაცემა - „თავისუფალი ვაჭრობა“ 27.04.2011

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება.

თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან: სურსათის უვნებლობა, კონკურენცია, ინტელექტუალური საკუთრება, ვაჭრობის ტექნიკური ბარიერები. როდის დაიწყება მოლაპარაკებები ევროკავშირთან თავისუფალ ვაჭრობაზე? რა შესრულა და რა დარჩა გასაკეთებელი საქართველოს.

III გადაცემა - „ინტელექტუალური საკუთრება“ 04.05.2011

კანონი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ.

რა არის ინტელექტუალური საკუთრება? როგორ უნდა დავიცვათ საავტორო და მომიჯნავე უფლებები? საქართველოს კანონმდებლობა და ევროკავშირის ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაცია. რა უნდა გააკეთოს ჩვენმა ქვეყანამ კანონმდებლობის ჰარმონიზაციისთვის? რა არის პატენტი, საპატენტო უფლებები, როგორ უნდა დააპატენტოთ საკუთარი გამოგონება? რა უნდა მოვიმოქმედოთ, რომ ჩვენი ინტელექტუალური საკუთრება სხვამ არ მიითვისოს? ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილება და რა ვითარებაა საქართველოში. პრობლემები ამ სფეროში.

IV გადაცემა - „სურსათის უვნებლობა“ 11.05.2011

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების თაობაზე საქართველო - ევროკავშირის მოლაპარაკებების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა საქართველოში სურსათის უვნებლობის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა და შესაბამისი კანონმდებლობისამოქმედება. ერთის მხრივ მოქალაქეთა დაცულობა, და მეორეს მხრივ ევროპასთან ინტეგრაცია აჩენს კითხვას, თუ როგორი სურსათის უვნებლობის სახელმწიფო პოლიტიკა უნდა ჰქონდეს საქართველოს, რათა ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების დადება და სავაჭრო პოტენციალის ამაღლება გახდეს შესაძლებელი?

V გადაცემა - „მიმოსვლა ევროპასთან“ 18.05.2011

გამარტივებული სავიზო რეჟიმი და რეადმისია

ახალი ვალდებულებები და პროცედურები - როდის და როგორ მოხდება იმ ადამიანების უკან დაბრუნება რომლებიც არალეგალურად ევროკავშირის ქვეყნების ტერიტორიაზე ცხოვრობენ?

რას ნიშნავს ახალი შეთანხმება და ვისთვის იხსნება და ვისთვის იკეტება ევროპის საზღვარი. გზა ევროპისკენ და უკან!

ევროკავშირის ყოფილი ელჩი საქართველოში პერ ეკლუნდი ჩვენს ქვეყანაში გატარებული წლების შესახებ. ექსკლუზიური ინტერვიუ პოლიტიკურ პროცესებზე, საზოგადოებასა და დემოკრატიაზე საქართველოში.

ელჩის 4 წელი.

VI გადაცემა - „შრომის კოდექსი“ 25.05.2011

საქართველოს შრომის კანონმდებლობა. არის თუ არა საქართველოს შრომის კოდექსში დისკრიმინაციული მუხლები? შრომის უსარფთხოება, გაფიცვის უფლება, დეკრეტული შვებულება, ადამიანების სამსახურებიდან გათავისუფლება და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. დამსაქმებლები და დასაქმებულები. არის თუ არა საქართველოს შრომის კოდექსი სამართლიანი ორივე მხარისთვის? საქართველოს მთავრობის, ბიზნესის, ოპოზიციისა და პროფკავშირების პოზიციები და ევროპელების რეკომენდაციები. შეესაბამება თუ არა საქართველოს კანონმდებლობა საერთაშორისო კონვენციებს და შესაცვლელია თუ არა საქართველოს შრომის კოდექსი?

VII გადაცემა - „სამოქალაქო საზოგადოება“ 08.06.2011

სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში. რა არის სამოქალაქო საზოგადოება? რა ეტაპები გაიარა და რა საფეხურზეა ის დღეს ჩვენს ქვეყანაში? რა გავლენა აქვს სამოქალაქო სექტორს? პრობლემები და პერსპექტივები. არსებობს თუ არა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება?



თოქ-შოუ „აუდიტორია“

სულ მომზადდა და ეთერში გავიდა - 31 გადაცემა
გამეორებითი ჩვენება: 19 გადაცემა

გადაცემის მიზანია საქართველოს საზოგადოების ინფორმირება და იმ მნიშვნელოვანი მოვლენებისა და საკითხების განხილვაში ჩართვა, რაც ჩვენს საზოგადოებას ადევლებს. გადაცემის პრონომეტრაჟია 1 საათი და ეთერში გადის ყოველ ორშაბათს 22:00 საათზე.

მიზნობრივი აუდიტორია: საქართველოს მოსახლეობა. 25 წლიდან - 65 წლამდე.
გადაცემების ჩამონათვალი და პრონომეტრაჟი

იანვარი 2011

იანვრის თვეში ეთერში გავიდა ხუთი გადაცემა. გადაცემის თემებია: 1) საახალწლო (სად და როგორ შევხვდეთ ახალ წელს); 2) ჩოხა - სამოსელი პირველი ; 3) რა გვადიზიანებს; 4) მწერალთა კავშირი; 5) ქართული კინო, როგორია ის დღეს;

თებერვალი 2011

თებერვლის თვეში ეთერში გავიდა ოთხი გადაცემა. გადაცემის თემებია: 1) ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობები; 2) რატომ ვერ აღწევნ წარმატებებს ქართველი მოდელები საზღვარგარეთ ; 3) როგორ დავანებოთ თავი სიგარეტის მოწევას (მწვევლები არამწვევლების პირისპირ); 4) ბეწვი;



მარტი 2011

მარტის თვეში ეთერში გავიდა ოთხი გადაცემა. გადაცემის თემებია: 1) ძალადობის მსხვერპლი ქალბატონები; 2) კერძო თუ საჯარო სკოლები?; 3) ძალადობა ბავშვებზე; 4) ქართული სუფრის საგანძური;

აპრილი 2011

აპრილის თვეში ეთერში გავიდა სამი გადაცემა. გადაცემის თემებია: 1) საავტორო უფლებები; 2) fashionweek; 3) საგზაო წესები;

მაისი 2011

მაისის თვეში ეთერში გავიდა ოთხი გადაცემა. გადაცემის თემებია: 1) ქართული ენა; 2) თანამედროვე აფერები დღევანდელ საქართველოში; 3) ჯანსაღი ცხოვრების წესი; 4) საზღვარგარეთ სწავლება;

ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი
გამეორებითი ჩვენებები

ოქტომბერი 2011

ოქტომბრის თვეში ეთერში გავიდა ოთხი გადაცემა. გადაცემის თემებია: 1) საზოგადოებრივი მაუწყებლის 2011-2012 წლის სატელევიზიო სეზონი 2) ახალი თაობის მენეჯერები; 3) სიყვარულის გაკვეთილები; 4) რამაზ ჩხიკვაძის აუდიტორია

ნოემბერი 2011

ნოემბრის თვეში ეთერში გავიდა ოთხი გადაცემა. გადაცემის თემებია: 1) მათ ეს შეძლეს; 2) ცხოვრება პოპულარობის შემდეგ; 3) აფხაზეთი 18 წლის შემდეგ; 4) ღალატი ჩვენს ცხოვრებაში;

დეკემბერი 2011

დეკემბრის თვეში ეთერში გავიდა ოთხი გადაცემა. გადაცემის თემებია: 1) მათ ეს შეძლეს; 2) პოლიტიკოსების ცოლები; 3) ყველაფერი საუკეთესო ბავშვებს; 4) მზადება 2012 წლისათვის;

ტოქ-შოუ “ცხოვრება მშვენიერია”



2011 წელს ეთერში გავიდა ტოქ-შოუ “ცხოვრება მშვენიერია” 51 გადაცემა. ტოქ-შოუმ კვლავ გააგრძელა თავისი მიმართულებები და ამ სეზონზეც ის მაყურებელს სთავაზობდა მრავალფეროვან თემატიკას - კულტურული სიახლეები, პრემიერები, საგანმანათლებლო საკითხები, სოციალური პრობლემები, სიახლეები შოუ-ბიზნესის სფეროში, სპეცპროექტები, საქველმოქმედო პროექტები, ადამიანური ისტორიები. გადაცემაში სტუმრად იყვნენ როგორც ყველასათვის ცნობილი, ასევე უცნობი ადამიანები, რომლებიც საინტერესო საქმიანობით გამოჩნდებიან.

2011 წლის ოქტომბრიდან ტოქ-შოუს შეემატა ახალი რუბრიკა “ჩაიზე ნინო ქაჯაიასთან ერთად”, რომელსაც გადაცემის მესამე ნაწილი ეთმობა. რუბრიკის სტუმრები არიან ცნობილი ადამიანები მეგობრებთან ან ოჯახის წევრებთან ერთად და ისინი საუბრობენ თავიანთი ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ.

წარმოგიდგინთ 2011 წლის გადაცემების თემატიკას:

იანვარი

- ეთერში გავიდა ‘ცხოვრება მშვენიერია’ **საახალწლო გადაცემა**, რომელიც იყო მუსიკალური. გადაცემაში სტუმრად იყვნენ ცნობილი ადამიანები თავიანთ შვილებთან ერთად, გადაცემაში შედგა კლიპის პრემიერა, ასევე ცნობილმა მომღერლებმა შვილებთან ერთად პირველად შეასრულეს დუეტები.
- **საახალწლო ტრადიციები და დღესასწაულები**. გადაცემაში სტუმრად იყვნენ ცნობილი და მარვალშვილიანი ოჯახები;
- გადაცემა მიემდგვნა **ცნობილ ქართველ მოღვაწეებს, რომელთა შესახებ საზოგადოებაში ნაკლებადაა ცნობილი**.
- **ქართულ მოდაში მიმდინარე ტენდენციები**. გადაცემის პირველი ნაწილი დაეთმო 12 წლის



დიზაინერს კატო გელაშვილს, სტუდიაში მოეწყო მისი მოდელების ჩვენება.

- ხელოვანი მამაკაცები, რომლებიც ორიგინალურ ნამუშევრებს ქმნიან.

თებერვალი

სხვადასხვა სფეროს ხელოვანები, რომლებსაც იმ დროისთვის საინტერესო სიახლეები ჰქონდათ. სტუმრები – მოდელი ნანუკა გოგიჩაიშვილი, დიზაინერი – ნინო ჩუბინიშვილი, მომღერალი – ლევან ჩიჩუა, ფოტოხელოვანი – იური მეჩითოვი და როკ ჯგუფები ‘ეფემერა’ და ‘ნოვემბერი’. გადაცემაში შედგა კლიპის პრემიერა.

კინოს სიახლეები. გადაცემაში სტუმრად იყვნენ რეჟისორები რუსუდან ჭყონია, რუსუდან პირველი, თორნიკე ბზიავა. ასევე მსახიობები ფილმიდან ‘რენე მიდის ჰოლივუდში’.

- **ცხოვრების ჯანსაღ წესი.** გადაცემაში მოწვეული იყვნენ ცნობილი ადამიანები სხვადასხვა სფეროდან, რომლებიც სპორტულ ცხოვრებას ეწევიან.
- **სოფიკო ჭიაურელის გარდაცვალების მესამე წლისთავი.** გადაცემაში სოფიკო ჭიაურელის მეგობრებმა, კოლეგებმა და ოჯახის წევრებმა გაიხსენეს დიდი მსახიობის ცხოვრება და შემოქმედება.



მარტი

- **დედის დღე.** გადაცემაში სტუმრად იყვნენ ახაგაზრდა დედები თავიანთ შვილებთან ერთად.
- **ახალი პროექტი უსინათლოებისათვის.** სტუმრად იყვნენ პოეტები გიორგი კეკელიძე, სალომე ბენიძე, შალვა ბაკურაძე და კატო ჯავახიშვილი, რომლებმაც სპეციალურად უსინათლო მკითხველებისათვის თავიანთი ლექსების აუდიო ვერსიები შექმნეს და ინტერნეტ პორტალ lib.ge-ზე განათავსეს.
- **უნდა შევიყვანოთ თუ არა სკოლაში 5 წლის ბავშვი.** გადაცემის სტუმრები იყვნენ ცნობილი ადამიანები თავიანთ შვილებთან ერთად

აპრილი

- **2011 წელი გამოცხადებულია თუმანიშვილის წლად.** სტუდიაში სტუმრად იყვნენ მოწვეული რეჟისორის მოსწავლეები, მსახიობები და რეჟისორები
- **ახალგაზრდული მუსიკალური ჯგუფები და სიახლეები თანამედროვე მუსიკაში.** გადაცემაში სტუმრად იყვნენ ჯგუფები ‘მუტუალ ფრიენდს’, ‘შუშა’, ძმები გულაშვილები. სტუდიაში ცოცხლად შესრულდა სიმღერები, ასევე მოხდა ძმები გულაშვილების კლიპის პრეზენტაცია.
- **კულტურული სიახლეები.** გადაცემაში სტუმრად იყვნენ მწერალი დავით-დეფი გოგიბედაშვილი, რომელიც პრესტიჟული საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული გახდა. ტელეწამყვანი ნინო ზაუტაშვილი, რომელიც თეატრს დაუბრუნდა და რეჟისორი ციციკო კობიაშვილი, რომელმაც მარჯანიშვილის თეატრში სპექტაკლი დადგა.
- **ქრისტიანული კულტურის ნიმუშები**



მაისი **ოჯახები**. გადაცემაში სტუმრად იყვნენ საინტერესო და პოპულარული ოჯახები.

- თეატრი, მუსიკა და ლიტერატურა.
- ცერებრალური დამბლით დაავადებული ბავშვები და მათი მკურნალობის მეთოდები.
- ბოლო ზარი სკოლებში და გამომგონებელი ბავშვები.
- თანამედროვე ხელოვნება.

ივნისი

- **‘ცხოვრება მშვენიერად’** და **ჟურნალმა ‘სითიმ’** ერთობლივი პროექტი განახორციელეს თემაზე **საქორწინო სამზადისი**.
- **ქალები თანამედროვე ხელოვნებაში**.
- **ხელოვანი მამაკაცები, რომლებმაც კულტურის სხვადასხვა სფეროში უცხოეთში გაითქვეს სახელი**. ახალგაზრდა ქართველი კომპოზიტორისა და მუსიკოსის ზვიად ბოლქვაძის შემოქმედება. ივლისი

ივლისში გავიდა 5 გადაცემა. გადაცემების თემები გახლდათ კულტურული სიახლეები, უცხოეთში წარმატებული ქართველები, ახალგაზრდული მუსიკალური ჯგუფები, რომლებიც ალტერნატიულ და როკ მუსიკას ქმნიან, არტ-თერაპიების სხვადასხვა სახეობები და მათი გამოყენება. 31 ივლისს გაკეთდა სეზონის შემაჯამებელი გადაცემა, სადაც წამყვანმა მაყურებელს შეახსენა ყველაზე საინტერესო სტუმრები და ნომრები, რაც გადაცემაში მთელი წლის მანძილზე გავიდა.

ოქტომბერი

- ეთერში გავიდა სეზონის პირველი გადაცემა, რომელიც **საქველმოქმედო** შინაარსის იყო. გადაცემაში სტუმრად იყვნენ ადამიანები, რომლებმაც ჩვენი თოქ-შოუს მეშვეობით შეცვალეს თავიანთი ცხოვრება.
- **თანამედროვე მოდა** და ახალგაზრდა დიზაინერები, რომლებმაც წარმატებას მიაღწიეს უცხოეთში.
- **ბერძენი მომღერალი იოვანა და ნანი ბრევცაძე**. ასევე საბერძნეთში მოღვაწე ქართველი მომღერალი ნინი შერმადინი,
- **პირველი არხის ახალი პროექტი ‘10+10’**

ნოემბერი

- **ორიგინალური თეატრები და წარმოდგენები**. რუმბრიკაში ‘ჩემთან ჩაიზე’ სტუმრად იყვნენ მსახიობები დედა- შვილი ციცილო კობიაშვილი და ჯაბა კილაძე.
- **სოციალურ ქსელებში პოპულარული მუსიკალური ჯგუფები და შემსრულებლები**.
- **არტ-წყვილები**. გადაცემის სტუმრები იყვნენ მსახიობი მარინა ჯანაშია და მხატვარი თემო გოცაძე, ასევე მსახიობები მაია დობორჯგინიძე და გოგა ბარბაქაძე. რუმბრიკის სტუმრები იყვნენ მსახიობები რუსიკო ბოლქვაძე და გაა აბესალაშვილი.
- **მუსიკალური სიახლეები და პრემიერები**.



დეკემბერი

- **ნიჭიერი ბავშვები**, სტუმრად იყვნენ სხვადასხვა სფეროში წარმატებული ბავშვები. რუბრიკაში ‘ ჩემთან ჩაიზე’ სტუმრად იყვნენ მომღერალი ქეთათო ჩარკვიანი და მისი ქალიშვილი ნანა ჩარკვიანი.
- **თანამედროვე მხატვრები და მათი შემოქმედება**. გადაცემაში სტუმრად იყვნენ მამა-შვილი, მხატვრები ლადო და გუგა თევდორაძეები. რუბრიკაში ‘ჩემთან ჩაიზე’ სტუმრად გახლდათ ფეხბურთელი გიორგი ცინცაძე მეუღლესთან ერთად.
- **საბავშვო ლიტერატურა**, გადაცემაში სტუმრად იყვნენ თანამედროვე მწერლები
- გადაცემა მიეძღვნა **პირველი არხის ახალ მუსიკალურ პროექტებს ‘მესტრო’ და ‘ოლივერი**. გადაცემაში სტუმრად იყვნენ ორივე პროექტის მონაწილეები, შესრულდა მუსიკალური ნომრები.

საერთაშორისო პროექტები

დიდი დღის აპროპიაცია

იანვარში საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გამოაცხადა ევროვიზიის შიდა შესარჩევი კონკურსი.

კონკურსში მონაწილეობა შეეძლო ყველა პროფესიონალ მომღერალს და ჯგუფს.

თავდაპირველად შეირჩა 10 კონკურსანტი.

- კონცერტი საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ პავილიონში გაიმართა და პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა. მაცურებლის და ჟიურის გადაწყვეტილებით გაიმარჯვა საპროდიუსერო კომპანია „ტიტანის“ მიერ წარმოდგენილმა ჯგუფმა „eldrine“. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც საქართველოს სახელით ევროვიზიაზე ჯგუფი გაემგზავრა სიმღერით „One more day“. ევროვიზიის სასცენო ვერსიაზე მუშაობდა ცნობილი ფრანგი რეჟისორი პასკალ ჟორდანი. ახლებური ვერსიით და არანჟირებით სიმღერა ჩაიწერა „ბრავო რეკორდში“.
- ერთ დღეში საზოგადოებრივი მაუწყებლის რეჟისორებმა თემურ კვიციანი და თორნიკე კაციტაძემ რუსთაველის თეატრში გადაიღეს ვიდეო რგოლი გამარჯვებულ სიმღერაზე, რომელიც დიდი მოწონებით სარგებლობს. ფოტო სესია გაკეთდა კიკალა სტუდიაში.
- აპრილის თვეში ევროვიზიის შესარჩევ კონკურსზე გამარჯვებულმა ჯგუფმა “Eldrine”-მა მზადება დაიწყო დიდი კონკურსისთვის.
- რეპეტიციები მიმდინარეობდა ყოველდღიურად ჯგუფის სტუდიაში.
- ჯგუფისთვის კი კოსტიუმები შექმნა ცნობილმა ქართველმა დიზაინერმა ნინო ჩუბინიშვილმა.
- ასევე სხვადასხვა ფორმების დახმარებით შეგროვდა ევროვიზიის მონაწილეებისთვის და ჟურნალისტებისთვის სასაჩუქრე პაკეტები.
- Eldrine-ს წევრები დიუსელდოლფში გამგზავრებამდე, მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა გადაცემებში.
- 29 აპრილს საზოგადოებრივი მაუწყებლის საპროდიუსერო ჯგუფი და eldrine-ს წევრები გაემგზავრნენ გერმანიაში.



- 1 მაისიდან რეპეტიციები დაიწყო ესპრიტ არენაზე, კენჭისყრის შედეგად გაირკვა, რომ ქართული ჯგუფი პირველ ნახევარფინალში მიიღებდა მონაწილეობას და მაყურებლის წინაშე 10 მაისს წარსდგებოდა.
- 5 მაისს დიუსელდორფში გაიმართა eldrine-ს მხარდასაჭერი ქართული საღამო, რომელშიც მონაწილეობის მისაღებად საგანგებოდ გერმანიაში ჩამოვიდნენ ევროვიზიის პირველი ხმა საქართველოდან სოფო ხალვაში და 2010 წლის ქართველი მონაწილე სოფო ნიჟარაძე, ასევე მხარდამჭერ აქციაში მონაწილეობდა გერმანიაში მცხოვრები ქართველი მსახიობი, რეზო ჩხიკვიშვილი და ბავშვთა ანსამბლი, საღამოზე ასევე იმდერა მაია ბარათაშვილმა.
- 10 მაისს 24 ქვეყანას შორის საქართველოც წარდგა მაყურებლის წინაშე, პირდაპირ ტრანსლიაციას დიუსელდოლფიდან საზოგადოებრივი მაუწყებელი ახორციელებდა. საქართველო 10 სხვა ქვეყანას შორის ფინალში მოხვდა.
- 14 მაისს ფინალურ კონცერტზე, რომელშიც 24 ქვეყანა მონაწილეობდა, ჟიურის და ესემესების გადაწყვეტილებით ქართულმა ჯგუფმა „eldrine“-მ მე-9 ადგილი მოიპოვა. პირველ ადგილზე კი აზერბაიჯანის წარმომადგენლები გავიდნენ.

თბილისში დაბრუნების შემდეგ მომზადდა ფილმი eldrine-ს შესახებ.

სომხურ-ქართული მუსიკალური პროექტი „10 +10“

აგვისტოს თვეში საქართველოს და სომხეთის საზოგადოებრივი მაუწყებლის ინიციატივით გადაწყდა, გაკეთებულიყო ერთობლივი მუსიკალური პროექტი „10+10“, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდნენ ქართველი და სომეხი ცნობილი მომღერლები. პროექტი ორი ქვეყნის მომღერლების მონაწილეობით ჯერ არ გაკეთებულა.



ოქტომბერი, ნოემბერი და დეკემბრის თვეში პირველი არხის ეთერში ყოველ შაბათს 23 საათზე გადიოდა მუსიკალური პროექტი „10+10“.

- საქართველოს სახელით პროექტში მონაწილეობდა, აჩიკო ნიჟარაძე, ანრი ჯოხაძე, ლაშა რამიშვილი, თემო საჯაია, დათუნა მგელაძე, სოფო გელოვანი, ვერიკო ტურაშვილი, თიკა მახალდიანი,სალომე კორკოტაშვილი და ნინი შერმადინი.
- რეპერტუარის შერჩევა მოხდა ბაზალეთზე, როდესაც აგვისტოს დასაწყისში თბილისში ჩამოვიდნენ სომეხი მომღერლები და პროდიუსერები.
- შეთანხმების მიხედვით სიმღერების არანჟები გაკეთდა თბილისში „ბრავო სტუდიაში“დამზადდა 100 ფონოგრამა.
- 18 დღეში მოხდა სიმღერების ჩაწერა და 10 გადაცემის გადაღება.
- გადაცემაში მონაწილეობას იღებდნენ ასევე ცნობილი ქართველი და სომეხი მომღერლები, რომლებიც დაპატიჟებულები იყვნენ სპეციალური სტუმრის სტატუსით. პროექტს ჰყავდა ჟიურიც, რომლის შემადგენლობასაც იყვნენ ნუკრი კაპანაძე, ჭაბუკა ამირანაშვილი და მაია ყიფიანი.
- თუ როგორ მიმდინარეობდა გადაღებები და ჩაწერები, მომზადდა სპეციალური ფილმიც.

- ეთერში ყველაზე მეგობრული და მუსიკალური პროექტი 8 ოქტომბრიდან გავიდა.
- დეკემბრის ბოლოს კი გაიმართა გალა კონცერტი ერევანში, სადაც მომღერლებმა შეასრულეს სომხური და ქართული დუეტები, ასევე თითოეულ მათგანს გადაეცა სამახსოვრო საჩუქრები და ტურისტულმა კომპანიამ 20-ვე მათგანს მოუწყო სიურპრიზი და 10 დღიანი დასვენება აჩუქა ევგიპტეში.

საბავშვო ევროვიზია.



- მათში გამოცხადდა საბავშვო ევროვიზიის შიდა შესარჩევი კონკურსი, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ყველა საპროდიუსერო ჯგუფს შანსი მისცა, რომ თავად წარმოედგინა მომღერალი და სიმღერა კონკურსისთვის.
 - საბუთების მიღება ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა, 30 განაცხადიდან საპროდიუსერო ჯგუფმა 9 მონაწილე შეარჩია.
 - 9 ივლისს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ სტუდიაში ეროვნული კონკურსის ფინალი გაიმართა. ჟიურის და მაყურებლის გადაწყვეტილებით გაიმარჯვა ჯგუფმა “CANDY“-მ.
- 5 წევრისგან შექმნილი ჯგუფი “CANDY“ საბავშვო ევროვიზიის შიდა შესარჩევი კონკურსზე პროდიუსერმა გიგა კუხიანიძემ წარმოადგინა. სექტემბერი, ოქტომბერი ბავშვები ყოველდღიურად გადიოდნენ რეპეტიციებს, იკრებოდა კოსტიუმები და იხვეწებოდა სასცენო წარმოდგენა.
- დელეგაცია ერევანში ფინალურ კონცერტამდე 8 დღით ადრე გაემგზავრა. ამ ხნის განმავლობაში რეპეტიციების გარდა ბავშვებმა მოახერხეს დამეგობრებოდნენ სხვა ქვეყნის წარმომადგენლებსაც. ასევე სტუმრად იმყოფებოდნენ სხვადასხვა არხების პირდაპირ ეთერში, მათი ინტერვიუები იბეჭდებოდა როგორც სომხურ, ასევე ევროპულ პრესაშიც.
- 3 დეკემბერს საქართველოს წარმომადგენლებმა საბავშვო ევროვიზიაზე ერევანში ჯგუფმა “CANDY“ გამარჯვება მოიპოვა. სამა ქვეყანამ სომხეთმა, ბელორუსიამ და ლიტვამ ქართულ ჯგუფს უმაღლესი შეფასება 12 ქულა დაუწერა. 108 ქულა 13 ქვეყნისგან. მეორე ადგილას ჰოლანდიის წარმომადგენელი გავიდა, მესამეზე კი ბელორუსია.
- 3 დეკემბერს გამარჯვების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულ ჯგუფს რკინიგზის სადგურში უამრავი ადამიანი დახვდა, ბავშვები შეხვდნენ საქართველოს კათალიკოს პატრიარქს და საქართველოს პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილმა ბავშვებს საჩუქრად ელექტრო პიანინოები და ლონდონში ერთ თვიანი ენის კურსებზე სწავლის დიპლომები აჩუქა.
- საზოგადოებრივმა მაუწყებელმა კი ბავშვებს საჩუქრად ლეპტოპები გადასცა.
- “CANDY“-ის შესახებ მაყურებელმა სპეციალურად მომზადებული ფილმიც იხილა, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გავიდა.



შედეგითი პიარტოლვა

ტოქ-შოუ "რვენი საპართალი"

ქრონო - 26წთ.

სიხშირე - კვ.-1

დროის სეგმენტი - 15:30

მოკლე ანოტაცია

ტოქ-შოუ მიზნად ისახავდა მაყურებლისთვის მიეწოდებინა საჭირო ინფორმაცია სასამართლო სისტემაში მიმდინარე რეფორმის შესახებ, ხელი შეეწყო საზოგადოებაში სამართლებრივი აზროვნებისა და სამართლებრივად მართებული ქცევის წესების დანერგვისთვის. დიალოგის, დისკუსიის და ინფორმირების საშუალებით, განემარტა მაყურებლისთვის ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების დადებითი ასპექტები და მოემზადებინა საზოგადოება სასამართლო სისტემაში მნიშვნელოვანი ცვლილებების განსახორციელებლად. მთელი წლის მანძილზე სულ ეთერში გავიდა 46 გადაცემა, რადგან პროექტი დაიწყო 16 იანვარს.

თემატიკა იყო შემდეგი:

მიწის ლეგალიზაცია და კანონი, ევროსასამართლო და საქართველო, გენდერული თანასწორობა და კანონმდებლობა, იურიდიული დახმარების სამსახური და სამოქალაქო რეესტრის ადვოკატები, ბიზნესი და სამართალი, მომხმარებელთა უფლებები, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ისტორია, სასჯელის ალტერნატიული ფორმები (საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა), ადმინისტრაციული სამართალწარმოება და იურიდიული დახმარების სამსახური, საპატენტო სამართალი, ბავშვთა უფლებები, ქონებრივი დავები, ანდერძი და მემკვიდრეობის დადგენა, საქალაქო მიწები და ქონების გადასახადი, ნოტარიუსთა პალატა, იუსტიციის სახლის არსი და სხვა...

ტოქ-შოუ "დაიოს საუბრები"

ქრონო - 45-50წთ.

სიხშირე - კვ.-1

დროის სეგმენტი - 24 საათი

მოკლე ანოტაცია

ტოქ-შოუს წამყვანი, **გია ბუღაძე** მიზნად ისახავს მაყურებელს გააცნოს სხვადასხვა დარგისა და პროფესიის წარმატებული ადამიანები, ისინი, ვინც გამოირჩევიან მაღალი კლასის პროფესიონალიზმით. ტოქ-შოუს მიზანია ინტელექტუალურ აუდიტორიას მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია სხვადასხვა სფეროში

არსებულ სიახლეებსა და მიღწევებზე, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. გაათვითცნობიეროს რიგითი მაყურებელი სხვადასხვა დარგში, ამ დარგების მეცნიერთა და წამყვან სპეციალისტთა საქმიანობის წარმოჩენით, აზიაროს მაყურებელი მაღალ ხელოვნებას. ამ ტიპის დისკუსია-საუბრები მაყურებლისთვის ატარებს შემეცნებით ხასიათს.

საანგარიშო წლის მანძილზე სულ ეთერში გავიდა 48 გადაცემა.

ტოქ-შოუს თემატიკა იყო მრავალფეროვანი, რადგან მოწვეული იყვნენ სხვადასხვა დარგის მეცნიერები, მკვლევარები, ხელოვნებათმცოდნეები, მუსიკოსები, მხატვრები, საინჟინრო საქმის წამყვანი სპეციალისტები, არქიტექტორები, ექიმები, ფსიქოლოგები, არქეოლოგები, ლიტერატორები და ის ადამიანები, ვინც რაღაც მნიშვნელოვანი შექმნეს სახელოვნებო, სამეცნიერო თუ სხვა სფეროებში.

გადაცემის სტუმრები იყვნენ:

ჯონ ვულდერმანი - საქართველოში მცხოვრები ამერიკელი მხატვარი

ირმა რატიანი - ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი

ირინა გაჩეჩილაძე - მხატვარი, რეჟისორი

დავით ხოშტარია - ხელოვნებათმცოდნე

ნუგზარ მაგალობლიშვილი - მხატვარი აფხაზეთიდან

ალექსანდრე კაკაბაძე - კერამიკოსი
რამაზ ჩარეიშვილი - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
თინა მარგალიტაძე - ლექსიკოგრაფი, ინგლისურ-ქართული ლექსიკონის გამომცემელი



გალაცემა "რვანი ვნანი"

ქრონო - 26 წთ.
სიხშირე - კვ.-1
დროის სეგმენტი - 14:00
მოკლე ანოტაცია

გადაცემათა ციკლის მიზანია სოფლის მეურნეობის მთავარი დარგების კომპლექსური გაშუქება, არსებული ვითარების, განვითარების პერსპექტივებისა და პრობლემების წარმოჩენა. ამ გადაცემის საშუალებით სოფლის მეურნეობაში დასაქმებულმა ადამიანებმა უნდა

მიიღონ მათთვის საჭირო და სასარგებლო ინფორმაცია ახალ მეთოდებზე, უახლეს ტექნოლოგიებზე და ეს ცოდნა გამოიყენონ პრაქტიკაში. გადაცემის მიზანია ხელი შეუწყოს დამწყებ ფერმერს საკუთარი მეურნეობის სწორად აწყობასა და წარმოებაში. გადაცემაში მოწვეული ექსპერტებისა და სპეციალისტების რჩევების საშუალებით მოხდეს ფერმერთა ინფორმირება წარმოების, გადამამუშავების, მარკეტინგის და საბანკო სექტორთან ურთიერთობის სფეროში. გადაცემა მოიცავს მთელ ტექნოლოგიურ ციკლს მიწის ნაკვეთის შეძენიდან დაწყებული მოწვეული პროდუქციის რეალიზაციით დამთავრებული, რათა დამწყებმა ფერმერმა კარგად გაიაზროს, რა ცოდნა და გამოცდილებაა საჭირო წარმატებული საქმიანობისათვის.

საანგარიშო წლის მანძილზე სულ ეთერში გავიდა 48 გადაცემა

პროექტმა მოიცვა სოფლის მეურნეობის ყველა დარგი. გადაცემას ჰქონდა ე.წ. ცხელი ხაზი მაყურებელთან სატელეფონო კომუნიკაციისათვის. მაყურებელს ჰქონდა საშუალება თავისი მოსაზრებები, შენიშვნები და სურვილები გაეზიარებინა შემოქმედებითი ჯგუფისთვის. საანგარიშო წლის მხოლოდ 6 თვეზე გადაცემას გამოეხმაურა 500-ზე მეტი მაყურებელი, რაც დაფიქსირდა მონაცემთა ბაზაში. ყოველი მომდევნო გადაცემა იგეგმებოდა მაყურებელთა ინტერესების გათვალისწინებით, რამაც საკმაოდ გაზარდა სამიზნე ჯგუფიც და გადაცემის რეიტინგიც. შედეგად მივიღეთ 10-12 დამწყები ფერმერი, ვინც ხელი მოკიდა ამ საქმეს სწორედ გადაცემაში მიღებული რჩევებისა და კონსულტაციების შემდეგ.

შედეგად, გაიზარდა ფერმერთა შემოსავალიც, რადგან დაინტერესებულ პირებს გადაცემის კოორდინატორი აკავშირებდა წარმატებულ ფერმერებთან მეცხოველეობის, მეზოცვრეობის, მეფუტკრეობის, სანერგეების, მეჩითილეობის, მეხილეობისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო დარგებში. პროექტმა გამოიწვია დიდი ინტერესი არა მარტო სოფლად და რეგიონებში, არამედ ქალაქის მაცხოვრებლებშიც. ბევრმა მათგანმა გადაცემის ექსპერტებისა და კონსულტანტების რჩევის საფუძველზე უფრო უკეთ მოაწყო საბაღე მეურნეობა.

პასიჰანური პიანოლოგია

„სი ბემოლი“

წამყვანები - ნოდარ ლადარია, ლაშა ბულაძე

გადაცემის წამყვანები საუბრობენ კლასიკურ მუსიკაზე: თხზულებათა შექმნის ისტორია, კომპოზიტორის ცხოვრება, ეპოქის მივიწყებული სახე და რაც მთავარია, თვითონ მუსიკა . ამ ყველაფერთან ერთად , გადაცემა „სი ბემოლი" მაყურებელს ვიდეოფრაგმენტებს და იუმორით გაჯერებულ დიალოგს სთავაზობს.

გადაცემა იწერება 3 სტუდიაში

მეოთხე კვარტალში ეთერში გავიდა 9 გადაცემა



1. 20.10.2011 --- მუსორგსკი „ ბორის გოდუნოვი“
2. 27.10.2011 --- შოსტაკოვიჩი ქრ.
3. 10.11.2011 --- ვაგნერი „პარციფალი“
4. 17.11.2011 --- მოცარტი „ კოზი ფან ტუტე“
5. 24.11.2011 – დონიცეტი „ ლუჩია დე ლა მერმური“
6. 1.12.2011 -- სიყვარული ოპერაში - მოცარტი
7. 9.12.2011 -- პუჩინი
8. 15.12.2011 -- სიმფონია სი ბემოლში
9. 22.12.2011 -- ვერდი „ლუიზა მილერი“

გადაცემა ეთერში გადის კვირაში ერთხელ – ხუთშაბათს 24.00 საათზე ქრონომეტრაჟი 52წთ

უცნობი მუსიკა

პროექტის ავტორი – კახა თოლორდავა

წამყვანები: კახა თოლორდავა, გია ხადური

გადაცემა “უცნობი მუსიკა” სთავაზობს მსმენელს მუსიკას, რომელიც იქმნება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, დაწყებული იაპონიიდან და დასრულებული აფრიკის ქვეყნებით, იმ ადამიანების მიერ, ვისთვისაც მუსიკა მხოლოდ გართობის წყარო არ არის. ეს არ არის კომერციულ, “ადვილადგასაგებ” თუ “ადვილად აღსაქმელ” პროდუქციაზე დაფუძნებული გადაცემა, არამედ ბევრისთვის “ძნელად მოსასმენი” მუსიკა, რომლის ფესვებიც ღრმადაა გადგმული სხვადასხვა მუსიკალურ ჟანრებში.

გადაცემა იწერებოდა მაგთიკლუბში

მეოთხე კვარტალში ეთერში გავიდა 11 გადაცემა

გადაცემა ეთერში გადის კვირაში ერთხელ – კვირას 23.30 საათზე ქრონომეტრაჟი 45წთ



ვინ არის ოლივერი

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე განხორციელდა BBC-ის მუსიკალური პროექტი „ვინ არის ოლივერი“.

ჟიური : დავით საყვარელიძე, ჯან-ლუკა მარჩიანო, ზაალ ჩიქობავა და ნეკა სებისკვერაძე

მპროექტი განხორციელდა 3 ეტაპად.

I ეტაპი კონკურსანტების შერჩევა

II და III ტური

I ტური ჩატარდა საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობაში 2011 წლის 1,2,3,4 ოქტომბერს

II ტური ჩატარდა რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე 2011 წლის 9,10 ოქტომბერს

II ეტაპი ნენსის და ოლივერის სკოლა

რუსთაველისა და ოპერის თეატრებში ჩატარდა 3 დღიანი მასტერკლასები ცეკვა, სიმღერა და მსახიობის ოსტატობაში.

ჟიურიმ შეარჩია 9 გოგონა და 10 ბიჭი შემდეგი ეტაპისათვის
გადაცემა ეთერში გადიოდა კვირაში ერთხელ ყოველ პარასკევს 21.30 სთ
პირველი 2 ეპიზოდის ქრ.45წთ ხოლო დანარჩენი 6 ეპიზოდის ქრ. 90 წთ



მასტრო

მუსიკალური პროექტი “მასტრო” არის BBC-ის მიერ წარმოდგენილი კონკურსი, სადაც საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი სახეები ეჯიბრებიან ერთმანეთს დირიჟორობაში. კონკურსში მონაწილეობას ღებულობდა 8 მონაწილე და არც ერთი მათგანი არ ყოფილა პროფესიონალი დირიჟორი.

ორი თვის განმავლობაში კონკურსანტები იღებდნენ გაკვეთილებს პროფესიონალი დირიჟორებისგან: თამაზ ჯაფარიძე, რევაზ

ტაკიძე, ავთანდილ მამაცაშვილი, შავლეგ შილაკაძე, გიორგი ჟორდანიას, მამუკა დოლიძე, ვადიმ შუბლაძე და გივი მუნჯიშვილი ყოველ დღე კონსერვატორიის აუდიტორიუმში აცნობდნენ “მოწაფეებს”, როგორც დირიჟორობის საიდუმლოს, ასევე ზოგად მუსიკალურ უნარ-ჩვევებს.

17 ნოემბერს შედგა პირველი შეხვედრა კონკურსანტებისა მენტორ მასწავლებლებთან. კენჭისყრის შედეგად განაწილდა პროგრამა.

პროექტის ღებულების მიხედვით ყოველი ტურის შემდეგ თითო მონაწილე აკლდებოდა კონკურსს.

პირველივე ტურში ტრავმის გამო კონკურსს გამოეთიშა გოჩა კაპანაძე.

3 ტური ეთერში გავიდა 2011 წლის 3 დეკემბერს.

ყოველ შემდგომ ტურში შემდეგი თანმიმდევრობით გამოეთიშნენ პროექტს კონკურსანტები: ნანული სარაჯიშვილი,

გოგიტა გეგელაშვილი, ონისე ონიანი, მერაბ სანოძე.

ფინალში გადავიდა 3 მონაწილე: ხათუნა გოგორიშვილი, ლევან ვეფხვაძე და ნინო ზაუტაშვილი.

კონკურსის ყველა ტური ერთმანეთისგან განსხვავდებოდა შინაარსით. დირიჟორობდნენ გუნდს და ორკესტრს, ვოკალისტებს, სოლო ინსტრუმენტალისტებს.

ფინალში შესრულდა საფორტეპიანო, სავიოლინო და სავიოლონჩელო კონცერტები, რის შედეგადაც გამოვლინდა 2 გამარჯვებული: ლევან ვეფხვაძე და ნინო ზაუტაშვილი.

პატარა შესვენების შემდეგ ამ უკანასკნელებმა იდირიჟორეს ბეთჰოვენის მე-5 სიმფონიის ნაწილი.

კონკურსის ჟიური წერდა ქულებს და ამით წყვეტდა ორი აუტსაიდერის ბედს. ხოლო ამ ორიდან უპირატესობას, ფარული კენჭისყრით, ორკესტრის ყველა წევრი ანიჭებდა ერთ-ერთ მათგანს.

ჟიურის თავმჯდომარე გახლდათ თბილისის სიმფონიური ორკესტრის ხელმძღვანელი ბატონი ვახტანგ კახიძე, წევრები: კონსერვატორიის პროფესორები: ნანა დიმიტრიადი, მანანა ახმეტელი და ნოდარ ჟვანია.

ბეთჰოვენის მე-5 სიმფონიის დირიჟორობის შემდეგ ორი კონკურსანტის ბედი მხოლოდ ორკესტრის გადასაწყვეტი იყო.

ორკესტრის მუსიკოსების ხმების უმრავლესობით პროექტ “მასტროს” გამარჯვებული გახდა ნინო ზაუტაშვილი.

ამ მოვლენის მთავარი მესიჯი არის ის, რომ ეს პროექტი დიდ გავლენას მოახდენს კლასიკური მუსიკის განვითარებასა და პოპულარიზაციაზე.

საზოგადოებრივი მუშაობის ანგარიში

„პეპეს ზღაპრები“ - ყოველდღე შაბათ კვირის გარდა 19:40 საათზე
ქრონი: 10 წთ.

პეპესთან სტუმრად მოდიან ბავშვები, რომლებსაც პეპე ზღაპარს უყვება. გადაცემა თემატურად გაფორმებულია ბავშვების ნახატებით.

ახალი გადაცემა - „პეპე და მეგობრები“ - ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 18:00 საათზე. ქრონი: 50 წთ.

გადაცემა „პეპე და მეგობრები“ ბავშვებს მრავალფეროვან, საინტერესო თამაშებს სთავაზობს.

თამაშით პატარები მათთვის საინტერესო ინფორმაციას იღებენ, სწავლობენ ხელმარჯვეობას, უვითარდებათ მეხსიერება. გადაცემა გაფორმებულია მულტფილმებითა და მუსიკალური ნომრებით, სიუჟეტებით (გადაცემაში ვიწვევთ მომღერალ ბავშვებს, სხვადასხვა სტუდიის აღსაზრდელებს, ანსამბლებს, ჯგუფებს)

ბავშვებს ახალ რუბრიკას „მიპასუხე სწრაფად“ ვთავაზობთ.

წამყვანი თიკო და შეჯიბრში მონაწილე თოჯინები - მიუ, ფუშიკო, ბობო და სოლიკო პატარა მაყურებელს სასაცილო და მხიარულ სანახაობას ჰპირდებიან.

გადაცემის ყოველი დღე თემატურად განსხვავებულია.

„ბავშვობანა“ - ყოველ შაბათს 11:30 ქრონი: 30 წუთი
წამყვანი ანანო გარუჩავა (10 წლის)

გადაცემის წამყვანი სტუდიაში სხვადასხვა თემაზე დისკუსიას ბავშვებთან ერთად მართავს. სადისკუსიო თემებს თავად ბავშვები ირჩევენ. ისინი საუბრობენ ყველაფერზე რაც უყვართ, რაზეც ფიქრობენ...

გადაცემაში დიდებიც მონაწილეობენ. „ბავშვობანა“ სტუმრად



მათ ბავშვობაში მიდის.

გადაცემის ბოლოს - ანანო ბავშვებს „საშინაო დავალებას“ აძლევს, ვინც კარგად შეასრულებს, სტუდიაში იწვევს. ბავშვებს საშინაო დავალების შესასრულებლად ერთი კვირა აქვთ (კვირის განმავლობაში ბავშვები გვიკავშირდებიან საიტის www.1tv.ge-ის, ან facebook-ის საშუალებით (ბავშვობანა ანანოსთან ერთად) Skype – bavshvobana. ტელ. 2 409 041

დაიჭიროე და ითამაშე „ბავშვობანა“ მხოლოდ პირველზე, ანანო გარუჩავასთან ერთად.

გამეორება

„პლანეტა ბასტიბუბუ“

იანვარი 5 გადაცემა, თებერვალი 4 გადაცემა, მარტი 4 გადაცემა, აპრილი 5 გადაცემა, მაისი 4 გადაცემა, ივნისი 4 გადაცემა

შაბათი – S სათამაშო- დილის 09:00 დან 09:45 საათამდე

„M კლასი“ – ყოველ შაბათს 9:45 წუთიდან. გადაცემის ქრონომეტრაჟი 45 წუთი.

ივლისი, აგვისტო, სექტემბერი

შემეცნებითი გასართობი გადაცემა **M კლასი** გათვლილია 6,7,8 წლის ასაკზე.

ყოველ შაბათს, დილიდან მხირულ გაკვეთილებზე გელოდებით გოგია და სონიკი. გოგიას ჰყავს დამხმარე ბავშვები, რომლებიც სხვადასხვა გაკვეთილზე ერთვებიან სტუდიაში. გოგიას აქვს შედგენილი გაკვეთილების სია.

1) ინგლისურის გაკვეთილი- ძალიან მხიარული გაკვეთილია. ყოველი გაკვეთილისთვის თემატურად შერჩეულია მუსიკალური და ვიდეო მასალა. ბავშვებთან მუშაობს პედაგოგი. გაკვეთილისთვის იწერება ორიგინალური სიმღერები და ლექსები. სპეციალურად ამ გაკვეთილისთვის მზადდება ფონები.

2) მხიარული გეოგრაფია - ამ გაკვეთილზე მხიარული გეოგრაფები ბავშვებს სხვადასხვა ქვეყნებს და ქალაქებს აცნობს. მოკლე და სახალისო გეოგრაფიული ინფორმაციებით. გადაცემაში გამოყენებულია, მოგზაური გროვერის კადრები. აგრეთვე გეოგრაფიის გაკვეთილისთვის იწერება შესაბამისი ნაციონალური სიმღერები და იდგმება კოსტიუმირებული ცეკვები, თავისი ორიგინალური მხატვრული ფონებით.

3) სიმღერით ვსწავლობთ კითხვას - ბასტი ბუბუ კაროკე, რომელიც გათვლილია იმ ასაკის ბავშვებზე, რომლებიც ახლა სწავლობენ სწარვ კითხვას. ყოველი გადაცემისთვის ახალი სიმღერები იწერება.

- 4) ფოკუს-მოკუს გაკვეთილი - ემ კლასს ერთვება ილუზიონისტი ზურაბ ვადაჭკორია. რომლებიც ბავშვებს ფოკუსების გაკეთებას ასწავლის.
- 5) რჩევები- იმას, თუ როგორ მოიქცე კლასში, იმისთვის, რომ წარმატებული მოსწავლეები გახდეთ ელენიკო და ნიკუშა გორჩევთ. სასარგებლო რჩევები სკოლის მოსწავლეებისათვის.
- 6) გოგინას და სონიკს ბავშვები ნახატებს და წერილებს უგზავნიან. ამ წერილების მიხედვით გადამღები ჯგუფი ბავშვებს სტუმრობს და მათ ნამუშევრებს აფიქსირებს.

გეოგრაფიის გაკვეთილი: მომზადდა შემდეგი გადაცემები, შემდეგ ქვეყნებზე: კანადა- გაფორმებული ანიმაციით. ავსტრალია, ეგვიპტე, ჰოლანდია, ინგლისი, იტალია, ლაპლანდია, მალაიზია, ისრაელი, იამაიკა, მონღოლეთი, საფრანგეთი, ესპანეთი, იაპონია .

შაბათი - ბასტი-ბუბუ L- ივლისი, აგვისტო, სექტემბერი



ლ-ფაქტორი - ლ-ფაქტორი 10სთ 15წთ-ზე იწყება. ეს არის გადაცემა ნიჭიერი და პერსპექტიული ბავშვების შესახებ. გადაცემის წამყვანი გიო ხვდება იმ ბავშვებს, რომლებმაც პირად საქმიანობაში, სფეროში გარკვეულ წარმატებას უკვე მიაღწიეს. კამერა მუდმივად დაჰყვება გადაცემის გმირს და მაყურებელი იგებს, თუ როგორია გადაცემის მთავარი პერსონაჟის ერთი ჩვეულებრივი დღე. ამავე დროს პერსონაჟი გვესაუბრება საკუთარი გატაცებების შესახებ.

გამეორება

იანვარი 5 გადაცემა, თებერვალი 4 გადაცემა,

მარტი 4 გადაცემა, აპრილი 5 გადაცემა, მაისი 4 გადაცემა, ივნისი 4 გადაცემა

კვირა – საკვირაო თამაშები - დილის 09:00 დან 09:45 საათამდე - ბაბილინა ბავშვებს ათამაშებს .. არის კვირის თემა და ამ თამაშზე თამაშ-თამაშით ასწავლის.. მათემატიკას... (თამაში მაღაზიობანა) სისწრაფეს(შეჯიბრებები) ხელსაქმეს(აკეთებენ სათამაშოებს რომლითაც მერე თვითონ თამაშობენ) მხიარული ლოტო... (ეკოლოგიურ თემებზე) და სხვა შემეცნებითი თამაშები.....

4 გადაცემა

გადაცემა „BM შტაბი“, ყოველ კვირას 9:45 წუთიდან. ქრონომეტრაჟი: 45 წუთი.

ყოველ კვირა დილით, **BM** შტაბში ბავშვები იკრიბებიან, სადაც საიდუმლო და საინტერესო მასალები მოაქვთ. ინფორმაცია ყველა სფეროდან მოდის:

კვირა - ბასტი-ბუბუ L - 10 სთ 15წთ-ზე

ჩემი სფერო-“ჩემი სფერო“ ყოველდღიური გადაცემაა. ამ გადაცემის მთავარი მონაწილეები ბავშვები არიან, რომლებიც საუბრობენ მათთვის საინტერესო თემებზე. პარალელურად ეკრანზე ჩნდება თემასთან დაკავშირებული ვიდეო და ფოტომასალა. კვირას, მთელი კვირის განმავლობაში გასულ გადაცემათა ყველაზე საინტერესო ეპიზოდები იყრის თავს.

გამეორება

იანვარი, თებერვალი, მარტი

ყოველდღიური ერთსაათიანი პროგრამა -5სთ- დან 6სთ-მდე

S ჯგუფის ასაკის ბავშვებისთვის თხუთმეტწუთიანი მულტფილმები

M ჯგუფის ასაკის ბავშვებისთვის გადის 15 წუთიანი მულტფილმები;

L ჯგუფის თინეიჯერებს სთავაზობს ნახევარსაათიან ფილმებს...

დილის გაღმავლება გაერთიანება

ჩვენი დილა

“ჩვენი დილა” წარმოადგენს შემეცნებითი და გასართობი ხასიათის პროგრამას, რომელიც იწყებს არხის საეთერო მაუწყებლობას და 3 საათისა და 30 წუთის განმავლობაში მოსახლეობას მისთვის მნიშვნელოვან ნებისმიერ საკითხზე ესაუბრება. პროგრამის მიზანია გამოაფხიზლოს მოსახლეობა, დადებითი ენერჯით დამუხტოს,

მოამზადოს საქმიანი დღის დასაწყებად და, რაც მთავარია, მისცეს საჭირო და აუცილებელი ინფორმაცია, რომელიც მას გამოადგება დღის განმავლობაში. დილის მაუწყებლობის თავისებურებების გათვალისწინებით, პროგრამა “ჩვენი დილა” შედგება მრავალი განსხვავებული იმ რუბრიკისგან, რომლებიც იმგვარ საკითხებს ეხება, რომელთა გაცნობაც დილით არის მიზანშეწონილი.

პროგრამა „ჩვენი დილის“ რუბრიკების უმეტესობა არის ინტერაქტიული. მოსახლეობა მუდმივად ერთვება პროგრამის მსვლელობაში და წამყვანებს თუ მოწვეულ სტუმრებს განსახილველ თემატიკაზე საკუთარ აზრს აწვდის, ასევე იღებს პასუხებს მისთვის სასურველ ნებისმიერ კითხვაზე კომპეტენტური სტუმრებისგან.

ყოველ დღე სტუდიაში მოდის სხვადასხვა პროფესიის 1 ან 2 სტუმარი. სტუმრების სიმრავლეს განაპირობებს განსახილველ საკითხთა ფართო სპექტრი.

პროგრამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რუბრიკაა „დილის რეცეპტი“, სადაც ყოველ დღე მოწვეული ექიმი მოსახლეობას უტარებს ონლაინ - კონსულტაციებს და პასუხობს მრავალ კითხვას. რუბრიკას უძღვება ექიმი-ჟურნალისტი მარი მალაზონია. ამ რუბრიკის რეიტინგი კვლავ საკმაოდ მაღალია, რადგან ხშირად ამ რუბრიკის თემებს მაყურებლის მოსაზრებები და სურვილები განაპირობებს.

საბავშვო ბლოკი წარმოადგენილია 20 წუთიანი მულტფილმის ჩვენებით. პროგრამა ხარისხიან ანიმაციას სთავაზობს პატარა მაყურებელს.

„დილის პრესა“ არის რუბრიკა, სადაც არის ვრცელი მიმოხილვა იმ სტატიების, რომლებიც პრესაში დაიბეჭდა და რომელიც ჯერ მაყურებელს არ წაუკითხავს. ამ მიმოხილვის შემდეგ, მოსახლეობა ირჩევს მისთვის სასურველ გამოცემას. ბლოკის სტუმრები კი არიან რომელიმე გაზეთის მთავარი თემის ან გმირები, ან ის ჟურნალისტები, რომელთაც ამ თემაზე იმუშავეს. ამით მაყურებელი ეცნობა პრესის ჟურნალისტებს, უფრო ვრცლად იგებს თემასთან დაკავშირებულ იმ საკითხებს, რომლებიც ამა თუ იმ მიზიზის გამო, ვრცლად ვერ აისახა ბეჭდური გამოცემის ფურცლებზე. ამ რუბრიკის სტუმრები არიან როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ასევე ყვითელი პრესის და ტაბლოიდების წარმომადგენლები.

ქართული პრესის მიმოხილვის გარდა, ყოველ დილით მაყურებელს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს უცხოურ ინტერნეტგამოცემებს. პირდაპირ ეთერში პროგრამის წამყვანი მიმოხილავს საოციალური ქსელებით და ინტერნეტსაიტებისთ გაგრცელებულ საინტერესო ამბებს და ინფორმაციებს. ამით „ჩვენი დილა“ პასუხობს თანამედროვე მოყურებლის მოთხოვნებს, განსაკუთრებით მათ, ვინც ინტერნეტის აქტიური მომხმარებელია.

სოციალური საკითხების გამშუქებელი რუბრიკა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რუბრიკაა “საზოგადოებრივი მაუწყებლის” დილის პროგრამაში. რუბრიკის მიზანია მაქსიმალურად დაუახლოვოს “საზოგადოებრივი მაუწყებელი” მის მაყურებელს. მოისმინოს თუ რა სურს და რა აინტერესებს მას. დაეხმაროს სოციალური პრობლემების მოგვარებაში. სიუჟეტის ნახვის შემდეგ, სტუდიის სტუმართან ერთად, გრძელდება საუბარი. ამ რუბრიკას აქვს ერთგვარი მონიტორინგიც იმის თაობაზე, თუ როგორ

შესრულდა მოსახლეობისთვის მიცემული პირობები. დაიგო თუ არა გზები, გადაიხურა თუ არა სახლები და ა.შ.

კულტურის ბლოკი მოიცავს საქართველოს და მსოფლიოს კულტურული და სპორტული ცხოვრების მიმოხილვას. ამ რუბრიკის საშუალებით, მაყურებელი ეცნობა ყველაფერს, რაც არ უკავშირდება პოლიტიკას, ეკონომიკას, სოციალურ სფეროს. ეს ერთგვარი რეკრეატიული თვისების მქონე რუბრიკაა, რომელმაც ახალი დღისთვის ოპტიმისტურად განაწყობს მაყურებელს. აცნობს კულტურულ აფიშას, ურჩევს სად და როგორ გაატაროს საღამო, რა ნახოს და რა მოისმინოს. ამ რუბრიკასაც აქვს შესაბამის თემაზე მომზადებული სიუჟეტი და ჰყავს ერთი ან რამდენიმე სტუმარი.

დილის მაუწყებლობის აუცილებელი რუბრიკაა **ამინდის პროგნოზი**, რომელიც ყოველი ბლიკის დასრულების შემდეგ, მოსახლეობას აცნობს მოსალოდნელი ამინდის პროგნოზს. საქართველოს ქალაქების და რეგიონების ამინდის პროგნოზის გაცნობის გარდა, ამ რუბრიკაში მაყურებელი ეცნობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის და ქალაქის ამინდის პროგნოზსაც.

ამ კვარტალში დილის პროგრამაში გაჩნდა ახალი რუბრიკა **ჰორისკოპი**, რადგან მოსახლეობის დიდ ნაწილს სჯერა იმის, რასაც ვარსკვლავები ურჩევენ.

ამ კვარტალში დილის პროგრამას დაემატა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რუბრიკა **„დილის რჩევები“**, რომელიც ასევე სასარგებლო რუბრიკაა მოსახლეობისთვის. ამ რუბრიკაში ჩვენ მაყურებელს ვთავაზობთ ყოფით ცხოვრებაში გამოსადეგ რჩევებს. მაგალითად: რიგორ ივარჯიშოს, რა უნდა იყოს საუზმის რაციონი, რა უნდა იცოდეს მასაჟის შესახებ, თმის და სახის მოვლის შესახებ და ა.შ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთელი პროგრამის განმავლობაში ის რუბრიკები, რომლებიც შეიცავენ მაყურებლისთვის სასარგებლო ინფორმაციას („დილის რჩევები“, „ჰორისკოპი“ „დილის პრესა“ „ამინდის პროგნოზი“, „სპორტის მიმოხილვა“) მეორდება მათთვის, ვინც პროგრამას გვიან შემოუერთდა.

პროგრამის გახალისებისთვის ამ კვარტალშიც შენარჩუნებულია მეტად საინტერესო რუბრიკა **“ჰიტი”**, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა დროის მუსიკალური ჰიტების გაცნობას მაყურებლისთვის. გარდა იმისა, რომ მაყურებელი კიდევ ერთხელ ისმენს მისთვის სასურველ და საყვარელ მელოდიებს, მას შეუძლია პრიზის მოგებაც, რადგან რუბრიკა გულისხმობს ვიქტორინასაც. დასმული კითხვაზე სწორი პასუხის გაცემის შემდეგ, გამარჯვებული მაყურებელი ჯილდოვდება პრიზით. ჰიტებს მაყურებელი ეცნობა როგორც ჩანაწერში, ასევე სტუდიაში ცოცხალი შესრულების საშუალებითაც.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რუბრიკა არის **“სპორტული ცხოვრების მიმოხილვა”**, რომელიც არა მხოლოდ მამაკაცებს, მანდილოსნებსაც აინტერესებთ, რადგან ამ რუბრიკაში მიმოხილება სპორტის ყველა სახეობა და ქართულ თუ უცხოურ სპორტულ ცხოვრებაში მიმდინარე ყველა სიახლე.

დილის პროგრამაში არის რუბრიკა **„თარიღი“**, რომელიც მაყურებელს შეახსენებს/აცნობს თუ რით იყო ისტორიაში გამორჩეული ეს დღე. ამ რუბრიკით მზადდება სიუჟეტიც განსაკუთრებულად გამორჩეულ მოვლენაზე, იქნება ეს ვინმე ცნობილი მოღვაწის დაბადების ან გარდაცვალების თარიღი, თუ რომელიმე მნიშვნელოვანი მოვლენის თარიღი.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია **“ჩვენი დილის” სპეციალურმა პროექტმა “ქართული ცეკვის კონკურსმა**, სადაც ქართული ხალხური ცეკვების შემსრულებლები მთელი თვის განმავლობაში ყოველ



დღით მაყურებლის წინაშე საკუთარ შემოქმედებას წარმოადგენდნენ. თავდაპირველად კონკურსის მიმდინარეობის დროს მოსახლეობის ზარები იყო უფასო, რამაც განაპირობა უპრეცედენტო რაოდენობის ზარის

შემოსვლა - 2 მილიონ 200 ათასი ზარი მოვიღეთ ერთი თვის განმავლობაში. მეორე კონკურსის დროს კი ზარის ღირებულება გახდა 50 თეთრი და მიუხედავად ამისა, მოსახლეობის საკმაოდ დიდმა ნაწილმა დარეკა და ხმა მისცა მის რჩეულს. ფილანლისტები გამოვლინდა მაყურებლთა ზარებითაც და კომპეტენტური ჟიურის მიერაც. გამარჯვებულებს გადაეცათ დიპლომები და ფასიანი პრიზები. დღეს კვლავ დიდი მოთხოვნაა მოსახლეობის მხრიდან ამ კონკურსის გაგრძელებაზე და „ჩვენი დილა“ გეგმავს მის ჩატარებას. კონკურსის ჟიურის წევრები იყვნენ საქვეყნოდ აღიარებული მოცეკვავეები იამზე დოლაბერიძე, ფრიდონ სულაბერიძე და ომარ მხეიძე, ასევე ქორეოგრაფიული საზოგადოების საპატიო პრეზიდენტი თენგიზ ურთმელიძე და ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, დილის გადაცემების გენერალური პროდიუსერი და ამ პროექტის ავტორი გიორგი ჩართოლანი. კონკურსს უძღვებოდა ჟურნალისტი და ყოფილი მოცეკვავე, დილის გადაცემების სპეციალური პროექტების პროდიუსერი ნათია წულაძე.

ავისტოს თვეში პროგრამის „ჩვენი დილა“ წამყვანების შესარჩევად საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გამოაცხადა კონკურსი, რის შედეგადაც შეირჩა პროგრამის ახალი წამყვანები და პროგრამის კორესპონდენტი.

კონკურსში მონაწილეობა მიიღო 80-მდე აპლიკანტმა, აქედან მხოლოდ 6 გახდა პროგრამის წამყვანი.

სამწამყვანიანმა ფორმატმა საგრძნობლად დინამიური გახდა პროგრამა, ამას ხელი შეუწყო იმ სიახლემაც, რომ ჩვენ უარი ვთქვით მოკარნახე მონიტორის გამოყენებაზე და წამყვანები პირდაპირ ეთერში 2,5 საათის განმავლობაში საუბრობენ ზეპირად, ესაუბრებიან ერთმანეთს და მაყურებელს. ამ უშუალოდ კიდევ უფრო მეტი ინტერესი გააჩინა მაყურებლის მხრიდან პროგრამის მიმართ. პროგრამის წამყვანები თავად ამზადებენ ტექსტებს და რამდენიმე რუბრიკასაც კი.

სერიოზული განახლება განიცადა პროგრამის ფორმატმაც. ამჯერად პროგრამაში არის 5 სრულყოფილი რეპორტაჟი და სიუჟეტი, ასევე ერთი მნიშვნელოვანი რუბრიკა, რომელიც გულისხმობს **ცნობილ ადამიანებთან ყოველდღიურ შეხვედრებს**. ამ რუბრიკას უკვე გაუჩნდა მისი მაყურებელი. რუბრიკა მოიცავს დიალოგს საინტერესო თემებზე, რომელიც გადაფარულია ამა თუ იმ ადამიანის ბიოგრაფიის ამსახველი ვიდეო და ფოტო მასალით.

გადაცემები „დილის რეცეპტი“ და „სამოთხის ვაშლები“ კვლავ განაგრძობდა მუშობას ჩვეულ ფორმატში

განსაკუთრებული პოპულარობით და წარმატებით ჩაიარა დეკემბრის თვეში **“ქართული ცეკვის“ კონკურსმა**, რომელიც უკვე მესამედ ჩატარდა „ჩვენს“ დილაში“ შემოვიდა 2 მილიონზე მეტი ზარი, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ამ კონკურსისადმი მაყურებლის განუზომლად დიდი ინტერესი. ეს ინტერესი კიდევ გააღრმავა ჟიურის წარმომადგენლობითმა შემადგენლობამ - ფრიდონ სულაბერიძემ, მაკა მახარაძემ და თენგიზ ურთმელიძემ.

მნიშვნელოვანია იმ გარემოების აღნიშვნა, რომ საგრძნობლად გაიზარდა „ჩვენი დილის“ ავტორიტეტი იმ სტუმრებს შორის, რომლებიც არიან გადაცემის მონაწილენი. ამ სამი თვის განმავლობაში ჩვენს პროგრამას ჰქონდა თითქმის ყველა ექსკლუზივი, ყველა მნიშვნელოვანი კულტურული თუ სოციალური პროექტი პირველად ჩვენს დილაში შუქდებოდა.

პროგრამა **„სამოთხის ვაშლავს“** დაემატა ახალი, მეოთხე წამყვანი ნინო კურატაშვილი. ნინო კურატაშვილი 6 წელია ჩამოშორებული იყო საეთერო სივრცეს და მისმა დაბრუნებამ დიდ ინტერესს გამოიწვევს მაყურებელში. ნინო კურატაშვილი ორგანული ნაწილი გახდა პროგრამის და იგი ძალიან მალე შეიყვარა მაყურებელმა.

„სამოთხის ვაშლების“ ფორმატმაც მნიშვნელოვანი სიახლე განიცადა. იგი უფრო მეტად ინტერაქტიული გახდა. კვირაში ორი დღე არის სტუმრის გარეშე და ის მთლიანად ეთმობა მაყურებლის ზარებს და მათ მოსაზრებებს ამა თუ



იმ თემაზე. ამ სიახლემ კიდევ უფრო დაახლოვა პროგრამა მაყურებელთან. მათ სრული თავისუფლება მიეცათ ბოლომდე და ამომწურავად ისაუბრონ საკუთარ პრობლემებზე. პროგრამის წამყვანები კი აძლევენ მათ რჩევებს და კომენტარს უკეთებენ მათ მოსაზრებებს.

ბოლო სამი თვის განმავლობაში უფრო მეტად იყო უსტუმრო გადაცემები, სადაც მაყურებელს მეტი შესაძლებლობა ეძლეოდა გამოეხატა სრულყოფილად საკუთარი მოსაზრება ამა თუ იმ საკითხზე. საახალწლო ფორმატით კი სრულიად ორიგინალურად და საინტერესოდ წარსდგა „სამოთხის ვაშლები“ მაყურებელთა წინაშე. პირველ ბლოკში სამოთხის ვაშლების როლები არხის ცნობილმა სახეებმა: ეკა ხოფერიამ, ეკა კვეციტაძემ, ნინო ქაჯაიამ და ეკა მიშველაძემ მოირგეს.

სპორტული მიმართულება



ის, რომ 2011 წლის სატელევიზიო ეთერების რაოდენობა სარეკორდო იქნება სპორტული მიმართულებისათვის, მოულოდნელი არავისთვის არ იყო. რაგბიში მსოფლიოს, კალათბურთში ევროპის ჩემპიონატები, ჩემპიონთა ლიგის მატჩები, წყალბურთში, კალათბურთსა და ფუტსალში საკლუბო ტურნირები, ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპები, საქართველოს ჩემპიონატები როგ სახეობებსა და ძიუდოში გრან პრის ეტაპები – ამ პროდუქტებით წარსდგა სპორტული მიმართულება 2011 წელს თავისი ტელემაყურებლის წინაშე. ყველაფერი ამის გვირგვინი მეოთხე კვარტალიც გახდა, რომელიც

მრავალფეროვანი და საინტერესო გამოდგა.

ტრადიციულად ყოველ ორშაბათსა და ხუთშაბათს საღამოს პირდაპირ ეთერში გადიოდა საფეხბურთო მიმოხილვა და თოქ-შოუ “არენა”.

საფეხბურთო მიმოხილვამ ტრადიციულად მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო შიდა ჩემპიონატს, ასევე სანაკრებო თემას და ფუტსალში ევროპის შესარჩევ ეტაპს და საკლუბო ტურნირებს. გადაცემამ და წამყვანმა დ.მინაშვილმა ტელემაყურებელს საშუალება მისცა ტელეფონის საშუალებით თავიანთი აზრი გამოეთქვათ ქართული ფეხბურთის შესახებ. შეფასება მკაცრი და ობიექტური იყო.

საფეხბურთო მიმოხილვამ ყურადღების გარეშე არც ბავშვთა ფეხბურთი დატოვა. კლუბ “ოლიმპის” დამფუძნებელმა მამუკა გუგუშვილმა ვრცლად ისაუბრა ბავშვთა ფეხბურთში შექმნილ პრობლემებს და მათი გადაჭრის გზებზე.

საფეხბურთო მიმოხილვის დიდი ნაწილი ტრადიციულად ეროვნულ ჩემპიონატს ეძღვნება. დეტალურად საუბარია ყოველი ტურის თითოეულ მატჩზე – ვიდეომასალით კომენტარი კეთდება ამა თუ იმ სადაო საკითხებზე, გადაცემა სტუმრად იწვევს ჩემპიონატში მონაწილე გუნდების მწვრთნელებს და ფეხბურთელებს. კერძოდ გორის “დილას” ფოთის “კოლხეთის”, “ზესტაფონის” და “ტორპედოს” სპეციალისტებმა: გია ცეცაძემ, გია გეგუჩაძემ, დავით და თემურ მახარაძეებმა თავიანთი კლუბების შესახებ ისაუბრეს.

გადაცემაში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო სათასო მატჩებს.

მილიონობით ტელემაყურებელს საშუალება მიეცა ორ საათიან პირდაპირ ეთერში ეხილა საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი თემურ ქეცაია, რომელმაც დავით მინაშვილს და სტუდიაში მოწვეული 20 სპორტული ჟურნალისტის კითხვებს გაცა პასუხი, აქტიური იყო ტელემაყურებელიც რომელიც სპეციალურ ვებგვერდზე აგზავნიდა შეკითხვებს.

მომდევნო გადაცემებში აქტიური იყო ევროპის შესარჩევი ტურნირის თემა, რომელთა შესახებ ჟურნალისტებმა და მოწვეულმა სპეციალისტებმა ისაუბრეს.

საფეხბურთო მიმოხილვის სტუმრები იყვნენ ვეტერანი ფეხბურთელები ვარლამ კილასონია და კახი

გოგიაიშვილი, რომლებმაც ნეკრებში შექმნილ მდგომარეობაზე ისაუბრეს.

19 წლამდე ასაკის ფეხბურთელების გამოსვლა შეაფასა ამ ასაკის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გიორგი დევდარიანმა.

გადაცემის სტუმარმა საქართველოს ფუსტალის პრეზიდენტმა ავთანდილ წერეთელმა ისაუბრა იმ იმციდენტზე რომლის გამოც ჩვენი ნაკრები მეორე რაუნდში ვერ გადავიდა.

წლის ბოლო გადაცემაში მოწვალმა სტუმრებმა “ზესტაფონის” მთავარმა მწვრთნელმა გიორგი ჭიბრიჭილმა შეაჯამა პირველი წრე ისაუბრა თავის გუნდზე, რომელმაც წრე პირველ ადგილზე დაასრულა და შორს მიმავალი გეგმებიც გააჩნია.

თოქ-შოუ “არენას” დასკვნით კვარტალში არაერთ საინტერესო თემებზე ჰქონდა საუბარი, მიუხედავად ამისა გამორჩეული მაინც ორი მათგანი იყო – რაგბი და კალათბურთი და ამის მიზეზი ჩვენი ნაკრებების მონაწილეობა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე გამოსვლა გახლდათ. გარდა ამისა კალათბურთში ქართული გუნდები “არმია” და სოხუმი ევროტურნირებშიც ჩაერთო – დაიწყო სუპერლიგა, რომელმაც არაერთი სიახლე შესთავაზა მაყურებელს. რაგბიშიც განსაკუთრებული გამოდგა წლის მიწურული, რომელმაც ჩემპიონი და თასის მფლობელი გამოავლინა.

“არენას” ვრცლად ისაუბრეს მსოფლიოს ჩემპიონატზე – ნაკრების შესახებ, ახალ ზელანდიაში კულისებს მიღმა პერიპეტიებზე, საქართველოს ჩემპიონატსა და თასის ფინალურ მატჩზე.

17 ნოემბერს “არენას” მთლიანი გამოშვება ლეგენდარული კომენტატორის და საზოგადო მოღვაწის კოტე მახარაძის 80 წლის იუბილეს მიეძღვნა. ჯამლეტ ხუბაშვილმა, ოთარ გაბელიამ და მურმან ჯინორიამ ისაუბრეს კოტე მახარაძეზე. ნაჩვენები იქნა დოკუმენტური ფილმი “კომენტატორი”.

“არენამ” ერთერთი გამოშვება საფეხბურთო თემსაც დაუთმო – ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ და გენერალურმა მდივანმა რევაზ არველაძემ არაერთ საინტერესო შეკითხვას უპასუხეს. სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ნამგალაურმა ვრცლად ისაუბრა 2011 წლის მიღწევებსა და წარუმატებლობაზე.

საინტერესო გამოდგა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის გია ნაცვლიშვილის ორ საათიანი პირდაპირი ეთერი, რომელშიც სტუდიაში მოწვეულ ჟურნალისტებისა და ტელემაყურებლების შეკითხვებს გაეცა პასუხი.

29 დეკემბერს სტუდიას ეწვივნენ წლის საუკეთესო ფედერაციების რაგბის და კალათბურთის პრეზიდენტები ბესიკ ლიპარტელიანი და გია ნიჟარაძე.

სპორტული მიმართულების მიერ მზადდებოდა ყოველკვირეული ჩემპიონთა ლიგის დღიური.

ოქტომბერში დასკვნით ეტაპზე გავიდა რაგბიში მსოფლიო თასის გათამაშება, რომლის დასკვნითი ეტაპის ყველა შეხვედრა გადაიგა პირდაპირ ეთერში, მოეწყო პირდაპირი რეპორტაჟი სპორტკომპლექს “ოლიმპიდან” – წყალბურთში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი: საქართველო – რუმინეთი.

ასევე შესარჩევი ეტაპი ფეხბურთში: საქართველო – საბერძნეთი.

ტელემაყურებელმა პირდაპირ ეთერში იხილა ასევე საქართველოსა და მოლდოვას ამხანაგური მატჩის რეპორტაჟი.

პირდაპირი ეთერი დაეთმო კალათბურთელთა ევროჩელენჯის მატჩებს “არმიასა” და “სოხუმის” მონაწილეობით.

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი და მეორე არხების პირდაპირი ეთერი დაეთმო მიუდომი ამსტერდამისა და პეკინის დიდი პრიზის გათამაშებებს, რომელშიც ქართველმა ფალანგებმაც მიიღეს მონაწილეობა.

პირველი არხის მაყურებელმა იხილა რაგბიში საქართველოს ჩემპიონატის და თასის ფინალური მატჩები.

ყოველ კვირას პირდაპირ ეთერში გადაიციეოდა საქართველოს ჩემპიონატის მატჩები ფეხბურთში, რომელთა რეპორტაჟები ეწყობოდა თბილისიდან, ქუთაისიდან, ზესტაფონიდან და რუსთავიდან.

კინომიმართულება

კინომიმართულებამ 2011 წელს აჩვენა ლიცენზირებული პროდუქცია, რომელიც შესყიდულია კომპანიებისგან: **WORNER BROS, SONY, MGM, DICNEY, DISCOVERY, BBC, BIOGRAPHY CHANEL, HISTORY CHANEL, ARTE, CFI.**

ყოველდღე მაყურებელს ვთავაზობთ ჟანრობრივად მრავალფეროვან ამერიკულ და ევროპულ კინოპროდუქციას. ასევე, კვირაში ერთხელ ვაჩვენებთ ქართულ მხატვრულ ფილმებს.

2011 წელს ეთერში გავიდა შემდეგი სერიალები: პირველ კვარტალში ვაჩვენეთ იტალიური **“ტკბილი, მწარე ცხოვრება”**, სადაც მოქმედება ვითარდება იტალიის სამხრეთში მდებარე პატარა, ზღვისპირა ქალაქში, სადაც ექვსი, ერთმანეთისგან განსხვავებული, ოჯახის ყოველდღიური ცხოვრება ასახული.

ასევე, 23:00 სთ-ზე ხუთშაბათიდან კვირის ჩათვლით ამერიკული სერიალი **“ფარი”**. ეს არის კომპანია **“SONY”**-სგან შესყიდული კრიმინალური დრამა. სერიალში ლოს-ანჯელესის პოლიციელთა საქმიანობა აღწერილი. ადამიანების გადასარჩენად ისინი, ხშირ შემთხვევაში, არაორდინარულ გადაწყვეტილებებს იღებენ.

მეორე კვარტალში ყოველდღე, 21:00 სთ-ზე შაბათ-კვირის გარდა დაიწყო ახალი ფრანგული სერიალი **“ხუთი და”**. **FRANCE 2**-ის პროდუქცია ხუთი განსხვავებული დის საინტერესო და თავგადასავლებით აღსავსე ცხოვრებაზე მოგვითხრობს.

ასევე დაიწყო კომპანია **SONY**-ის ერთ-ერთი რეიტინგული სერიალი **“ზიანი”**. ფილმი იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულის თავგადასავალზეა აგებული, სადაც მთავარ როლს გლენ ქლოუზი თამაშობს.

მესამე კვარტალში 21:00 სთ-ზე ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, გავიდა ფრანგული დეტექტიური ჟანრის მინისერიალები: **“დოლმენი”** და **“კრიმინალური სეზონი”**. და ასევე ფრანგული მელოდრამა **“არავითარი**

საუდუმლო ჩვენს შორის”. ასევე გავიდა იტალიური კომედიური მინისერიალი **“დღეები ლეონესთან ერთად”**.

მეოთხე კვარტალში ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 19:00 სთ-ზე გავიდა ფრანგული დრამა **“მეორე შანსი”**, ხოლო 21:00 სთ-ზე ორშაბათიდან ხუთშაბათის ჩათვლით, დაიწყო **WORNER BROS** -ის წარმოებული უახლესი ამერიკული მძაფრსიუჟეტის სერიალი **“ნიკიტა”**.



2011 წელს ყოველდღე ეთერში გავიდა კომპანია **DISCOVERY, BBC, BIOGRAPHY CHANEL, HISTORY CHANEL, ARTE, CFI-**

სგან შესყიდული დოკუმენტური ფილმები, რომელიც შერჩეულია სხვადასხვა თემატიკის მიხედვით და საინტერესოდ მოგვითხრობენ ისტორიაზე, ხელოვნებაზე, მეცნიერებაზე და გამოჩენილ ადამიანებზე. ასევე, შაბათ-კვირას ვაჩვენეთ დოკუმენტური ფილმების ციკლი მოგზაურობაზე **“მსოფლიოს ქალაქები”** და **“მსოფლიო ოდისეები”**.

ბავშვებისთვის კი შაბათ-კვირას ეთერში გავიდა სხვადასხვა ანიმაციური და მხატვრული ფილმები.

ყოველ პარასკევს, 24:00 სთ-ზე გრძელდება **“რადიო თავისუფლებისა”** და **“პირველი არხის”** ერთობლივი პროექტი **“წითელი ზონა”**. ოკუპაციის მუზეუმიდან გადაცემის ავტორი და წამყვანი გიორგი გვახარია, სტუმრებთან ერთად, ცდილობს გააანალიზოს ჩვენი ქვეყნის წარსული და მოგვითხროს ადამიანებზე, რომლებიც კომუნისტური რეჟიმის მსხვერპლნი აღმოჩნდნენ. განიხილოს ყველა ის სფერო და ქვეყანა, რომელსაც რაიმე ფორმით შეეხო ეს რეჟიმი. გადაცემის ბოლოს კი, ავტორი მაყურებელს სთავაზობს მხატვრულ ან დოკუმენტურ ფილმს, რომელიც გადაცემის თემატიკიდან გამომდინარეობს.

დოკუმენტური ფილმების სტუდია

დოკუმენტური ფილმების სტუდიამ 2011 წელს მოამზადა 12 ფილმი.

1. პარალელური სამყაროები - ნინო კაკაურიძე, შალვა შენგელი
2. ეროვნული გალერეა- ნინო მდევაძე, ვახო ვარაზი
3. ევროვიზია 2011 - თემო კვირკველია
4. კაცხის სვეტი - ნინო კაკაურიძე, ბესიკ გაფრინდაშვილი
5. საქართველიკა - ნინო კაკაურიძე, ვახო ვარაზი
6. განწირული რეისი - ზაზა ჯღარკავა, ვახო კუნცევი





- 7. ივანას დაბრუნება - ნინო მდევაძე, რამაზ ბლუაშვილი
- 8. კავკასიური ნაგაზი - ნინო კაკაურიძე, ვახო ვარაზი
- 9. საქართველოს წითელი ჯვარი - ნინო მდევაძე, რამაზ ბლუაშვილი
- 10. საქართველოს პარლამენტი - მანანა ხიდაშელი, ლევან ადამია
- 11. მესტია - ნინო კაკაურიძე, თემო კვიციანი
- 12. ისევ ისე სიყვარულით - ნანა მესხი - ნინო მდევაძე, რამაზ ბლუაშვილი

პროექტ „ოკუპაციის“ ფორმატში მომზადდა და ეთერში გავიდა 17 ფილმი

1. უკრაინა - გოლოდომორი
2. ფინეთი ზამთრის ომი
3. უნგრეთი ბრძოლა თავისუფლებისათვის
4. განწირული ჩეხოსლოვაკია
5. პრადის გაზაფხული
6. გერმანული ტრაგედია
7. პოლონეთი ორი კატინი
8. მოლდოვა: თვითგამორკვევა რუსულად
9. ბალტია სამგზის ოკუპაცია
10. აზერბაიჯანი
11. 2008 წლის აგვისტო
12. ავსტრია
13. ჰოლოკოსტი
14. ავღანეთი
15. იაპონია
16. ბელორუსია-სასიკვდილო საჩუქარი
17. თანამედროვე რუსული ოკუპაცია - 2 ნაწილი

ვებ-გვერდი

- დასრულდა სსმ-ს თანამშრომლებისთვის საინფორმაციო პორტალზე მუშაობა.
- მიმდინარეობს ქართულ-უკრაინული პროექტის „10+10“ საიტზე მუშაობა.
- საიტზე www.radio1.ge დაემატა ფუნქციები.
- მიმდინარეობს gpb.ge დიზაინსა და სტრუქტურაზე მუშაობა.
- დასრულდა გადაცემის „გააგრძელე საქართველოს ისტორია“ საიტზე მუშაობა.
- დასრულდა ვებ-მუზეუმის საიტის სტრუქტურაზე მუშაობა.
- საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურსთან დაკავშირებით



განახლდა საიტი junior.eurovision-georgia.ge; განთავსდა კონკურსთან დაკავშირებული ინფორმაციები, შიდაშესარჩევ კონკურსში გამარჯვებულთა ფოტოები, ბიოგრაფიები, სიმღერები.

- ყოველდღიურად მიმდინარეობს facebook-ზე პირველი არხის გვერდის ადმინისტრირება.
- ჩვეულ რეჟიმში ხდება ყველა არსებული საიტის ადმინისტრირება.
- www.gpb.ge-ზე ხდება მაუწყებლის ახალი განცხადებების განთავსება.
- www.1tv.ge ყოველდღიურად იცვლება ანონსები, მომხმარებელს საშუალება აქვს მოისმინოს ყველა გასული გადაცემა, ასევე ისარგებლოს LIVE-ით.
- კვლავ ყოველდღიურად განახლებადია «მომხმარებლის» გვერდი. ყველა ახალ ამბავს ახლავს რამდენიმე ფოტოკადრი. ამავე გვერდზე ხდება ვიდეოფაილების ატვირთვა.
- ყოველკვირეულად იცვლება ტელეპროგრამის სრული და მსუბუქი ვერსია. იცვლება თითოეული პროგრამის მოკლე აღწერილობა.
- საიტზე www.2tv.ge მიმდინარეობს გადაცემების ვიდეოვერსიების განთავსება.
- საიტზე 1tv.ge ამ პერიოდის განმავლობაში სულ დაფიქსირდა: 1,500,000 ვიზიტორი
- საშუალოდ დღეში: 4,000 ვიზიტი. ყველაზე მეტი: 18 აგვისტოს 57,000 ვიზიტი

მარკეტინგის სასახური



- განისაზღვრა მარკეტინგული კომუნიკაციების პრომოსტრატეგია, მომზადდა პრეზენტაცია. მიმდინარეობს სამოქმედო გეგმაზე მუშაობა – არასტანდარტული გარე-სარეკლამო აქტივობებისთვის ლოკალური ადგილების შერჩევა
 - პროდიუსერებისთვის მომზადდა გადაცემების აღწერისთვის სპეციალური ფორმა, სადაც უნდა მოხდეს გადაცემაზე დახარჯული ადამიანური და ტექნიკური რესურსების დაფიქსირება, გადაცემის მიზნობრივი აუდიტორიის განსაზღვრა და ანალიზი. აღნიშნული ფორმა დაეგზავნათ პროდიუსერებს, მიმდინარეობს მონაცემების შეკრება
 - გაანალიზდა სატელევიზიო აუდიტორიის მიზნობრივი ჯგუფები და მიღებული მონაცემების საფუძველზე განისაზღვრა სატელევიზიო ბადის ზოლები.
 - პროდიუსინგის სამსახურთან ერთად მიმდინარეობს მიზნობრივ დროით ზონებში კონკრეტული პროექტების, გადაცემების განთავსების წინადადებების შემუშავება.
- მიმდინარეობს სამხატვრო საბჭოს გეგმიური შეხვედრებისთვის წინადადებების, მასალების მომზადება
- გადაცემების პროდიუსერებს თითოეული გადაცემის ეთერში გასვლის შემდეგ ეგზავნებათ სარეიტინგო მონაცემები, ცალკეული პროექტებისთვის მზადდება მიზნობრივი აუდიტორიის ანალიზი
- ყოველდღიურად მიმდინარეობს სატელევიზიო ბაზრის, საზოგადოებრივი მაუწყებლის და სხვა ტელეარხების გადაცემების მონიტორინგი და ანალიზი. მონიტორინგი ხორცილდება “people meters”-ების საშუალებით. მზადდება სარეიტინგო მასალა ტელეგადაცემების დინამიკის შესასწავლად. მიღებული მონაცემები ყოველდღიურად ეგზავნება არხის ხელმძღვანელობას.
- მიმდინარეობს ფეხბურთის ჩემპიონთა ლიგის სატელევიზიო ვიქტორინის ყოველდღიური მომსახურება: პირდაპირ ეთერში გამარჯვებულის გამოვლინება, საერთო მონაცემების დამუშავება. ვიქტორინის გამარჯვებულის გამოსავლენად სწორი პასუხების ბაზის შექმნა.
- ორგანიზება გაუკეთდა პირველი არხის ჟურნალისტების მონაწილეობას მედიის წარმომადგენელთა შეჯიბრებებში: ბოულინგი, მეკლდეურობა და სათხილამურო სპორტი
- გადაცემა "პილოტისთვის" სოც-ქსელებში დაიგეგმა სარეკლამო კამპანია

- შემუშავდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი სარეკლამო სტრატეგია. ამ სტრატეგიიდან გამომდინარე მომზადდა სასპონსორო პაკეტი, რომელიც გულისხმობს საზ. მაუწყებლის ყველა მედია-საშუალების (რადიო-ტელევიზია-ჟურნალი) გაერთიანებას.
- ჩატარდა რადიო-ტელევიზიური მედია კვლევა საქართველოს მასშტაბით: განისაზღვრა მეთოდი, დამუშავდა კითხვარი და განისაზღვრა დიზაინი, ჩატარდა კვლევა და მომზადდა ანალიზი.
- მომზადდა პრეზენტაცია რეკლამის განმთავსებლებისათვის, მოეწყო შეხვედრა მსხვილი კომპანიების მარკეტინგის და პიარის მენეჯერებთან. გავაცანით საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი სარეკლამო სტრატეგია და კონკრეტული სასპონსორო შეთავაზებები.
- პრეზენტაციის შედეგად რამდენიმე კომპანიამ გამოთქვა სურვილი სასპონსორო პაკეტის შესყიდვაზე. ამ კომპანიების წარმომადგენლებთან უკვე დავიწყეთ დამატებითი შეხვედრები პირობების დეტალური შეთანხმების მიზნით.
- რაგბის მსოფლიო და კალათბურთის ევროპის ჩემპიონატებთან დაკავშირებით შემუშავდა რამდენიმე ტალღიანი საინფორმაციო გზავნილი, რომელიც ეტაპობრივად ეგზავნებათ პოტენციურ რეკლამის განმთავსებლებს. ამ აქციის მიზანია რაგბის და კალათბურთის ჩემპიონატების პოპულარიზაცია და რეკლამის განმთავსებლების დაინტერესება საზოგადოებრივი მაუწყებლის ამ პროდუქტებით.
- რაგბის ჩემპიონატის პრომოუშენისთვის დაიგეგმა გარე-სარეკლამო აქტივობები. სპორტული ღონისძიებების რეკლამირების მიზნით შევარჩიეთ მედია-საშუალებები მიზნობრივი სეგმენტების გათვალისწინებით.
- მარკეტინგის და ანონსების სამსახურებმა სპორტულ გადაცემათა რედაქციასთან ერთად მოიწვიეს სპორტსმენები. მოეწყო ფოტო სესია, ვიდეოგადაღება და დამზადდა სპორტის მიმართულების პრომო რგოლი.
- 23 მაისს, სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასში მოეწყო ჟურნალ „მაუწყებლის“ პრეზენტაცია-სადამო, სადაც მოწვეული იყო 150 სტუმარი. პრეზენტაციას უძღვებოდა ბ-ნი დავით პაიჭაძე. სიტყვით გამოვიდნენ ბ-ნები გია ჭანტურია, ლევან გახელაძე და ირაკლი ტაბლიაშვილი.
- გადაცემა „პილოტის“ მონაწილეებისათვის მომზადდა პრეზენტაცია. გადაცემაში მონაწილე შემოქმედებით ჯგუფებს განემარტათ ფაქტორები, რომლებიც საჭიროა ტელეაუდიტორიის მოსაზიდად. პრეზენტაციაში განხილული იყო კონკრეტული მითითებები რაც დაეხმარებოდათ მათ სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებაში. გამომდინარე იქიდან, რომ მონაწილეებს არ აქვთ მარკეტინგული ცოდნა, ჩვენ შევეცადეთ ინფორმაცია რაც შეიძლება გასაგებად გადაგვეცა.
- სოციალურ ქსელში (Facebook) ჩატარდა გადაცემა „პილოტის“ კონკურსი, რომელშიც გამარჯვებული Like-ების მიხედვით გამოვლინდა, გაიმარჯვა გუნდმა „რეისი N 2235“. მათ საჩუქრად გადაეცათ 5 ლეპტოპი. ამ კონკურსმა პირველი არხის Facebook-ის გვერდზე გაზარდა ინტერაქტიულობა (13 000 - ზე მეტი მომხმარებელი). გვაქვს კონტაქტი მომხმარებელთან და ვიღებთ ინფორმაციას მათ შესახებ.
- ვმუშაობთ საერთო მარკეტინგულ სტრატეგიაზე. იგი მოიცავს ჩვენი მთავარი განმასხვავებელი ნიშნის პოზიციონირებას, დახვეწასა და შემდგომ აქტივობებში გამოყენებას. ანალიზს ვუკეთებთ ჩვენს ძლიერ და სუსტ მხარეებს, მიმდინარეობს კონკრეტული ამოცანების გაანალიზება. გეგმის ერთერთი უმთავრესი ნაწილია საზოგადოებრივი მაუწყებლის პოზიციონირება როგორც კრეატიული, ორიგინალური, სანდო და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ორგანიზაცია.
- მოვიძიეთ პრიზი გადაცემა სპიკერისათვის რომელიც დააწესა კომპანია LEAF - მა, გამარჯვებული გაემგზავრება ევროპის საზაფხულო სკოლაში.



- დამუშავდა საბავშვო ევროვიზიის სასპონსორო შეთავაზება, შეიქმნა დამატებითი პროდუქტი, რომელიც სპონსორის მოძიებას შეუწყობს ხელს. დაიგეგმა სხვადასხვა გარე და შიდა აქტივობა მისი პოპულარიზაციისათვის.
- მიმდინარეობს მუშაობა გადაცემა „ეკონომ მენიუზე“ : გადაცემის დაგეგმვა, სპონსორის მოძიება, BBC-ს კონსულტანტებთან ურთიერთობა, წამყვანების მოძიება და ა.შ.
- გაანალიზდა გასული სეზონის ბადე, მაყურებლის ქცევა და დაიგეგმა სატელევიზიო ბადე ახალი სეზონისათვის.
- EBU-ს კონსულტანტისათვის მოვამზადეთ რაპორტები და მასთან ერთად ვიმუშავეთ საზოგადოებრივი მაუწყებლის საერთო სტრატეგიაზე.
- განახლდა ორგანიზაციების საინფორმაციო ბაზა, რომლებთანაც ჩვენ გვაქვს მუდმივი კავშირი და მათ სისტემატურად ეგზავნებათ მათთვის საჭირო ინფორმაცია ახალ პროექტებსა და სარეკლამო აქტივობებთან დაკავშირებით. ამ ჯგუფებთან სისტემატური თანამშრომლობა გვიადვილებს მათთან მუშაობას სასპონსორო მიმართულებით. ეს პირდაპირ კავშირშია Fundraising-თან, რაც ამ ეტაპზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა.
- ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისთვის და ფეხბურთის ევროპის ჩემპიონატისათვის შემუშავდა რამდენიმე ტალღიანი საინფორმაციო გზავნილი, რომელიც ეტაპობრივად ეგზავნებათ პოტენციურ რეკლამის განმთავსებლებს. ამ აქციის მიზანია ოლიმპიადის და ფეხბურთის ჩემპიონატების პოპულარიზაცია და რეკლამის განმთავსებლების დაინტერესება საზოგადოებრივი მაუწყებლის ამ პროდუქტებით.
- შევარჩიეთ და განვთავსეთ ბილბორდები თბილისის ტერიტორიაზე დოკუმენტური ფილმების ციკლისთვის „ოკუპაცია“.
- საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურის და მარკეტინგის ორგანიზებით 8 ოქტომბერს, კახეთის რეგიონში, კერძოდ თელავში, საზოგადოებასთან შეხვედრა მოეწყო. თელავში შეკრებილმა მოქალაქეებმა თავისი ინიციატივები და მოსაზრებები საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურ დირექტორს გიორგი ჭანტურიას გაუზიარეს. თელავის დრამატულ თეატრში გადაცემა „სამოთხის ვაშლები“, დამსწრე საზოგადოების უშუალო თანამონაწილეობით ჩაიწერა. მაყურებლებს კითხვების დასმის და კომენტარების გაკეთების შესაძლებლობა მიეცათ.
- ამავე დღეს, თელავის რაიონულ გამგეობაში საზოგადოებრივი მაუწყებლის „საფოსტო ყუთი“ განთავსდა, სადაც მოსახლეობას საშუალება აქვს ნებისმიერი წერილი განათავსოს. დაგროვილი ინფორმაცია განიხილება და შესაბამისი რეაგირება მოჰყვება გაშუქების თვალსაზრისით. ამავე დღეს გავრცელდა საინფორმაციო ფლაერები, ჟურნალი „მაუწყებლის“- №1, №2 და №3 ნომრები და ჩატარდა ანკეტირება.
- 28 ოქტომბერს, საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურმა და მარკეტინგის სამსახურმა, კონსერვატორიის ფოიეში, პირველი არხის ახალ პროექტ „გააგრძელე საქართველოს ისტორიის“ პრეზენტაცია გამართა. პრეზენტაციის ფარგლებში მოეწყო ფილმების ჩვენება და თეატრალიზებული წარმოდგენა, რომელშიც ფილმების გმირები მაყურებლის წინაშე „გაცოცხლდნენ“. პრეზენტაციას საზოგადოების ბევრი ცნობილი წევრი ესწრებოდა. ჩვენებამ ემოციურად ჩაიარა, რის შემდეგაც სტუმრებმა თავიანთი შთაბეჭდილებების გაზიარება სამახსოვრო წიგნის მეშვეობით შეძლეს.
- 29 დეკემბერს კლუბ „Two Side“-ში ევროვიზიისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. საღამოს ესწრებოდნენ როგორც მოწვეული სტუმრები, ასევე ის ადამიანები, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით კონკურსზე საქართველოს წარმომადგენელი ჯგუფი „Candy“-ის მიერ წარმატების მოპოვებაში. ღონისძიებაზე გათამაშდა პრიზები და ჩატარდა სახალისო აუქციონი, შემოსული თანხა კი გადაერიცხა რუსთავის, მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლს.



- ახალი წლის მისალოცად, საზოგადოებრივი მაუწყებლის ადმინისტრაციამ, საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურმა და მარკეტინგის სამსახურმა, თანამშრომლებს საჩუქრად ტკბილეულით სავსე, ბრენდირებული ჭიქები დაურიგა.
- მარკეტინგის სამსახურისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით გაფორმდა ხელშეკრულება მაუწყებელსა და „ისარი ედვერთაისინგ“-ს შორის, რომელის თანახმად M group-ის რესტორანთა ქსელში (სულ 10 რესტორანი) მაუწყებლის საიმიჯო რგოლებია განთავსებული.
- ყველა საერთაშორისო პროექტზე აგრეთვე BBC-ს პროექტებზე სისტემატურად მზადდება რეპორტები და ეგზავნებათ საერთაშორისო ორგანიზაციებს.
- მიმდინარეობს მუშაობა ახალი სატელევიზიო ფორმატების მოსამიებლად საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი პრიორიტეტების შესაბამისად.
- შემუშავდა საანონსო სისტემა:
 - ✓ 1 კვირის მანძილზე მიმდინარეობდა არსებული საანონსო ბლოკების მონიტორინგი
 - ✓ გაანალიზდა ანონსების განთავსებისა და საანონსო ბლოკების სტრუქტურა
- ✓ შემუშავდა ახალი საანონსო სისტემა, რათა გაიზარდოს საანონსო ჭრებისა და ბლოკების ეფექტურობა:
 - ✓ დაიგეგმა გადაცემების ანონსები მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით
 - ✓ ანონსებს მიენიჭა პრიორიტეტები და დაიგეგმა საანონსო ჭრა
- ✓ შემუშავდა ვერტიკალური საანონსო სისტემა აუდიტორიის შენარჩუნების მიზნით
 - ✓ ჩატარებულ სამუშაოებზე მომზადდა პრეზენტაცია
 - ✓ მიმდინარეობს დილის გადაცემის მონიტორინგი.

ადინისტრაციული დეპარტამენტი

იურიდიული სამსახური



1. ხელშეკრულებების შესახებ

2011 წლის მე-4 კვარტალში იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა 817 ხელშეკრულება (მათ შორის, ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, საიჯარო, სარეკლამო და სხვ.).

2. სასამართლოში არსებული საქმეების შესახებ

2.1.

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ წინააღმდეგ საერთო სასამართლოებში არსებული საქმეების ნუსხა 2011 წლის განმავლობაში

№	მოსარჩელე	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
1	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	სასესხო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ძირითადი თანხის და დარიცხული საურავების გადახდა.	<ul style="list-style-type: none"> _ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში _ ამ ეტაპზე ჩვენთვის უცნობია სასამართლო სხდომის დანიშვნის თარიღის შესახებ
2	ნატალია სისვაძე	გადაცემა “პილოტზე“ საავტორო უფლებების აღიარება და 260 000 ლარის ანაზღაურება საავტორო უფლებების ხელყოფისათვის	<ul style="list-style-type: none"> _თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. _თბილისის სააპელაციო სასამართლოს

			სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ ნ. სისვამის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. _ამ ეტაპზე ჩვენთვის უცნობია გასაჩივრდა თუ არა ნ. სისვამის მიერ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით.
3	სს “ინფოჯორჯია 21“	დავალიანების ანაზღაურება 13 507 ლარის ოდენობით	_თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელს“ დაეკისრა 3 940,3 ლარის და სახ. ბაყის სახით 118 ლარის გადახდა. _თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვებული
4	გიორგი იასაშვილი	უკანონო ხელყოფის აღკვეთა	_საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა _სააპელაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი _ ამ ეტაპზე საქმის წარმოება დასრულებულია
5.	შპს “სიგმა +“	1. სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობა; 2. ხელახალი ტენდერის გამოცხადება; 3. სატენდერო ხარჯების ანაზღაურება.	1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, მალაში დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, ბათილად იქნა ცნობილი სატენდერო კომისიის 2008წ. 27 ოქტომბრის №9 საოქმო გადაწყვეტილება №15 ლოტთან დაკავშირებით და საზოგადოებრივ მაუწყებელს დაევალა საქმის გარემოებების შესწავლის შემდეგ, ემსჯელა ხელახალი ტენდერის გამოცხადების შესახებ ამ ლოტზე. 2. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა აღასრულა უზენაესი სასამართლოს განჩინება და მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ არ გამოცხადდეს ხელახალი ტენდერი მე-15 ლოტზე. _ ამ ეტაპზე საქმის წარმოება დასრულებულია
6.	უმანგი დონჯაშვილი	მორალური ზიანის ანაზღაურება 5 000 ლარის ოდენობით	_თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, _ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი , რაც უმანგი დონჯაშვილის მიერ კერძო საჩივრით გასაჩივრებული იქნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. _ ამ ეტაპზე საქმის წარმოება დასრულებულია

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ საერთო სასამართლოებში აღძრულ სარჩელებთან დაკავშირებით არსებული საქმეების ნუსხა 2011 წლის განმავლობაში

№	მოპასუხე	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
1.	შპს “სქაი ჯორჯია“	<p>1. გახსნილია გადახდისუნარობის საქმის წარმოება და სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებელმა“ წარადგინა თავისი მოთხოვნები</p> <p>2. სასამართლოს მიერ აღიარებული იქნა მოთხოვნა მხოლოდ 1 403,23 ლარის ოდენობით;</p> <p>3. რაც შეეხება დავალიანებას 14 318,01 ლარის ოდენობით, რომელიც მოპასუხეს წარმოეშვა სარეკლამო მომსახურების საფუძველზე, სასამართლოს მიერ აღიარებული არ იქნა, რის გამოც, წარდგენილია სარჩელი აღნიშნული თანხის დაკისრების შესახებ.</p>	<p>1. 1 403,23 ლარის ამოღებასთან დაკავშირებით “გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქმეს განიხილავს სასამართლო აღნიშნული კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით.</p> <p>2. რაც შეეხება სასარჩელო წარმოებას სარეკლამო მომსახურების საფუძველზე არსებული დავალიანების, კერძოდ, 14 318,01 ლარის შპს “სქაი ჯორჯიასთვის“ დაკისრების შესახებ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად.</p>
2.	შპს “ეი-სი ჯგუფი“	135429,05 აშშ დოლარის ექვივალენტი თანხის და შესაბამისი პირგასამტეხლოს დაკისრება	<p>– საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა.</p> <p>– სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული</p>
3.	შპს “რაქი“	თანხის დაკისრება 5.954,77 ლარის ოდენობით	<p>1. საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, შპს “რაქს“ მაუწყებლის სასარგებლოდ დაეკისრა 5 954,77 ლარის და სახ. ბაჟის სახით 179 ლარის გადახდა.</p> <p>2. აღნიშნული გადაწყვეტილება დღეის მდგომარეობით კანონიერ ძალაშია შესული და დაწყებულია სააღსრულებო წარმოება.</p>
4.	შპს “ფენიქსი“	სახელშეკრულებო თანხის, ძირითადი დავალიანების და საურავების დაკისრება	საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა. დაწყებულია სააღსრულებო წარმოება.

3. საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ

2011 წლის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელში” შემოვიდა 26 განცხადება, საიდანაც სრულად დაკმაყოფილდა 15 განცხადება, 4 განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ხოლო, დანარჩენ 7 განცხადებას უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე.

4. სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელში” წარმოდგენილი საჩივრების შესახებ**ა) ადმინისტრაციული საჩივრების შესახებ**

2011 წლის განმავლობაში სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელში” ადმინისტრაციული საჩივარი არ შემოსულა.

ბ) თვითრეგულირების ორგანოში/კომისიაში წარმოდგენილი საჩივრების შესახებ

“მაუწყებელთა ქცევის კოდექსის” საფუძველზე სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელში” შექმნილია თვითრეგულირების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების განხილვას.

2011 წლის განმავლობაში სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” თვითრეგულირების ორგანოში/კომისიაში წარმოდგენილი იქნა შემდეგი საჩივრები:

1.

2011 წლის 16 მაისს სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელში” შემოვიდა კახეთის საინფორმაციო ცენტრის საჩივარი 2011 წლის 20 აპრილს 16:00 და 20:00 საათზე საინფორმაციო პროგრამაში “მოამბე” ფიროსმანის მიერ მოხატული კარის შესახებ გასულ სიუჟეტებთან დაკავშირებით.

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” თვითრეგულირების ორგანოს/კომისიის მიერ აღნიშნულ საჩივარზე დადგინდა ხარვეზი, რაც კახეთის საინფორმაციო ცენტრის მიერ დადგენილ ვადაში არ გამოსწორებულა. შესაბამისად, საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული.

3. 2011 წლის 18 მაისს საჩივარი წარმოადგინა ააიპ “სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტმა”, რომლითაც მოითხოვა სკოლა “ჯი-ვი-ენ”ში დირექტორის შვილის მიერ თავისი თანატოლის ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრის შესახებ ინფორმაციის გაშუქებისას სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” თვითრეგულირების ფარგლებში მოქმედ კომისიას დაედასტურებინა მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 35-ე მუხლის 25-ე და 26-ე პუნქტების, 44-ე და 48-ე მუხლებით დადგენილი წესების დარღვევის ფაქტი.

საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

4. 2011 წლის 15 ივნისს სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელს” პრეტენზიით მიმართეს მოქალაქეებმა ნინო, ზურაბ, ნესტან და მეგი წიკლაურებმა 2011 წლის 30 აპრილს გასული გადაცემის “ვახო სანაიას რეპორტაჟი” გამო.

აღნიშნული საჩივარი/პრეტენზია არ დაკმაყოფილდა.

5. 2011 წლის 30 ივნისს სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” თვითრეგულირების ორგანოს/კომისიას განცხადებით მიმართა მედიის განვითარების ფონდმა 2011 წლის 28 ივნისს 20:00 საათიან საინფორმაციო გამოშვებაში “მოამბე” შესაბამისი ინფორმაციის გაშუქებისას მედია-სტანდარტების დარღვევის ფაქტზე.

აღნიშნული განცხადება/საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული.

6. 2011 წლის 1 ივლისს სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” თვითრეგულირების ორგანოს/კომისიას საჩივრით მიმართა ააიპ “სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტმა”, რომლითაც მოითხოვა საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ 2011 წლის 11 ივნისს 20:00 საათიან საინფორმაციო გამოშვებაში “მოამბე” წნორში მომხდარი ინციდენტის (არასრულწლოვანის მიერ სხვა არასრულწლოვანის დაჭრის) შესახებ ინფორმაციის

გადაცემისას ტელევიზიის მხრიდან მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 35-ე მუხლის 25-ე და 26-ე პუნქტების, 44-ე და 48-ე მუხლებით დადგენილი წესების დარღვევის ფაქტის დადასტურება.

საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

7. 2011 წლის 1 ივლისს სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ თვითრეგულირების ორგანოს/კომისიას საჩივრით მიმართა ააიპ “სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტმა“.

საჩივარში აღნიშნული იყო, რომ 2011 წლის 28 ივნისის 20:00 საათიან საინფორმაციო გამოშვებაში “მომბე“ გადაიკა ინფორმაცია 13 წლის გოგონას გაუპატიურების შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით, საჩივრის ავტორი მიიჩნევდა, რომ სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მხრიდან დარღვეულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ დამტკიცებული “მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ 35-ე მუხლის 25-ე პუნქტით და 44-ე მუხლით დადგენილი წესები. შესაბამისად, მოითხოვა აღნიშნული დარღვევების დადასტურება და ამ დარღვევებზე სათანადო რეაგირება.

საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

8. 2011 წლის 29 სექტემბერს სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ თვითრეგულირების ორგანოს/კომისიას საჩივრით მიმართა ააიპ “სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტმა“, რომლითაც მოითხოვა სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ თვითრეგულირების ფარგლებში მოქმედ კომისიამ დაედასტურებინა “მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ 35-ე მუხლის 25-ე და 26-ე პუნქტების და 44-ე მუხლის მესამე პუნქტით დადგენილი წესების დარღვევის ფაქტი სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ 29.08.2011წ. 20:00 საათიან საინფორმაციო გამოშვებაში “მომბე“ სოფელ ტირმნისში მომხდარ ფაქტთან (არასრულწლოვანის მიერ სხვა არასრულწლოვანის დაჭრა) დაკავშირებით ინფორმაციის გაშუქებისას.

აღნიშნული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

ჟურნალი „მაუწყებელი“


2011 წლის გაზაფხულზე გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით დაარსდა საზოგადოებრივი მაუწყებლის პერიოდული გამოცემა ჟურნალი „მაუწყებელი“. ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ და ვრცელდება საცალო რეალიზაციის ქსელში, აგრეთვე, რიგდება უფასოდ პარტნორ და საერთაშორისო ორგანიზაციებში.

ჟურნალი მიმოიხილავს საზოგადოებრივ მაუწყებელში მიმდინარე პროცესებს, სიახლეებს, რომლებიც ინერგება მაუწყებელში.

მნიშვნელოვანია, რომ ჟურნალის გვერდები დათმობილი აქვს მედია კრიტიკას, პროზას, სპორტს... იმ აქტუალურ საკითხებს, რომელთა მიმართაც საზოგადოება ინტერესს ავლენს. ჟურნალის რედაქტორი – ირაკლი ტაბლიაშვილი; თანარედაქტორები – ბიძინა მაყაშვილი, თამარ კაციტაძე, ირმა ხითარიშვილი. პასუხისმგებელი მდივანი – დავით ნინიკაშვილი.

2011 წელს სულ გამოვიდა ჟურნალ „მაუწყებლის“ 6 ნომერი.


ჟურნალ „მაუწყებლის“ და დოკუმენტური ფილმების პოპულარიზაციის მიზნით, საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურმა, ჟურნალ „მაუწყებელში“ განათავსა 3 000 DVD დისკი ჩანაწერით: „პარალელური სამყაროები“, „ხევსურთა საქმე“. ჟურნალის აღნიშნული ნომერი სექტემბრის თვეში გამოვიდა.



• გლობალთა კონკურსი

საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურის ინიციატივით, ჟურნალმა “მაუწყებელმა” ბლოგერთა კონკურსი განახორციელა. კონკურსი ერთი თვის განმავლობაში გრძელდებოდა და მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ ნაშრომები როგორც Facebook-ზე, ასევე, საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებ-გვერდზე აეტვირთათ.

10 სექტემბერს, ბლოგერთა კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტებს საჩუქრები და ფულადი ჯილდო საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურმა დირექტორმა გიორგი ჭანტურიამ გადასცა. ჟურნალ „მაუწყებლის“ მეოთხე ნომერში კი გამარჯვებული კონკურსანტების ჩანაწერები დაიბეჭდა.



აუზანი

დაწყებულია ტელევიზიის ვებ-მუზეუმის შექმნა. უკვე მომზადდა ტელევიზიის ისტორიის პირველი ოცწლეულის ტექსტუალური და მისი შესაბამისი ფოტო-ვიდეო-აუდიო მასალა. ჩაიწერა 15 ინტერვიუ ტელევიზიის ღვაწლმოსილ თანამშრომლებთან. ასევე მზადაა რადიოს ისტორიის პირველი ოცწლეულის ტექსტუალური და მისი შესაბამისი აუდიო მასალა.



მედიაპარტნიორობა:

- **წითელი ჯვრის დღეები** 9-11 აგვისტოს, საზოგადოებრივი მაუწყებლის მხარდაჭერით, აჭარაში „წითელი ჯვრის დღეები“ ჩატარდა. ლოზუნგით „აღმოაჩინე მოხალისე შენში“ არაერთი საქველმოქმედო აქცია მოეწყო. საზოგადოებრივი მაუწყებლი, ამ ღონისძიების შესახებ დოკუმენტურ ფილმს ამზადებს.
- **ბათუმის საავტორო ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალი-BIAFF** საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ბათუმის საავტორო ფილმების მე-6 საერთაშორისო კინოფესტივალს, გენერალური მედიაპარტნიორობა გაუწია. BIAFF-ი წელს 17-24 სექტემბერს გაიმართა. კინოფესტივალის ორგანიზატორი იყო ბათუმის ხელოვანთა სახლი „არგანი“, ხოლო ოფიციალური პარტნიორი - ბათუმის მერია.
- **„სიმღერა სამეგრელოზე“** საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მედიაპარტნიორობა გაუწია საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალს „სიმღერა სამეგრელოზე“. აღნიშნული ფესტივალი 2003 წლიდან ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, საქველმოქმედო ფონდ „ხობის“ პატრონაჟით იმართება.
- **„შემოდგომის თბილისი“** საზოგადოებრივი მაუწყებლის მედიაპარტნიორობით მე-19 საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „შემოდგომის თბილისი“ ჩატარდა. ფესტივალი 20 სექტემბრიდან 13 ოქტომბრის ჩათვლით, ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში მიმდინარეობდა.

საიმიჯო რგოლში საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურისა და მარკეტინგის დეპარტამენტის ორგანიზებით გაფორმდა ხელშეკრულება მაუწყებელსა და „ისარი ედვერთაისინგ“-ს შორის, რომელიც მიზნად ისახავს Mgroup-ის რესტორანთა ქსელში მაუწყებლის საიმიჯო რგოლების განთავსებას.

მეგობრობის დღე მთავანდის პარკში საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა „მთაწმინდის პარკში“ მეგობრობის დღე აღნიშნა. ღონისძიებაზე შეკრებილმა ბავშვებმა საზოგადოებრივი მაუწყებლის ბრენდირებული ბუშტები საკუთარ სურვილებთან ერთად ჰაერში

გაუშვებს. მეზღაპრე პეპემ შვერებელ ბავშვებს მათთვის საყვარელი ზღაპრები უამბო. ბავშვებს ასევე საჩუქრად გადაეცათ დისკები ქართული ზღაპრების ჩანაწერებით.

„სპიკარი“ და „მღივირი“ საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურის მიერ განხორციელდა ახალი პროექტის - „სპიკერი“-ს PR აქციები. კერძოდ, დარიგდა პროექტის ფლაერები. ასევე ღონისძიებები განხორციელდა პროექტისთვის „ვინ არის ოლივერი“, კანდიდატების მოსაზიდად და პოპულარიზაციისთვის. კერძოდ, დარიგდა ფლაერები სკოლებში, უნივერსიტეტებში და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში.

კლასიკური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით, თელავში, ელისო ვირსალაძის ხელმძღვანელობით გამართულ, მუსიკის საერთაშორისო ფესტივალს, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გენერალური მედიაპარტნიორობა გაუწია.

„ფიესტა ჰაერნოსნობაში“ საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური მედიაპარტნიორობით საქართველოში ჰაერნოსნობის საერთაშორისო ფიესტა ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა, 28 ქვეყნის პილოტმა მიიღო. ფიესტას 1 ოქტომბრიდან - 4 ოქტომბრამდე სიღნაღი მასპინძლობდა.

„დოკოპოტივ-პროდაქციონი“

5 ნოემბერს თბილისში 70-იანი წლების ლეგენდარული როკ-ჯგუფის Uriah Heep-ის შემსრულებელი კენ ჰენსლი ჩამოვიდა. მან ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში გამართა კონცერტი. კენ ჰენსლისთან ერთად ქართველმა შემსრულებლებმაც („მძიმე ჯვარი“ და „ქომიქ ქონდიშენი“) იმღერეს. მედიამხარდამჭერი - საზოგადოებრივი მაუწყებელი.



„საჭმისთან ფხიზლად“

21 ნოემბერს, ავტოსაგზაო შემთხვევებში დაზარალებულთა და დაღუპულთა ხსოვნის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. აღნიშნული კამპანიის მედიამხარდამჭერი საზოგადოებრივი მაუწყებელი იყო. პროექტი განხორციელდა ორგანიზაციამ "საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის".

“Invest in Georgia”

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მედიამხარდამჭერი გაუწია ქართული ალკოჰოლური და არალკოჰოლური სასმელების გამოფენა - ფორუმს Trade With Georgia 2011 – Tradeshow and B2B Forum (TWG 2011). ღონისძიება საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს ექსპორტის ხელშეწყობის სამსახურის ორგანიზებით და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პატრონაჟით ჩატარდა.

თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი

საზოგადოებრივი მაუწყებელი მედიამხარდამჭერი უწევდა თბილისის მე-12 საერთაშორისო კინოფესტივალს, რომელმაც ტრადიციულად მრავალ სტუმარს უმასპინძლა ესტონეთიდან, რუსეთიდან, იტალიიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, შვედეთიდან, შტატებიდან, ჩეხეთიდან, ისრაელიდან და ა.შ. ფესტივალი 2000 წელს კინოხელოვნების ცენტრმა "პრომეთემ" დააარსა.

კონსერვატორია

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია დეკემბრის თვეში ყოველწლიურად ატარებს ფესტივალს „საახალწლო მუსიკალური შეხვედრები“. წლებანდელი მე -14 ფესტივალი, საზოგადოებრივი მაუწყებლის, გენერალური

მედიაპარტნიორობით ჩატარდა, სადაც მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოში აღიარებულმა სხვადასხვა ჟანრის მუსიკოსებმა: ბორის ბერეხოვსკიმ, ალბერტო ნოზემ, ბრედ მელდაუმ, ლიანა ისაკაძემ და ა.შ.

საკატორიკო

25 დეკემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორეს აყსაყდრებიდან 34 წელი შეუსრულდა. საზოგადოებრივი მაუწყებლის მხარდაჭერით, დიდ საკონცერტო დარბაზში გალა-კონცერტი გაიმართა, სადაც შესრულდა უწმინდესის და უნეტარესის მუსიკალური ნაწარმოებები - "Kyrie Eleison", "Ave Maria", "Sanctus", ხოლო დასასრულს შედგა მისი ახალი ქმნილების "Agnus Dei" პრემიერა.

სპორტული ფესტივალი

საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით 1-16 ოქტომბერს საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. თბილისის მასობრივი სპორტის ფედერაციის ინიციატივით დაგეგმილ, ორგანიზაციების თანამშრომელთა სპორტულ ფესტივალში.

ზაზა დარასელის პედაგოგიური ტურნირი

საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურის მიერ განხორციელდა ზაზა დარასელის მემორიალური ტურნირის მხარდაჭერა. კერძოდ, ტურნირის მთავარი თასი და ნომინანტებისთვის განკუთვნილი მცირე თასი, გამარჯვებულებს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გადასცა. ტურნირი ნოემბერში გაიმართა და ის საქართველოს ტელევიზიის 55 წლისთავს მიემდგვნა.

შეხვედრა საზოგადოებასთან (რეგიონები)

საქართველოს მაუწყებლობის შესახებ კანონის 21-ე მუხლის თანახმად, *(საზოგადოებრივი მაუწყებელი აწეობს რეგულარულ შეხვედრებს საზოგადოებასთან და ითვალისწინებს მოქალაქეთა წინადადებებს საზოგადოებრივი ინტერესების უკეთ გამოხატვის მიზნით).*

საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურის და მარკეტინგის ორგანიზებით 8 ოქტომბერს, კახეთის რეგიონში, კერძოდ თელავში, საზოგადოებასთან შეხვედრა მოეწყო. თელავში შეკრებილმა მოქალაქეებმა თავისი ინიციატივები და მოსაზრებები საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურ დირექტორს გიორგი ჭანტურიას გაუზიარეს. თელავის დრამატულ თეატრში გადაცემა „სამოთხის ვაშლები“, დამსწრე საზოგადოების უშუალო თანამონაწილეობით ჩაიწერა. მაყურებლებს კითხვების დასმის და კომენტარების გაკეთების შესაძლებლობა მიეცათ.

ამავე დღეს, თელავის რაიონულ გამგეობაში საზოგადოებრივი მაუწყებლის „საფოსტო ყუთი“ განთავსდა, სადაც მოსახლეობას საშუალება აქვს ნებისმიერი წერილი განათავსოს. დაგროვილი ინფორმაცია განიხილება და შესაბამისი რეაგირება მოჰყვება გაშუქების თვალსაზრისით. ამავე დღეს გავრცელდა საინფორმაციო ფლაერები, ჟურნალი „მაუწყებლის“- №1, №2 და №3 ნომრები და ჩატარდა ანკეტირება.

შეხვედრა საზოგადოებასთან

(თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

- საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურის ინიციატივით, 11 ნოემბერს, ვახო სანაია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებს შეხვდა. ის ახალგაზრდებს გადაცემის მომზადების შესახებ ესაუბრა და პროფესიული რჩევები მისცა. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა.

- 23 დეკემბერს დავით პაიჭაძის შეხვედრა გაიმართა ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებთან, სადაც მნიშვნელოვანი და აქტუალური კითხვები დაისვა. წამყვანსა და მომავალ ჟურნალისტებს შორის „ნამდვილი დიალოგი“

ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებმა დავით პაიჭაძეს მადლობა გადაუხადეს საინტერესო საუბრისთვის.

ევროვიზია

5 დეკემბერს საბავშვო ევროვიზიის გამარჯვებული "Candy", ერევნიდან თბილისში დაბრუნდა. მათ რკინიგზის სადგურზე საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლები და მეგობრები დახვდნენ. საზოგადოებრივ საქმეთა

სამსახურის ორგანიზებით, პრაიმ-თაიმის პრეს-კლუბში პრესკონფერენცია გაიმართა, რის შემდეგაც მაუწყებლის გენერალურმა დირექტორმა გიორგი ჭანტურიამ გამარჯვებულებს საჩუქრად ლეპტოპები გადასცა.



გაგზავნი საქართველოს ისტორია

28 ოქტომბერს, საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურმა და მარკეტინგის სამსახურმა, კონსერვატორიის ფოიეში, პირველი არხის ახალი პროექტ „ისტორიის“ პრეზენტაცია გაიმართა. პრეზენტაციის ფარგლებში მოეწყო ფილმების ჩვენება და თეატრალიზებული წარმოდგენა, რომელშიც

ფილმების გმირები მაყურებლის წინაშე „გაცოცხლდნენ.“ პრეზენტაციას საზოგადოების ბევრი ცნობილი წევრი ესწრებოდა. ჩვენებამ ემოციურდ ჩაიარა, რის შემდეგაც სტუმრებმა თავიანთი შთაბეჭდილებების გაზიარება სამახსოვრო წიგნის მეშვეობით შეძლეს.



55 წლის იუბილე

17 დეკემბერს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა თავის ღვაწლმოსილ თანამშრომლებს ტელევიზიის 55 წლისთავი მიულოცა. ძველი თანამშრომლები გადაცემა „მაესტროს“ ჩაწერაზე მიიწვიეს ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკალურ ცენტრში. ყოფილი თანამშრომლებისთვის ფურშეტიც გაიმართა სადაც მათ სპეციალურად მომზადებული საჩუქრები გადაეცათ.

ივროვიზია, Cocktail Party

29 დეკემბერს კლუბ „Two Side“-ში ევროვიზიისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. საღამოს ესწრებოდნენ როგორც მოწვეული სტუმრები, ასევე ის ადამიანები, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით კონკურსზე საქართველოს წარმომადგენელი ჯგუფი „Candy“-ის მიერ წარმატების მოპოვებაში. ღონისძიებაზე გათამაშდა პრიზები და ჩატარდა სახალისო აუქციონი, შემოსული თანხა კი გადაერიცხა რუსთავის, მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლს.

სახანაფრო სარეკლამო

ახალი წლის მისალოცად, საზოგადოებრივი მაუწყებლის ადმინისტრაციამ, საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურმა და მარკეტინგის სამსახურმა, თანამშრომლებს საჩუქრად ტკბილეულით სავსე, ბრენდირებული ჭიქები დაურიგა.

სტენდი

საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურის ინიციატივით დამზადდა მაუწყებლის სტენდი. სადაც განთავსებული იქნება ყველა განცხადება, ბუკლეტი, ფლაერი, თუ სხვა საინფორმაციო ხასიათის ატრიბუტიკა. სტენდი არჭურვილია ე.წ. ჯიბეებით, სადაც განთავსდება ჟურნალ „მაუწყებლის“ ყველა გამოცემა.

საიმიჯო რგოლები

საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურისა და მარკეტინგის სამსახურის ორგანიზებით გაფორმდა ხელშეკრულება მაუწყებელსა და „ისარი ედვერთაისინგ“-ს შორის, რომლის თანახმად M group-ის რესტორანთა ქსელში (სულ 10 რესტორანი) მაუწყებლის საიმიჯო რგოლებია განთავსებული.

INFO LETTERS

საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურის ინიციატივით, ვებ გვერდზე შექმნა შიდა საინფორმაციო პორტალი. საიტის შინაარსი აბსოლუტურად მორგებულია საზოგადოებრივი მაუწყებლის სპეციფიკას და ორგანიზაციული კულტურის ამაღლებას უწყობს ხელს. ყველა სიახლე, რომლის ცოდნაც აუცილებელია, მომხმარებლებს Outlook-ის საშუალებით ეგზავნებათ. ე.წ. info-letter -ების სახით.



შედეგები და დასკვნები

საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურში (ივლისი, აგვისტო, სექტემბერი) სულ შემოვიდა 200 წერილი. ამ წერილებში განხილული საკითხების უმრავლესობა გაშუქდა სატელევიზიო და რადიო ეთერის საშუალებით. შემოსული წერილებიდან და ზარებიდან გამომდინარე, საზოგადოების წევრთა პრობლემები უმეტეს წილად შემდეგ პრობლემებს ეხება:

1. ყველზე მეტი ზარი შემოვიდა ბავშვთა უფლებების დარღვევის თაობაზე, შესაბამისად მომზადდა და გადაიკა სიუჟეტი „მოამბის“ საშუალებით.
2. ასევე ბევრი ზარი შემოვიდა სოციალური მომსახურების სისტემის განუვითარებლობის და კვალიფიციური სოციალური მუშაკების არარსებობის თაობაზე, ამ თემაზეც მომზადდა და გადაიკა სიუჟეტი „მოამბის“ და რადიოს ეთერით.

საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურის თანამშრომლები ყოველდღიურად ხვდებიან საზოგადოების წარმომადგენლებს და უზრუნველყოფენ მათი წინადადებების და საჩივრების მიწოდებას შესაბამისი სამსახურებისთვის და მათ შემდგომ კოორდინაციას.

პრესა, წერილები, სატელეფონო ზარები და მოქალაქეებთან შეხვედრა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის პრესის არქივს დაემატა 2011 წლის ქართულ მედიაში განვითარებული მნიშვნელოვანი მოვლენებით სავსე პრესის პაკეტი.

1. დამუშავდა, კოორდინაცია გაეწია და დაარქივდა ყოველდღიური ჟურნალ-გაზეთები (ტაბულა, ლიბერალი, ცხელი შოკოლადი, 24 საათი, PrimeTime-ი, რეზონანსი, ახალი თაობა, კვირის პალიტრა, ქრონიკა, ალია და ა.შ.)
2. ოქტომბერ, ნოემბერ, დეკემბერში საგრძნობლად იკლო სატელეფონო ზარებმა და წერილებმა, სულ 65 წერილი მოგვწერეს. სამაგიეროდ ძალიან ბევრი მოქალაქე მოდიოდა და ითხოვდა შეხვედრას ჟურნალისტებთან და ხელმძღვანელობასთან.

ძირითადი პრობლემები:

- მაღალი ხარისხის სანდო ინფორმაციის დეფიციტი;
- ოჯახური ძალადობა;
- დაკარგული ადამიანები;
- არაკვალიფიციური მკურნალობა სამედიცინო დაწესებულებებში;
- დავა მეზობლებს შორის;
- სოციალური მუშაკების დაუდევრობის გამო დაზარალებული ადამიანები;

კანცელარია

2011 წელს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“-ს კანცელარიაში რეგისტრირებულია **4380** წერილი, მომზადდა **743** მივლინების და **362** საერთო ხასიათის ბრძანება, შეძენილია **213** ავიაბილეთი, დაიჯავშნა **314** სასტუმროს ნომერი, შეძენილია **4** მატარებლის ბილეთი, გაიკა **1** პირადი საქმე ადამიანური რესურსების მართვის სამსახურისთვის, **20** შრომის წიგნაკი, **14** საარქივო და **2** სახელფასო ცნობა ყოფილ თანამშრომლებზე, მაუწყებლის შენობაში დაშვებულია **10955** სტუმარი.

არქივის სასახური

- ვიდეოფონდის - მონაცემთა ერთიან ბაზაში აღრიცხული და სისტემატიზირებულია (გამიფრული, შინაარსობრივად დამუშავებული, კინო და ძველი ვიდეომატარებლებიდან ციფრულ (DVCAM-DVD)

მატარებლებზე გადატანილი, ძველი და მიმდინარე (ახალი), სატელევიზიო პროგრამები და ფილმები), **4234 ჩანაწერი - 2584 საათი.**

- “**დიდი ვიდეოფირებიდან**” (55 მმ.) ციფრულ (DVCAM) მატარებელზე გადატანილია **22** ერთეული აუდიოვიზუალური მასალა დაახლოებით **14** სთ.
- “**პატარა ვიდეოფირებიდან**” (KA,DP-103) ციფრულ (DVCAM) მატარებელზე გადატანილია **31** ერთეული აუდიოვიზუალური მასალა დაახლოებით **27** სთ.
- **კინო-ფოტო ფონდი**- კინოფირებიდან ციფრულ (DVCAM) მატარებელზე გადატანილია **69** სთ. -დახარისხებული და გაწმენდილია(ყოფ. ტელეფილმების შენობაში ნაპოვნი) **80-იანი წლების საქართველოს ტელევიზიის ცხოვრების ამსახველი ფოტომასალა-1100 ფოტო.(სხვა და სხვა ზომის) ფოტოარქივიდან გამოყენებულია (გატანილი და დაბრუნებული) 475 ერთ.ფოტომასალა.**

-ტელეფილმების სტუდიის ყოფილი შენობიდან კინოსაცავში გადატანილი

და დამუშავების სტადიაშია **2000- მდე კოლოფი(რგოლი) სხვა და სხვა ტიპის**

კინომასალა.

- დაარქივდა (DVD, DVCAM მატარებლებზე) ძველი და მიმდინარე გადაცემები და სხვადასხვა ვიდეო მასალები; ვიდეოფონდის სამონტაჟოებზე ჩაიწერა, – შიდა და გარე ორგანიზაციებისა, თუ მოქალაქეებისთვის, – **2789 სთ**-ზე მეტი(მ.შ. “პიკ”-ს **45** სთ) ქრონომეტრაჟის აუდიო-ვიდეო მასალები.
- კერძო პირებისა და ყოფილი თანამშრომლებისაგან არქივში მოზიდულია დაახლოებით **155** სთ-ის აუდიო, ვიდეო, მასალები.



ადამიანური რესურსების პართის სასახური

საკადრო პოლიტიკის არსი მდგომარეობს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოზიდვასა, მოტივაციასა და მათ ადეკვატურ გამოყენებაში, მათი პროფესიული პოტენციალის რეალიზაციისათვის შესაბამისი პირობების შექმნაში, რაც უზრუნველყოფს დაწესებულების ეფექტიან ფუნქციონირებას.

ამ მიზნის მისაღწევად აღნიშნული პერიოდის განმავლობაში „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ადამიანური რესურსების მართვის სამსახურმა განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებებისა რომლებმაც უნდა უზრუნველყონ შემდეგი ძირითადი ამოცანების გადაჭრა:

- თითოეული თანამდებობის (სამუშაოს) ანალიზი, რომელიც უზრუნველყოფს ამ თანამდებობის ფუნქციების, საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და შესრულებული სამუშაოს შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრას, შესაბამისი სამუშაოს აღწერის შედგენას;
- კადრებზე მოთხოვნილების დაგეგმვა და პროგნოზირება, მისი დაკმაყოფილების წყაროების განსაზღვრა, კვალიფიციური კადრების მოზიდვა;
- პერსონალის შერჩევა თანამედროვე მეთოდების გამოყენებით და მათი სამსახურში მიღება;
- თანამშრომელთა კარიერის დაგეგმვა და განვითარება;
- ცალკეული მუშაკისა და სტრუქტურული ქვედანაყოფის საქმიანობის შეფასების მექანიზმის შემუშავება;
- მოტივაციისა და წახალისების სისტემის ჩამოყალიბება;
- საორგანიზაციო კულტურის ჩამოყალიბება და მისი დანერგვა;
- ახლადმიღებულ თანამშრომელთა ადაპტაცია;
- ქცევის განმსაზღვრელი ფაქტორების ანალიზი, ქცევის კორექტირება, კონფლიქტების რეგულირება;
- სოციალური გარანტიების დაცვა;
- შრომითი ურთიერთობების განმსაზღვრელი დოკუმენტების შემუშავება და შედგენა;
- პერსონალის აღრიცხვა და ანგარიშგება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე საანგარიშო პერიოდში დაიწყო და ამჟამად შესრულების გარკვეულ სტადიაშია შემდეგი სამუშაოები:

- ✓ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ კონკრეტული პოზიციების სამუშაოს აღწერილობები;
- ✓ შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენა;
- ✓ შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;
- ✓ პერსონალის შერჩევის პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავება.
- ✓ შეფასების სისტემის, პროცედურებისა და ფორმების შემუშავება.

უნდა აღინიშნოს რომ ევროპის მაუწყებელთა კავშირის ექსპერტთა დახმარებით შეიქმნა „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ განვითარების სტრატეგიული გეგმა რომელიც გარდა სხვა სფეროებისა ითვალისწინებს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ფუნქციების გაფართოებას და გაზრდას რაც თავის მხრივ უფრო მეტ პასუხისმგებლობას ანიჭებს არსებულ სამსახურს და მის შემადგენლობას.

მთლიანად, სამსახური ასრულებს სტრატეგიით გათვალისწინებულ აქტივობებს დამტკიცებული დროის პერიოდის მიხედვით. საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მაუწყებლის კონკრეტული პოზიციების ანალიზი შესაბამისი დეპარტამენტების/სამსახურების მენეჯერებთან მჭიდრო თანამშრომლობით, რომელთაც უშუალოდ ექვემდებარებათ პოზიციები. შედეგად, მომზადდა მთელი რიგი პოზიციების სამუშაოს აღწერილობების ვარიანტები და ეს პროცესი დღესაც მიმდინარეობს.

ტექნიკური დანართები

1. დასრულდა მონტაჟი ახალ მოძრავ სატელევიზიო სადგურში. დამონტაჟდა ტენდერის შედეგად შეძენილი სატელევიზიო აპარატურა: კამერის არხები, აუდიო-ვიდეო მატრიცა 3დ/შდ შდვ 32ხ32-ზე, 6-არხიანი გამეორების სისტემა, გრაფიკული სადგური, ვიდეომაგნიტოფონები და ა.შ.
2. დემონტაჟი ჩატარდა მოძრავი სატელევიზიო სადგურის დამხმარე მანქანას. დამონტაჟდა სტელაჟები და თაროები სატელევიზიო აპარატურისა და კაბელების განსათავსებლად.
3. დამხმარე მანქანაში დამონტაჟდა 20 კვა-ანი უწყვეტი კვების წყარო ძმ-ში, დამონტაჟდა ელ-გაყვანილობა მოეწყო ელექტრო ფარი, დამონტაჟდა 220ვ ძაბვის 380ვ -ზე გადამყვანი 25კვტ-ანი ტრანსფორმატორი, დამონტაჟდა კასეტური ტიპის კონდენციონერი.
4. საზოგადოებრივი მაუწყებლის ცენტრალური სააპარატო ოპტიკური კაბელის მეშვეობით დაუკავშირდა ტელეკომპანია მზეს.
5. საზოგადოებრივი მაუწყებლის ცენტრალური სააპარატო ოპტიკური კაბელის მეშვეობით დაუკავშირდა ქალაქ ბათუმის სილქნეტის ოფისს.
6. დამონტაჟდა ელექტროკვების ახალი ფარები: მესამე კორპუსის პირველ და მეოთხე სართულებზე, ასევე შეიცვალა ელექტროკვების ფარი პირველი კორპუსის პირველ სართულზე (ატს-თან).
7. პროფილაქტიკური რემონტი ჩატარდა პირველი და მეორე სტუდიების გაცივების სისტემის სამაცივრო დანადგარს, შეიცვალა ზეთი და ამ აგრეგატში გამოყენებული მაცივარ აგენტი.
8. გარემონტდა პირველი სტუდიის სარეჟისორო სააპარატოს არხული ტიპის კონდენციონერი –შეიცვალა კომპრესორი.
9. პროფილაქტიკური რემონტი ჩატარდა და შეკეთდა მაუწყებლის შენობაში დამონტაჟებული ყველა კონდენციონერი, გაიწმინდა (გაირეცხა) გარე ბლოკები და კონდენციონერები შეივსო მაცივარაგენტით.
10. შეძენილ იქნა და დამონტაჟდა სხვადასხვა სიმძლავრის 7 ცალი ახალი კონდენციონერი.
11. გაზრდილი ელექტრო დატვირთვის გამო შენობის მარჯვენა ფლიგელში ძველი ელექტრო სადენი შეიცვალა მძლავრი სადენით.

12. შეკეთდა საინფორმაციო პროგრამა მოამბის სტუდიის გადახურვა, მოწესრიგდა წყლის გამტარი სისტემა.
13. გარემოტდა მსს-ში დამონტაჟებული 20 კვა სიმძლავრის უწყვეტი კვების წყარო.
14. ჩატარებული ტენდერის შედეგად შევიძინეთ 11 ცალი სამონტაჟო კომპიუტერი.
15. ჩატარებული ტენდერის შედეგად მაუწყებლის საჭიროებისათვის შევიძინეთ ელექტრო მასალები.
16. მოამბის სერვერრუმში საკუთარი ძალებით შეიცვალა ავჯდ-ის სერვერი დროებითი სერვერით, მოამბის სარეჟისოროში დამონტაჟდა ფაილების გამშვები კომპიუტერები დეკლინკ-აირბოხ-ის ბაზაზე.
17. პირველ სართულზე მოეწყო ახალი ოთახი ენერგეტიკის სამსახურისთვის, სადაც დამონტაჟდა ახალი 100 კვა-ანი უწყვეტი კვების წყარო მშმ-ი, რომელიც უზრუნველყოფს მოამბის სერვერის, სამონტაჟოების, სტუდიის და სააპარატოს უწყვეტ ელექტროკვებას.
18. ცენტრალურ სააპარატოში დამონტაჟდა ჰარრის-ის წარმოების ციფრული კონვენტორები და ახალი ციფრული ჰდ/შდ შდჯ აუდიო-ვიდეო მატრიცა 64b64-ზე, რომელიც დაუკავშირდა მოამბის სტუდიას, “სერვერსრუმს”, “ფაილ ინჯესტრუმს” და სამონტაჟოებს.
19. ცენტრალურ სააპარატოში დამონტაჟდა ჰარრის-ის წარმოების მულტისკრინი.
20. სატელიტურ სააპარატოში დამონტაჟდა ორი ახალი ჰდ მპეგ2/მპეგ4 რესივერი.
21. სატელიტურ სააპარატოში დამონტაჟდა აუდიო სიგნალების გამამრავლებელი ტრანსფორმატორები.
22. ცენტრალურ და სატელიტურ სააპარატოებს შორის ჩაიდო ოპტიკური კაბელი და დამონტაჟდა შესაბამისი მიმღებ-გადამცემი მოწყობილობები.
23. ცენტრალურ სააპარატოსა და “ფაილ ინჯესტრუმს” შორის ჩაიდო ოპტიკური კაბელი და დამონტაჟდა შესაბამისი მიმღებ-გადამცემი მოწყობილობები.
24. მოამბის “სერვერრუმში” და სააპარატოში დამონტაჟდა ახალი ჰარრის-ის წარმოების სერვერი, დამონტაჟდა 4-ოთხ არხიანი “ინჯესტრუმი” და ასევე 4-ოთხი “ფაილ-ინჯესტი”.
25. მოეწყო და გაეშვა 15 ახალი სამონტაჟო და ორი ხმის ჩამწერი სააპარატო.
26. მოძრავ სატელევიზიო სადგურში. დამონტაჟდა ორი ახალი ციფრული მონიტორი.
27. მოამბის სტუდიაში ჭანასონიც-ის 103 დიუმიან მონიტორზე დამონტაჟდა “თაჩსკრინი”.
28. მოამბის სააპარატოში დამონტაჟდა 16 სიგნალიანი “მირანდის” წარმოების მულტისკრინი.

ფინანსური დეპარტამენტი

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

“საზოგადოებრივი მაუწყებლის” მიერ 2011 წელს გაწეული ხარჯების შესახებ

შესავალი

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებელი” “საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად ფინანსირდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. 2011 წლის ხარჯებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ იქნა 46 500 ათასი ლარი. აღნიშნული სახსრების ხარჯვას მაუწყებელი ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიშიდან, “სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ” ინსტრუქციის შესაბამისად. ასევე, “საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ” და “საზოგადოებრივი მაუწყებლის” შესახებ საქართველოს კანონების საფუძველზე მაუწყებელს გახსნილი აქვს ანგარიში კომერციულ ბანკებში. (ს.ს. „კორ სტანდარტ ბანკი” და ს.ს. „საქართველოს ბანკი“), რომლებზეც ხორციელდება მაუწყებლის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების აკუმულირება და მისი ხარჯვა. ამასთან, საბიუჯეტო და ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული სახსრების ხარჯვას მაუწყებელი ახორციელებს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” მიერ 2011 წლის განმავლობაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურიდან გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 46 496.1 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან 6 899.4 ათასი ლარი. სულ 53 398.5 ათასი ლარი.

ხელფასები

2011 წელს შრომის ანაზღაურების მიზნით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა საბიუჯეტო სახსრებიდან 10 053.5 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან 3 223.5 ათასი ლარი. სულ 13 277.5 ათასი ლარი. რაც 2011 წელს გაწეული საერთო ხარჯის 24.87% შეადგენს.

მივლინებები

2011 წელს მივლინებების დასაფინანსებლად გაწეულმა საკასო ხარჯმა სულ შეადგინა 1 183.5 ათასი ლარი. რაც 2011 წელს გაწეული საერთო ხარჯის 2.22% შეადგენს

მათ შორის:

საბიუჯეტო სახსრებიდან 1 138.6 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან 44.9 ათასი ლარი.

სამეურვეო საბჭოს ხარჯები

2011 წელს სამეურვეო საბჭოს ხარჯების დასაფინანსებლად სულ დახარჯული იქნა 288.1 ათას ლარს. რაც 2011 წელს გაწეული საერთო ხარჯის 0.54% შეადგენს.

საბიუჯეტო სახსრებიდან დახარჯული იქნა – 269.9 ათასი ლარი ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან 18.2 ათასი ლარი.

მათ შორის:

- ჰონორარი – 247.5 ათასი ლარი;
- სამივლინებო ხარჯები – 27.9 ათასი ლარი;
- სხვა ხარჯები (აუდიტორული მომსახურება) – 12.7 ათასი ლარი.

ადმინისტრაციული ხარჯები

2011 წელს ადმინისტრაციული ხარჯების დასაფინანსებლად გაწეული საკასო ხარჯმა 2 181.5 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2011 წელს გაწეული საერთო ხარჯის 4.9% შეადგენს. საბიუჯეტო სახსრებიდან დახარჯული იქნა – 2 010.1 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან – 171.4 ათასი ლარი.

აღნიშნული ხარჯის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- წარმომადგენლობითი ხარჯები – 85.8 ათასი ლარი;
- ჟურნალ-გაზეთების და წიგნების მიწოდება – 17.5 ათასი ლარი;
- პოლიოგრაფიული ხარჯები – 11.3 ათასი ლარი;
- კატრიჯების დატენვა და გამოცვლა, შეძენა – 14.9 ათასი ლარი;
- ტრანსპორტის შეძენა – 29.4 ათასი ლარი;
- დაცვის ხარჯები – 156.6 ათასი ლარი;
- გათბობის ღუმელები და გათბობა (გაზის გადასახადი) – 6.5 ათასი ლარი;
- სამეურნეო საქონელი – 11.1 ათასი ლარი;
- ქაღალდი და საკანცელარიო საქონელი – 23.0 ათასი ლარი;
- ელექტროსაქონელი – 7.7 ათასი ლარი;
- ელ. ენერჯია – 318.7 ათასი ლარი;
- წყალი – 264.9 ათასი ლარი;
- საკურიერო და საბროკერო მომსახურება – 36.0 ათასი ლარი;
- დასუფთავება – 99.0 ათასი ლარი;
- სატელეფონო ხარჯები (მობილური ტელეფონები) – 165.0 ათასი ლარი;
- სატელეფონო ხარჯები – 91.9 ათასი ლარი;
- საწვავი (ბენზინი, დიზელი.) – 586.0 ათასი ლარი;
- ანტიფორზი, ზეთები და სხვა საცხებ საპოხი მასალები – 34.0 ათასი ლარი;
- ტექდათვალიერება და პარკინგი – 2.2 ათასი ლარი;
- ავტომობილების დაზღვევა – 11.7 ათასი ლარი;
- ავტომობილების სათადარიგო ნაწილები – 28.3 ათასი ლარი;
- იურიდიული მასალების თარგმნა – 9.9 ათასი ლარი;
- სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები (კაპიტალური შეკეთება და მშენებლობა) – 54.5 ათასი ლარი;
- აუდიტი, ექსპერტიზა და სხვა საკონსულტაციო ხარჯები – 55.5 ათასი ლარი;
- განზაჟებასთან დაკავშირებული ხარჯები – 8.8 ათასი ლარი.

მარკეტინგის და გაყიდვების სამსახურის ხარჯები

საანგარიშო პერიოდში საბიუჯეტო სახსრებიდან მარკეტინგის და გაყიდვების სამსახურის ხარჯებზე დახარჯული იქნა – 195.7 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან – 15.8 ათასი ლარი. სულ გაწეულმა ხარჯმა შეადგინა – 211.5 ათასი ლარი. რაც მაუწყებლის მიერ საერთო გაწეული ხარჯების 0.40%-ს შეადგენს.

მათ შორის:

- მარკეტინგისა და თვითრეკლამის ხარჯები – 45.1 ათასი ლარი;
- სატელევიზიო კვლევები – 166.4 ათასი ლარი

პროდიუსინგის ხარჯები

მაუწყებლის მიერ 2011 წლის საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახის პროდიუსინგის ხარჯებზე საბიუჯეტო დაფინანსებიდან დახარჯული იქნა – 3 413.4 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან – 153.9 ათასი ლარი. სულ მიიმართა 3 567.3 ათასი ლარი. რაც მთლიანი საკასო ხარჯის 6.68%-ს შეადგენს.

აღნიშნული ხარჯის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- პირდაპირი ჩარტვები და ინფორმაციის გადმოგორება (პერეგონები) – 166.4 ათასი ლარი;
- საპარკმახერო, კოსმეტიკური ნაწარმი – 7.1 ათასი ლარი;
- ტანსაცმელი და აქსესუარები (წამყვანების) – 6.6 ათასი ლარი;
- ევროვიზია დიდების და პატარების – 256.3 ათასი ლარი;
- პიროტექნიკის გამოყენება – 18.3 ათასი ლარი;
- სატელევიზიო თარგმნა-გახმოვანების ხარჯები – 187.4 ათასი ლარი;
- დეკორაციების დამზადება-შემენა, სტუდიური ავეჯი და რეკვიზიტები – 224.5 ათასი ლარი;
- გადაცემის დამზადება (წითელი ზონა) – 117.9 ათასი ლარი;
- ფილმების შექმნა (ლიცენზიები) – 735.4 ათასი ლარი;
- სპორტის ლიცენზიები – 1 523.8 ათასი ლარი;
- სპორტული ტრანსლიაციები და პერეგონები – 56.0 ათასი ლარი;
- გადაცემის ფორმატის შექმნა (BBC) – 285.6 ათასი ლარი.

საინფორმაციო სამსახურის ხარჯები

მაუწყებლის მიერ 2011 წლის საანგარიშო პერიოდში საინფორმაციო სამსახურის დასაფინანსებლად საბიუჯეტო სახსრებიდან დახარჯული იქნა – 555.5 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან – 58.3 ათასი ლარი. სულ მიიმართა 613.9 ათასი ლარი. რაც მაუწყებლის მიერ საერთო გაწეული საკასო ხარჯის 1.15%-ს შეადგენს.

მათ შორის აღნიშნული ხარჯის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიაზე:

- სატელიტური ჩართვები და საინფორმაციო მასალების გადმოგორების ხარჯები – 288.5 ათასი ლარი;
- ტანსაცმელი და აქსესუარები (წამყვანების) – 16.3 ათასი ლარი;
- საპარკმახერო, კოსმეტიკური ნაწარმი – 15.0 ათასი ლარი;
- დეკორაციისა და ავეჯის შესყიდვა – 51.2 ათასი ლარი;
- ინფორმაციის შექმნის ხარჯები – 183.2 ათასი ლარი;
- სიქრონული თარგმანი – 5.4 ათასი ლარი;
- სტუდიების დაქირავება (რედისონი) – 54.3 ათასი ლარი.

ტექნიკის ხარჯები

მაუწყებლის მიერ 2011 წლის საანგარიშო პერიოდში ტექნიკის ხარჯებზე საბიუჯეტო სახსრებიდან გაწეული საკასო ხარჯის ოდენობამ შეადგინა – 7 132.5 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან – 98.3 ათასი ლარი. სულ დახარჯული იქნა 7 230.8 ათასი ლარი. რაც მაუწყებლის მიერ საერთო გაწეული ხარჯების 13.54%-ს შეადგენს.

მათ შორის აღნიშნული ხარჯის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიაზე:

- სერვერული სისტემების შექმნა – 1 495.4 ათასი ლარი;
- კასეტების და ელემენტების შექმნა – 149.3 ათასი ლარი;
- ტექნიკის სათადარიგო ნაწილების შექმნა – 106.8 ათასი ლარი;
- სატელიტით მომსახურეობა – 1 635.8 ათასი ლარი;
- ტელერადიოცენტრი (სიგნალის გავრცელება) – 1 080.0 ათასი ლარი;
- კომპიუტერული ტექნიკის შექმნა – 180.8 ათასი ლარი;

- კაბელები – 38.0 ათასი ლარი;
- ინტერნეტი, ვებმომსახურება და ვებმაუწყებლობა – 163.8 ათასი ლარი;
- ანტივირუსის პროგრამის ლიცენზია – 7.9 ათასი ლარი
- კაბელების გატარება ჭებში – 44.8 ათასი ლარი;
- მოძრავი სატელიტური სადგურის აღჭურვილობის შეძენა – 2 113.4 ათასი ლარი;
- HD ვიდეო მიქშერი – 92.0 ათასი ლარი;
- სიგნალის რეგონებზე მიწოდების ხარჯი – 62.8 ათასი ლარი;
- სატელევიზიო გადამცემი ანტენა – 28.0 ათასი ლარი;

სხვა გადასახდელები

2011 წლის საანგარიშო პერიოდში მაუწყებლის სახსრებიდან აღნიშნულ ხარჯებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა – 5 003.8 ათასი ლარი.

მათ შორის აღნიშნული ხარჯის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიაზე:

- ბანკის კრედიტის მომსახურება – 3 465.0 ათასი ლარი;
- სხვადასხვა კრედიტორული დავალიანებები – 1 383.0 ათასი ლარი;
- მოგების, ქონების დღგ, მიწის და სხვა გადასახადები – 25.1 ათასი ლარი;
- თანამშრომელთა დაზღვევა – 126.1 ათასი ლარი.
- მე-2 არხის ფუნქციონირებისათვის (ქ. ქუთაისში მაუწყებლის ოფისის აღჭურვისა და ამოქმედების) – 1 418.0 ათასი ლარი
- მე-3 არხის ფუნქციონირებისათვის – 18 420.0 ათასი ლარი